




99 69

N11(92) 14/III.-20/III.2002. ფასი 60 თ.

1168
2002

თიქა ფახაძე 30 წლით უფროს ქმარს გვკავებოდა კვანს გაზოგედი

ნოდარ დუმბაძე უმცროს ქალიშვილს ვაჟივით ზრდიდა



დეკანოზი დავითი: თვითგვლადის დედის ნაამბობის შესახებ

ნათლობა ექსპრესულურ სიფუასციაში

15 წლის ბავსო მთელ ოჯახს ღოს-ანჯალესში აცხობრებს



გივი თარგამაძემ ლევან პირველს ცოლის მოყვანა დაასწრო



თამრიკო ქოსტონელიძე:

**„...აოლიმნილა დაფაჩა ჩიმი სახელი და გვარი
წაიკითხა და ისევ საბუთებში**

ჩაიჭყობა: ალბათ ამოწმებდა —

გვარი ზუსტად თუ ემთხვევაო...

პაუზა და... უცებ მიუბნევა:

— ე! ეგა ხარ?!“

გვ. 22



მინიატურები

ტერორიზმის კუბო ღავლებით! 3

ერთი კითხვა 4

ავაღა

თიქა უანანია:
„წინა საღამოს, ამერიკიდან
მელაპარაკა ტელეფონით, მეორე
ღღეს კი, მოსკოვში გაჩნდა...“ 8

ქორენება

ნინო მუხკუდიანია ბივი
თარგამაის პირად ცხოვრებაში
„რეჟორმა“ ლაინყო 11

კრიმინალი

- „ორივე შვილი მომიკლეს...
ღამნაშავის დასჯას
კატეგორიულად მოვითხოვ“ 14
- ჩაიღინა თუ არა პოლიციელმა
ღანაშაული საუნაში? 17

საუნა

„ერისიონი“ „ბითლზის“
მაგალითს არ ითვალისწინებს 18

ტალანტი

„21-ე საუკუნის ქართველი
პიკასო და სალვადორ დალი“ 20

ტესტი

ერთგული მკითხველი 21

ქალი საქმეთა

თამარიკო ზოსონელიძეს ქმართან
პოლიციელები აბაგვებენ... 22

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი პრედიქციამზე 24

ტაქარი

ექსტრემალურ სიტუაციაში
ყველას შეუძლია ჩაატაროს
მონათვლის რიტუალი 25

მამები და შვილები

„ღვას 15 წელი არ უძინია:
ღამით ყურს აღებდა მამას
– ცოცხალია თუ არაო...“ 28

ანტიდუარსანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი ბორა ღვალის
უბის წიგნაკიდან 30

იუმორისკა

შუაღამის ტელეგადაცემა 30

სამყარო

სუურის ეტიკეტი 32

საგანმუშაო

ღავით აღმაშენებლის
საწინამძღვრო ჯვარი 34

**ექსტრემალურ სიტუაციაში ყველას
შეუძლია ჩაატაროს მონათვლის რიტუალი**




თვითმკვლელობას აღამიანს სა-
განა შთააგონებს. ყოველი აღამი-
ანი გარდაცვალების შემდეგ, ლეთის
სამსჯავროზე წარდგება. თვითმკ-
ვლელები კი, ღმერთამდებ ვერ აღწ-
ვებს. თვითმკვლელებს გარდაცვა-
ლების შემდეგ, ეკლესია არანაირ
რიტუალს არ უსრულებს. თუმცა,
არის გამონაკლისი.

25


**„წინა საღამოს, ამერიკიდან მელაპარაკა
ტელეფონით, მეორე ღღეს კი, მოსკოვში გაჩნდა...“**

თავიდან, ჩემი მეუღლე მასკონ-
სორებდა. უფროსებს ეჭვი გაუჩნ-
დათ, რომ მას მოეწონდი კიდეც.
როცა დაოჯახებაზე მიდგა საქმე,
მამაჩემმა ძალიან განიცადა. ასა-
კობრივი სხვაობის გამო, ვუიქრობ-
დი – ხალხი რას იგყვის-მეთქი?
ჩემს მეგობრებს ვეხვეწებოდი:
რამე მირჩიეთ-მეთქი.



8

**„ორივე შვილი მომიკლეს... ღამნაშავის
დასჯას კატეგორიულად მოვითხოვ“**



სასამართლოში 21 წლის ლე-
ვან აბულაშვილს ასამართლებენ.
იგი განზრახ მკვლელობისთვისაა
დაპატიმრებული... იმ დღეს დაბ-
არალებულს, ნინო ჯანელიძეს
მეორე შვილი მოუკლეს. პირვე-
ლი, ირაკლის უფროსი ძმა – 16
წლის გიორგი ყაჭვიშვილი 1993
წელს ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

14

**„ერისიონი“ „ბითლზის“
მაგალითს არ ითვალისწინებს**

თქვენ როგორ გგონიათ –
„ერისიონის“ წარმატება რამ გა-
ნაპირობა? მე, მაგალითად, „შა-
ტილის ასულს“ ასეთი ფორმით
არ გავაკეთებდი. არ წარვადგენ-
დი ქართველ კაცს ამხელა წვერ-
ით... „ციგნების“ ბანაკი მიღის
სადღაც მთაში...



18

მოგზაურის დღიურები

მუშაობის ნებართვის პიეზიდან...
ღამის კლუბამდე 35

ფაქტობრივი

„ზაბიენ, ბოსოვ,
სისულელეს ნუ ჩაიღვენ!..“ 38

ისტორია

ქართული მართლმადიდებელი
ეკლესიის ავტორიტეტის
აღდგენისათვის ბრძოლის
ღრამატული ეპიზოდები 42

სასარგებლო აზრები

აზროვნების ენციკლოპედია 44

პრესკლავი

„გნეღანეული ანგელოზის“
ღარბაისელ ქალბატონად
ბარღასახვის საომარი ამბავი 45

რომანი

ბესიკ კეკელიძე.
უსასრულობა (ბაგრეკელეა) 48

კვამ

52

ტექნოლოგია

53

ფასონი

ამ ტიპის სამოსი თინეიჯერებსაც
ღააკმაყოფილებს 53

Fashion

საღამოს გამოსასვლელი
სამოსი 54

ჯანმრთელობა

- ყურის ღაავაღება 56
- ბუნება-მკურნალი 57
- ღიასახლისის კუთხე 57
- კითხვა-პასუხი 58

კინოგიჟნა

ექვსი სტუდია, რომელმაც
კოლივუდის ამინდს ქმნის 59

სკანოვადი

61

პროსკოპი

კვირის (18-24 მარტი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ბიყვართ თუ არა განმარტოება? 63

კალენდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბავი 64

ბარეკანვა: გიორგი შორაშულიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ ღამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესახლა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**ნილო მუშუკულიანმა ბიპო თარგამაქის
პირად წმობრებაში „რეფორმა“ ღაინეშო**



11

რა უნდა ვურჩით ლევან პირე-
ულს? ერთადერთი, რაც შემოძლია
ვუთხრა, ის არის, რომ როდესაც ის
თავის საგვარეულო კოშკს ახსენებს,
მინდა იცოდეს: ახლა ჩვენც გვაქვს
ჩვენი საგვარეულო კოშკი.

**„21-ე საუკუნის ქართული
პიკასო და სულგოდორ დალი“**

ბესო ყაბეიშვილი მშობლებთან
და ოთხ დედამიწეილთან ერთად,
უკვე 4 წელია ლოს-ანჯელესის
პრესტიჟულ უბანში მდებარე უბა-
რმაზარ ვილაში ცხოვრობს. დღეს
მისი თითოეული ნამუშევარი, ათა-
სობით დოლარად იყიდება და ახლა
უკვე 15 წლის ბესო თავად არჩენს
მთელ ოჯახს.



20

**„გნეღანეული ანგელოზის“ ღარბაისელ
ქალბატონად ბარღასახვის საომარი ამბავი**



45

პირდაპირ ეთერში, მკერდმოში-
ვლებულმა იცეკვა და ჟურნალ
„ფლეიბოსთვის“ გადაღებული სუ-
რათებიდან „უკვდავყო“ თავისი
სხეული... ყველაფერ ამას ნათლია
სპილბერგმა ვეღარ გაუძლო და და-
ბადების დღეზე საბანი გამოუგზავნა,
რომელსაც თან ერთსიგყვიანი ბა-
რათი დაურთო: „დაიფარე!“

ყსსსრეყოობა

– რაში, ლიბიკო, და ჩემი თავი
ვიპოვე. მე როდესაც ღმერთთან
ვიყავი, ამას მაშინ მიუხედი, – ბოლო
წინადადება ჩაფიქრებულმა, ჩურ-
ჩულით წარმოთქვა.
– სად იყავით? – საკუთარ ყუ-
რებს არ ვუჯერებდი.



48

ტერორიზმის უნო დავდგით!



წყევლა რა ვაჟკაცის საქმეა, მაგას გინება სჯობს. მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, კაცის წყევლა უფრო სრულდებაო. არასოდეს არავინ დამიწყევლია, ტერორიზმი და ტერორისტებიც კი, და სათაურში გამოტანილი ფრაზაც, წყევლა კი არა, ფაქტის კონსტატაცია გახლავთ!

ღიახ, ღიახ! გასული კვირის ქართულ პრესას თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ მთავარი მოვლენა ჩვენს ქვეყანაში და აქედან გამომდინარე – მასმედიის მთავარი სალაპარაკო თემაც, პანკისში გამართული მოღების ჩვენება იყო. ასე ვთქვათ – „პანკისი ფეშენ“!

ჰოდა, ერის გამთლიანება-დემოკრატიზაცია-კონსოლიდაცია – „პროგრესიზაციისთვის“ ესოდენ აუცილებელი აქციის თუ აქტის მიმოხილვისას, ქართველმა კალმოსნებმა არც საკუთარი ფანტაზია დაზოგეს, არც მკითხველი და იმ „ფეშენზე“ წარმოდგენილი ბუშლატებივით ლამაზი და ორიგინალური სათაურებით ააჭრელეს თავიანთი ყურნალგაზეთების ფურცლები. მე კი, განსაკუთრებით ერთი მომეწონა: „ეს ჩვენება ტერორიზმის კუბოში ჩაჭედებული პირველი ლურსმანი იყო!“

ხომ ძალიან მაგარია! ე.ი. ტერორიზმს ფაქტობრივად დაერხა! მე კი, ავღეკი და ჩემი მავანი კოლეგის ლამაზი სათაური „ნახევრად ვისესხე“, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ფაქტი დააკონკრეტე: ლურსმანი რომ ჩააჭედო კუბოში, ჯერ უნდა დადგა ეს კუბო, შემდეგ ჩააწვინო ვინც საჭიროა და ჩაქურ-ლურსმანზე მერედა მიდგება საქმე.

ერთი სიტყვით, მთავარი ის არის, რომ ტერორიზმის კუბო უკვე დავდგით! კიდევ უფრო მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ „დადგმისა“ და „ლურსმნის ჩაჭედების“ მეთოდი „დავამუღამეთ“, რაც შემდეგში მდგომარეობს: ვიღებთ კუბოს (ოღონდ „რუჩუკებს“ არ ენდოთ!), ვაწვენთ შიგ ტერორიზმს, თუ გაგვიძალიანდება, ვეტყვით – „თუთ“! – და თვითონ ჩაწვება, შემდეგ ვაფარებთ სახურავს, დავჭედავთ ლურსმნებით და ბოლოს, ცხარე ცრემ-

ლებით ვტირით!

აი, ასეთი მიღწევები გვაქვს ჩვენ – ქართველებს ტერორიზმთან ბრძოლაში: უნიკალური მეთოდი – უსისხლო, უმტკივნეულო, უხარჯო, უდავიდარაბო... მთავარია, გქონდეს „ფეშენი“!

მეთოდიო – ვთქვით და მეთოდი იმის მეთოდიო, რომ მისი განვრცობა შეიძლებოდა, ამიტომ ჩვენი ძველი „რკინის მინისტრის“ სახელგანთქმულ „რაუნდებსაც“ თუ გავიხსენებთ, ტერორიზმთან უსისხლო ბრძოლის შემდეგი ეტაპი უნდა იყოს: „კოჩარა ფეშენ“, მერე – „ერგენთი ფეშენ“, იმის შემდეგ „ახალქალაქი ფეშენ“, კიდევ მერე – „ტყვარჩელი ფეშენ“ და... მოკლედ – „ფეშენ, ფეშენ და ფეშენ!!!“

ისე, ბრძოლა ბრძოლაა და რაც უნდა „ხავერდოვანი იყოს“, მსხვერპლი მაინც გარდაუვალია, თუკი ეს ბრძოლა ხელოვნებასთანაც არის წილნაყარი, მაშინ ხომ მით უმეტეს – ხელოვნება რომ მსხვერპლს მოითხოვს, საყოველთაოდ არის ცნობილი. ასე რომ, ამას უნდა შევეკუოთ და „პანკისი ფეშენმაც“ არ ჩაიარა უმსხვერპლოდ: „ანტიტერორისტული ოპერაციის“ ხელმძღვანელ ქალბატონს ვიდაც ქისტმა ძაალიან მაგარი „ფეშენ ტელეერეიკა“ აახია...

P.S. მოკლედ, ტერორიზმის კუბო

დადგმულია და საქმე დაწყებულია! მაგრამ მე, ჩემი საძაგელი პროვოკატორული ხასიათიდან გამომდინარე, ერთი არცთუ ისე სასაცილო ანეკდოტი მახსენდება:

ერთი ლოთბაზარა კაცი იყო – უქნარა და უვარგისი. გაუმწარა ცხოვრება ცოლს, რომელსაც კი უყვარდა, მაგრამ ყელში რომ ამოუყვანა ყველაფერი, მაინც ათქმევინა:

- ოჰ, შენი კუბო დამადგმევინა!..
- პასუხი მარტივი იყო:
- იდგეს მერე, მე არ ჩავწვები შიგ და...



პრომოკატორი

„ვიქრობ, თანდასვე არსებობდა შეთანხმება საქართველოს, ამერიკასა და რუსეთს შორის...“

— ჯორჯ ბუშმა, ივანოვთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ, გააკეთა დიპლომატიური განცხადება იმის თაობაზე, რომ ამერიკა, საქართველოში ანტიტერორისტული ღონისძიებების ჩატარების დროს, რუსეთის ინტერესებს გაითვალისწინებს; არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ამ განცხადებასა და რუსეთის იმ ოპერაციის გეგმას შორის, რომლის შესახებაც სახელმწიფო კანცელარიაში გაფრცელებული წერილი იუნწყებოდა?

ირინა სარიშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:

— შესაძლებელია ერთ კვირაში, ან მარტის ბოლოს, რუსეთის საგცსამსახურებმა ეს გეგმა განახორციელონ, თუკი ჩვენი ხელისუფლება არ გაააქტიურებს დიპლომატიურ მუშაობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და რუსეთთან ურთიერთობაში და, რა თქმა უნდა, ამერიკასთან ურთიერთობაში, რომელიც არ შეიძლება დაინტერესებული იყოს იმით, რომ პანკისის ხეობა მეორე კოსოვოდ იქცეს. რა საერ-



თო ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ რუსეთსა და ამერიკას პანკისის ხეობაში? თავიდანვე საეჭვო იყო, რომ ამერიკა საქართველოს სამხედრო დახმარებას რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ გადაწყვეტდა. მე პირადად, დღესაც არ მჯერა ამისი და ვფიქრობ, თავიდანვე არსებობდა შეთანხმება საქართვე-

ლოს, ამერიკასა და რუსეთს შორის. თუმცა, სამი ქვეყნის ურთიერთობის განხილვისას მხოლოდ პანკისზე ფოკუსირება არ იქნება სწორი. ამიტომ, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამერიკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში რუსული ინტერესიც იყოს გათვალისწინებული, ოღონდ იმ მასშტაბით, რომელიც რუსეთის არ აკმაყოფილებს. შეიძლება, ეს უკავშირდება არა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ალტერნატიულ ვარიანტს, არამედ მეორე ნავთობსადენს, რომელმაც საგარეოდ, აფხაზეთზე უნდა გაიაროს. ჩვენთვის განვითარებული მოვლენების გამო, რუსეთმა ამ პროექტში მონაწილეობის შანსი დაკარგა. თუ მოლაპარაკების დროს, ამ ნავთობსადენზე იყო საუბარი, ამ შემთხვევაში, საქართველო ამერიკას, როგორც ამ რეგიონში სტაბილიზაციით დაინტერესებულ მხარეს, შეიტყნოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში სტაბილურობა მანამდე არ იქნება, სანამ ის საქართველოს იურისდიქციას არ დაექვემდებარება, მეორე მხრივ, კი რუსეთი ამ პროექტში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

ვიტალი ხაზარაძე მიხეილ სააკაშვილზე ბრახობს



— პარლამენტის სსდომაზე იმ „ტკბილ და მურაბა ხალხთან“ ერთად, ვინც უკანონო ქონების ჩამორთმევის კანონპროექტის გატანას შეუშალა ხელი, მიხეილ სააკაშვილმა ვიტალი ხაზარაძეც დაასახელა. ბატონი ვიტალიც არ რჩება ვალში და არცთუ ისე „ტკბილ და მურაბა სიტყვებს“ აგზავნის მისი მისამართით. ძალიან ბრახობთ, ბატონო ვიტალი?

ვიტალი ხაზარაძე, პარლამენტარი:

— მიმა სააკაშვილის განცხადებით, ჩემი

პიროვნული ღირსება შეილახა. ამისათვის კი, ადამიანებს ყოველ დროში სთხოვდნენ პასუხს. პოპულიზმითა და შეურაცხმეფელი განცხადებებით ე.წ. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური გუნდი ცდილობს, უფრო დაასუსტოს მოქკავშირი და მის ხარჯზე, თავისი იმიჯი უფრო მაღალ რანგში წარმოაჩინოს. სააკაშვილი ნიჭიერი და განათლებული ბიჭია, მაგრამ სიბრძნე და გონიერება აკლია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მან შელახა ჩემი პატივი და ღირსება, მე კი ის კაცი ვარ, რომელმაც ხელის შებრუნება იცის...

„რომეო და ჯულიეტა?“ არა – „ჯულიეტა და რომეო“!

— კინომსახიობის თეატრში შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ დადგმისას, ტრაგედიისთვის სახელი შეგიცვლიათ და „ჯულიეტა და რომეო“ დაგიორქმევიათ; რით იყო ასეთი გადაწყვეტილება განპირობებული?

გიორგი მ. ყველაშვილი, რეჟისორი:

— ამ ახალ სპექტაკლში ქალს გაც-

ილებით დიდ როლს ვაკისრებ, ვიდრე მამაკაცს. სახელწოდების შეცვლითაც ამის ხაზგასმა მსურდა. ჩვენ უკვე მზად ვართ და სულ მალე, მაყურებელი იხილავს პრემიერას. სპექტაკლში, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად, ისეთი ცნობილი მსახიობებიც არიან დკავებულნი, როგორებიც არიან: მიხეილ ჯოჯუა, რუსუდან ბოლქვაძე და ნინელი ჭანკვეტაძე... დრო ყველაფერს

ცვლის. ჩემი „ჯულიეტა და რომეო“ თანამედროვეობასთან ახლოს დგას. დროის ცვლილება სპექტაკლში მსახიობების ჩაცმულობაშიც აისახება – მათ თანამედროვე კოსტიუმები აცვიათ. ამ სპექტაკლში მტრობა ორ ცნობილ ოჯახს შორის მეორე პლანზეა გადატანილი და იგი უფრო ყოფითი პრობლემებითაა დატვირთული. იმედი მაქვს, პრემიერით მაყურებელი კმაყოფილი დარჩება.

„კალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბატონი ჯანოს მხარა დავიჭირე...“

— თქვენი თაობის მუსიკოსებისთვის ალბათ განსაკუთრებულ დანაკლისს წარმოადგენს დიდი მანქანის, ჯანსუღ კახიძის ამ ქვეყნიდან წასვლა...

დათო ევგენიძე, კომპოზიტორი:

— ჯანსუღ კახიძე მთელი ეპოქაა — არა მხოლოდ კლასიკურ, არამედ ხალხურ და საესტრადო მუსიკაშიც. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საქართველოში, ძნელბედობის ფაშაც კი, არანაირი ჩავარდნა არ ყოფილა პროფესიულ მუსიკაში. არ ვიცი, რა შედეგებს იმ სიცარიელეს, რომელიც მისი წასვლით გაჩნდა. ეს არის თითოეული ქართველისთვის უზარმაზარი დანაკლისი, რომელსაც ვფიქრობ, ჯერ კიდევ ვერ ჩასწვლობია საქართველო... ჩემდა სამწუხაროდ, მე და ბატონ ჯანოს ერთად არ გვიმუშავია. სამწუხაროდ, არ მქონია ბედნიერება, რომ მას ჩემი ნაწარმოები შეესრულებინა, თუმცა, ამის იმედი მქონდა... პირველად, ჯანსუღ კახიძე კონსერვატორიაში ვნახე. 12 წლის ვიყავი, როცა შალვა მშველიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ჩემი პრელუდია შევასრულე. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ფართო



აუდიტორიის წინაშე და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბატონი ჯანოს მხარა დავიჭირე...

ვატო (ჯანსუღ კახიძის შვილი) ჩემი მეგობარია. ჩვენ ერთად ვსწავლობდით მოსკოვის კონსერვატორიაში. იგი მემკვიდრეობით არის დაჯილდოებული ნიჭითა და პროფესიონალიზმით და მჯერა, რომ ღირსეულად გააგრძელებს მამის საქმეს.

...ჩემი და ბატონი ჯანოს ბოლო შეხ-

ვერა სოფიკო ჭიაურელის საახალწლო ტელეგადაცემაში — „შეხვედრები ფიქრის გორაზე“ — მოხდა. ერთ მაგიდასთან მოგვიწია ჯდომა და ურთიერთობა. მთელი მისი პიროვნული ხიბლი, გამორჩეული იუმორის გრძნობა გამოჟღავნდა; ძალიან ლამაზი საღამო იყო... მიხარია, რომ მოვახერხე, პირადად შეთქვა მისთვის ჩემი მისდამი დამოკიდებულების შესახებ, თუმცა, ვფიქრობ, მან ეს ისედაც იცოდა... ■

აქვს თუ არა გოგავას მოქალაქეობის ყალბი მანდატი?



ვა სჭირდებოდა?

ირაკლი გოგავა:

— ჩემს თავს მივიჩნევდი და მივიჩნევ მოქალაქეთა კავშირის წევრად. მაქვს შესაბამისი მანდატი; ვფიქრობ, ის არ არის ყალბი და ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. საინტერესო ის არის, ვის რაში სჭირდება ასეთი ინფორმაციის გავრცელება. მიჭირს უფრო დეტალური კომენტარის გაკეთება იმიტომაც, რომ ვერ

ტია ყრილობისთვის და ორგანიზება გაუკეთოს მის ჩატარებას. საორგანიზაციო კომიტეტს არანაირი უფლება არ აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის გენერალური კურსის შეცვლის თაობაზე, თანაც ისე, რომ არ გაითვალისწინოს პარტიის წევრთა იმ უმრავლესობის აზრი, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას. დღეს მართლაც ანომალური სიტუაციაა, როდესაც პარტიის ხელმძღვანელობა ოპოზიციაში უდგება თავის რიგით წევრს — ელჟარდ შევარდნაძეს. ■

— შეესაბამება თუ არა სინამდვილეს გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი გოგავა მოქალაქეობის წევრი ოფიციალურად არასოდეს ყოფილა და პარტიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, მიხეილ მაჭავარიანმა მას ყალბი მანდატი გაუკეთა იმის გამო, რომ იმ პერიოდში უბრალოდ, გოგა-

ვხვდები, ვინ შეიძლება იყოს ამ ჭორის პირველწყარო. თუ მის უკან მოიაზრება ჯგუფი, რომელიც მოქალაქეთა კავშირში იყო, დღეს კი საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, მაშინ ვიტყვი, რომ ყრილობაზე გადაწყდება საბოლოოდ, ვის ექნება მოქალაქეთა კავშირის მანდატი და ვის — აღარ. ყრილობა 15 მაისამდე უნდა გაიმართოს. სხვათა შორის, საორგანიზაციო კომიტეტის მოვალეობაა, მოამზადოს პარ-

დღოვის
ტელეფონი
822-009044
 დღე-ღამის განმეორებავი
 (18 წლიდან)

თიხა ფაცაცია:

*„ჩინა სჯიომოხ, ამერიკიჯიან
მქანაჩიკა ქეკეკონის,
მუიჩი რაიქ კი, მოხიოვში ვაჩნჯა.“*



მომხიბვლელი თიხა ფაცაცია პანკისში მიღწეული წარმატების შემდეგ, კიდევ უფრო ენერგიული და თავდაჯერებული მეჩვენა. ის პოდიუმზე ხშირად გამოსვლას არ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ მთავარი მის ცხოვრებაში სიმღერაა.

თიხას ახალმა უღიპმა მაყურებელი ცოტა არ იყოს, დააბნია და მას არაორდინარული და ძალზე ორიგინალური მომღერლის იმიჯი შეუქმნა... თიხა ამაზე ოცნებობდა კიდევ, ჭორები, თითქოს „სეთის“ გოგონებმა ჯგუფში დაბრუნებაზე მას უარი უთხრეს, უსაფუძვლო აღმოჩნდა, მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში და რატომ შეაქცია ამერიკიდან დაბრუნებულმა თიხა ფაცაციამ ზურგი „სეთის“, ამაზე მოგვიანებით გიამბობთ. ცნობისმოყვარეებს კი შეგახსენებთ, რომ თიხა „მის თბილისი-97“ და „მის საქართველო-97“-ია. ცნობისათვის: 1997 წელს, იმდენად ბევრი მშვენიერი გოგონა მონაწილეობდა სილამაზის კონკურსში, რომ „მის საქართველოდ“ ერთდროულად სამი აირჩიეს.

ლელა ჭანკოტაძე

— თიხა, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი პანკისიდან?

— მეგონა, რომ საშიშროება დიდი იქნებოდა — პანკისი ხომ, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად არის მიჩნეული, მაგრამ საოცრად კმაყოფილი დავრჩი ჩვენებით. შიში დავძლიე, რომ გამოვდიოდი, შიშს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. მთავარი ჩემთვის მოდელის კარგად ჩვენება იყო.

— რით მოაჯადოვე პანკისელები?

— მე დიდი გამოცდილება მაქვს იმ მხრივ, რომ ესწავლობდი თეატრალურ ინსტიტუტში. ჩემი სამსახიობო მონაცემები გამოვიყენე და, რადგან განსხვავებული ჩვენება იყო, შევეცადე, არა მარტო ჩასაცემელი წარმომედგინა, არამედ ხასიათიც მეჩვენებინა. საერთოდ, მოდელი არ არის ვალდებული, აჩვენოს ხასიათიც და ალბათ, სწორედ ამან მოხიბლა პანკისელები.

— ალბათ ისინი მოელოდნენ, რომ ნახევრად შიშველ მოდელებს ნახავდნენ. შენთვის, როგორც მოდელისთვის, თუ წარმოადგენს პრობლემას პოდიუმზე საცვლებით გამოსვლა და თუ მიგაჩნია, რომ მოდელი უნდა აქცევდეს ყურადღებას იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობს?



— პანკისში ნახევრად შიშველები რომ გამოესულიყავით, ეს აბსოლუტური სისულელე იქნებოდა. საერთოდ, მოდელმა ნებისმიერი ტანსაცმელი უნდა აჩვენოს, თუნდაც საცვლები. ეს მსოფლიოში პრობლემას არ წარმოადგენს. საქართველოში მოდელები იბულებულები არიან, უარი თქვან ასეთ ჩვენებებზე, რადგან ჩვენი მამაკაცები ამას ცუდად შეაფასებენ, ქალებიც დაძრასავენ და ა.შ.

— რას იზამ, ასეთ სიტუაციაში რომ აღმოჩნდე? ნებართვას თუ სთხოვ მუუღლეს?

— რა თქმა უნდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში პოდიუმზე არც ღამის საცვლებით და არც საცურაო კოსტიუმით არ გამოვალ.

— ამ შემთხვევაში, მცირე ანაზღაურება ხომ არ წარმოადგენს გადაამწყვტ ფაქტორს?

— რა ანაზღაურება უნდა იყოს ისეთი, რომ საქართველოში საცვლების ჩვენებას დათანხმდე?!

— იქნებ ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მოდელის პროფესია ჩვენში პრესტიჟულად არ ითვლება და არც სამოდელი ბიზნესია იმდენად განვითარებული, რომ მხოლოდ პროფესიონალ მოდელებს დაუთმოს პოდიუმი?

— მე მეგონა, რომ მთავარია მაყურებელი, რომელსაც ნახევრად შიშველი მოდელის დანახვა იმ-

დენად აბნევს, რომ ის საერთოდ ვეღარ ხედავს, როგორი საცვალი აცვია მას...

— როდის მიიღე გადაწყვეტილება, სამოდელი ბიზნესში ჩაბმულიყავი?

— სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ავთო ცქეტინიდემ მნახა, მოვეწონე და პოდიუმზე გამოსასვლელად მიმიწვია. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. პირველად მაშინ მიიღე ჩემი შრომის საფასური. სანამ ამერიკაში წავიდოდი, სამოდელი საქმით ვიყავი დაკავებული. ამერიკაში წავედი იმიტომ, რომ მიწოდოდა, როგორც მოდელს, საკუთარი თავი გამოემყვად. მოვიარე თითქმის ყველა სააგენტო და მხოლოდ ორმა გამომიგზავნა მოწვევა. უნდა გამეფორმებინა კონტრაქტი, ამისთვის კი, საჭირო იყო გამეკეთებინა საშუალო ვიზა: ამერიკაში ტურისტული ვიზით ვიყავი ჩასული. თბილისში რომ ჩამოვედი და აქედან აღარ გამიშვეს: მშობლები შეშინდნენ — როგორ უნდა იცხოვრო და იმუშაო ამხელა ქვეყანაში?! სხვათა შორის, ამერიკაში ძალიან რთულია რალაციის მიღწევა თუ სადმე კარგი გოგოა, ყველა იქ მიდის და სამოდელი სააგენტოებს აკითხავს. ასიდან ერთსაც არ მაქცევენ ყურადღებას, იმდენად დიდია მოდელიზის მსურველთა რიცხვი. გჭირდება ვიღაც ცნობილი, ვინც იმაში დაგეხმარება, რომ ყურადღება მოგაქციონ. თან, უნდა გქონდეს კარგი ფოტოსურათები, რომ სამოდელი სააგენტომ სათანადოდ შეგაფასოს.

— კარგი ფოტოსურათების გადაღება ამერიკაში ალბათ, გაცილებით ძვირია?

— ძალიან ძვირი ჯდება ფოტოების გადაღება, არადა, უამისოდ ვერაფერს გააკეთებ: ჯერ ფოტოები შეაქვთ სამოდელლო სააგენტოში, თუ მოიწონეს, მერე ნახულობენ გოგოს, ამიტომ, თუ ფოტოები არ გივარგა, სვობს, არც მიაკითხო სამოდელლო სააგენტოს.

— ჩვენში თუ უყენებენ იმავე მოთხოვნას?

— ჩვენში ჯერ გოგონათი ინტერესდებიან. შეიძლება გოგონა ქუჩაში მოეწონოს, პოლიუშე მიიწვიონ და მხოლოდ ამის შემდეგ უღებს მას სააგენტო ფოტოს.

— შენ რომელი სააგენტოს მოდელი ხარ?

— მე მომდერალი ვარ და არა მოდელი. რომ გითხრა, ყველა ჩვენებაზე მიხილავთ-მეთქი, ტყუილი იქნება, უბრალოდ, როცა კარგი წინადადება მექნება, პოლიუშე გამოსვლაზე უარს არ ვიტყვი. ამერიკაში წასვლამდე, „ნატალის“ მოდელი ვიყავი, როცა ჩამოვედი, ისევ განვახსნე ურთიერთობა, თუმცა, „ნატალის“ მოდელი არ ვარ, — მე ვარ უბრალოდ, თიკა ფაცაცია.

— ქართველ გოგოებს, ანუ ქართველ მოდელებს, ყველაზე მეტად, რა პრობლემები ანუხებთ?

— პირველ რიგში, ეს არის კომპლექსები, რაც საერთოდ, ქართველებს გვახასიათებს, და აგრეთვე, სხვებზე დამოკიდებულება. როცა პანკისში მივდიოდით, ბევრ გოგონას უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ოჯახის წევრებმა არ გამოუშვეს.. მოდელი შეზღუდული და დაკომპლექსებული არ უნდა იყოს.

— მოდელს, თავის შემოსავლით, თუ შეუძლია საკუთარ გარეგნობაზე იზრუნოს? ელემენტარულად, თმა შეიღებოს, შეიჭრას, დაივარცხნოს?

— ამის საშუალებას მოდელის შემოსავალი არ იძლევა. ძალიან ცოტა ჩვენება ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურება, უწინდელთან შედარებით გაიზარდა, შემოსავალი მაინც ძალზედ მცირე რჩება. ამ თანხით, თუნდაც კარგი ვარცხნილობის გაკეთებასაც კი ვერ შეძლებ.

— მოდელები არ საუბრობთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე? ნუთუ არ გამოჩნდა ისეთი ვინმე, ღირსეულად რომ შესძლებდა მაღალი დონის კონკურსზე გამოსვ-

ლას?

— ჩვენი გოგონები ისეთი კაბებით გამოდიან კონკურსებზე, რომ თუნდაც ამიტომ ვერ გამოჩნდებიან. მოდელი უნდა იყოს მოვლილი, დაშვადებული სახე უნდა ჰქონდეს, არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რამდენად კარგად არის ჩაცმული... როცა ცუდად გამოიყურები, სითამამეც გაკლია, თუმცა, მე ისიც მიკვირს, როგორ ახერხებენ ქართველი მოდელები თუნდაც იმ მინიმუმის მიღწევას, რაც ზოგჯერ ასე სიამოვნებს მაყურებელს.

— თიკა, შენ გცნობენ, ყურადღებას გაქცევენ. ალბათ ესეც გავაღივებებ, რომ სულ კარგ ფორმაში იყო, არა?

— ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ. ზოგჯერ რაც არ უნდა გავაკეთო, თავს მაინც ცუდად ვგრძნობ. თან, დატვირთული ვარ: დავდივარ ლექციებზე უნივერსიტეტში, სტუდიაში, ვოკალზე, სოლფეჯიოზე. უნივერსიტეტში, დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— როგორც მომდერალი, როდის იგრძენი, რომ პოპულარული გახდი?

— მოგეხსენებათ, მე ბავშვობიდან ვმღეროდი „ბასტი-ბუბუში“, მაგრამ ჩემი პირველი სერიოზული გამოჩენა მაინც „სეთისთან“ ერთად მოხდა. „სეთი“ ძალიან შეიყვარა ხალხმა. შემდეგ გავთხოვი და აშშ-ში წავედი საცხოვრებლად. სიმღერისათვის თავი არ დამინებებია — იქაც ვთანამშრომლობდი სხვადასხვა სტუდიასთან, ხოლო როცა დაგბრუნდი, გამიჩნდა სურვილი, სცენას დაგბრუნებოდი. მიგაკითხე დათო ფორჩხიძეს, გავაკეთეთ პირველი ალბომი: „თქვი, რას აპირებ“, გამოვიდა ჩემი კლიპიც. ჩვენშიც უკვე აუცილებელი გახდა, რომ მოდერალს ჰქონდეს კლიპი. მიხლოდა ჩემი კლიპი განსხვავებული ყოფილიყო. თიკა ჯამბურას კლიპი მომეწონა და როგორც კი დამთავრდა მისი გადაღება, დაურეკე დათო ღიაშვილს და ვუთხარი: დოი, შენთან კლიპის გაკეთება მინდა-მეთქი. დამთანხმდა.

— რა დაფდა კლიპის გადაღება?

— სხვადასხვა კლიპი განსხვავებული თანხა ჯდება. ეს საშუალო ღირებულების კლიპია, მაგრამ ძალიან ორიგინალური და განსხვავებული. მთელი იდუა დონის ეკუთვნოდა. რომ მითხრა — უნდა იფრინო, შევ-



ინდი. ბაგირები გამიკეთეს და ასე ვიფრინე. კლიპი ძირითადად, კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე, თეატრალურ მუზეუმშია გადაღებული. მხატვარი მაკა ასათიანი გახლავთ. დოი რასაც ფანტაზირობდა, იმის გაკეთება მხოლოდ მაკას შეეძლო. მაკა და დოი თითქმის ერთნაირად აზროვნებენ. პირველი კლიპით იმდენად კმაყოფილი დავრჩი, რომ გადავწყვიტე, ცოტა ხნის შემდეგ, მეორე კლიპიც გადავიღო.

— შენი სპონსორები ვინ არიან?

— მასპონსორებენ საქმოდ დიდი ფირმები: „მიკროსაფინანსო ბანკი“, სააგენტო „ცენტრ-პოინტი“ და ინტერნეტ-პროვაიდერი. სპონსორები დათო ფორჩხიძემ მონახა, რადგან ის არის ჩემი პროდიუსერი. როგორც სოლო მომდერალი, ვაპირებ ბევრი მსმენელი შევიძინო და ძალიან პოპულარული გავხდე. მიხდა სცენაზე სანახაობა მოვაწყო და ვიცეკვო, რისი შესაძლებლობაც ნამდვილად მაქვს.

— თიკა, რატომ არ დაუბრუნდი „სეთის“?

— მე რომ წავედი, გოგონებისთვის არ მითქვამს — დამელოდეთ, დაგბრუნდები-მეთქი. მათაც სხვა წევრი აიყვანეს, რაც ძალიან გამიხარდა. თავს ალბათ ცუდად ვგრძნობდი, ჩემ გამო „სეთი“ რომ დაშლილიყო. უკან რომ ჩამოვედი, რაღა თქმა უნდა, „სეთის“ გოგონებს ვეღარც ვუთხარი — თქვენთან დაგბრუნდები-მეთქი. თან, სოლო მომდერლობა ვარჩიე. სამი რომ ვიყავით, პასუხისმგებლობა სამივეზე ნაწილდებოდა. ახლა სცენაზე მარტო უნდა გამოვიდე და, ცხადია, მთელი პასუხისმგებლობა ჩემზე იქნება.

— თიკა, ახლა საოჯახო საკითხებზეც ვისაუბროთ. კერძების გაკეთების დროსაც თუ გრძნობ პასუხისმგებლობას? თუ საოჯახო საქმეებისთვის დრო საერთოდ არ გრჩება?

— სამზარეულოში არანაირი პრობლემა არ მექნება. მყავს დამხმარე: შინ მომდის ერთი ქალი, რომელიც ამზადებს კერძებს, ალაგებს სახლს და საერთოდ, ყველა საოჯახო საქმეში მეხმარება. ისე, უნდა გამოვიტყდეთ, რომ ზარმაცი ვარ და სულ ბიძგი მჭირდება, რაღაც რომ გავაკეთო. ახლობლები მსაყვედურობენ: რატომ არ ხარ აქტიური. თავიანთი საყვედურებით მეხმარებიან — სულ პატარა ბიძგი და მე უკვე მზად ვარ, ვიმუშაო.

— შენს ოჯახზე რას გვეტყვი?

— ამ სახლში ვცხოვრობთ მე, ჩემი მეუღლე — დათო ანთელიძე და ჩემი შვილი ანდრო.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ოჯახი ნინალმდეგი იყო შენი გათხ-



ოვების რატომ?

— ალბათ, როცა გოგო ჩვიდმეტი წლის ასაკში თხოვდება, მშობლები უფრო მეტად განიცდიან. თავიდან, ჩემი მეუღლე მასპონსორებდა. ამერიკაში წასვლა მინდოდა და ის მეხმარებოდა. უფროსებს ევტი გაუჩნდათ, რომ მას მოვწონდი კიდეც. ჯერ დედაჩემმა გამოთქვა აზრი — დათოს უყვარხარო, შემდეგ ბებიაშვი იგივე იფიქრა, მაგრამ ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან დათო მსგავსს არაფერს მაგრძობინებდა. შემდეგ კი, როცა დაოჯახებაზე მიდგა საქმე, მამაჩემმა ძალიან განიცადა, თუმცა, წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— რით მოგხიბლა დათომ?

— იმით, რომ არ არის ისეთი, როგორიც ყველა. არ არის ისეთი აზიატი, როგორებიც ქართველი ქმრები არიან. მასსოვს „სეთის“ გოგონები ხუმრობდნენ ხოლმე: ჩვენ ვინ გვითხოვს? — ხატაპურის გაკეთებაც არ ვიცითო... დათომ რომ მითხრა: ცოლად გამომიყვით, — მაშინვე ვუპასუხე: მე რომ ხატაპურის კეთება არ ვიცი-მეთქი?! მაშინ ცოლად ვერ მოგიყვანო, — მიპასუხა ხუმრობით... დიდი თავისუფლება მომცა დათომ. თითქმის არ შეცვლილა ჩემი ცხოვრება. როგორც დედასთან და ბებიასთან ვიყავი სიყვარულით გარემოცული, ასეთივე ატმოსფეროში ვარ ჩემს ახალ ოჯახშიც.

— ვინა არის შენი მეუღლე? რითაა დაკავებული?

— ბიზნესმენია. მშობლები არ ჰყავს: 25 წლის ასაკში დაეღუპა დედაც და მამაც. ჰყავს და, რომელიც ჩემი მეგობარი და უსაყვარლესი ადამიანია. ასაკობრივი სხვაობის გამო, ვფიქრობდი — ხალხი რას იტყვის-მეთქი? ჩემს მეგობრებს ვეხვეწებოდი: რამე მირჩიეთ-მეთქი. ყველამ მითხრა: უარს ნუ ეტყვი, დათანხმდი.

— დათო ოცდაათი წლით არის შენზე უფროსი, არა?

— ღიახ.

— ქორწილიდან გაემგზავრეთ საზღვარგარეთ. რატომ? დათო უკვე იქ ცხოვრობდა?

— რომ ვითხრათ, ბიზნესი ჰქონდა ამერიკაში-მეთქი, არ იქნება სწორი. ჩვენ ორთვიანი ტურნე გვქონდა ევროპაში, — მოვიარეთ ის ქალაქები, სადაც დათო ბიზნესს ეწეოდა. ამერიკაში კი, იმიტომ დავსახლდით, რომ ასე გვინდოდა. სამი წელი ვიცხოვრეთ იქ. შემდეგ დათო წამოვიდა. მე სამი თვის შემდეგ ჩამოვედი, რადგან ვსწავლობდი თეატრალურ განყოფილებაზე და მაშინვე წამოსვლა ვერ შევძელი. სწავლა და საცხოვრებელი ამერიკაში ყველაზე ძვირია. მაგრამ იქ ყველა, ბიზნეს-ფაქტორებზე სწავლობს. ალბათ, ამიტომაც, სამსახიობო ფაქტორები არ იყო იმდენად ძვირი, როგორც მარკეტინგის, ვწესვარ, რომ თბილისში ჩამოს-

ვლის შემდეგ, ისევ თეატრალურ ინსტიტუტში არ განვაგრძე სწავლა.

— ბავშვი ამერიკაში შეგეძინა?

— ღიახ. ანდრო უკვე წლინახევრისაა. ის ამერიკის მოქალაქეა. შემიძლია ვთქვა, რომ მშობიარობის სიმწარე არც მიგებია, არც ტკივილი მიგრძნია, რადგან იქ არის იმის საშუალება, რომ ქალს სამშობიარო ტკივილები გაუყურონ. ანდროს ენდრო უკვირა. ჩვენ ვეძახით ანდროს. არანაირ პრობლემას არ მიქმნის. პირიქით, როცა შინ დადელი მოვდივარ, გუნება-განწყობას მიუძღობს და სტრესის მოხსნაში მეხმარება. ბავშვის აღზრდაში ძიძა და დედა მეხმარებიან.

— მატერიალური პრობლემები არ გაწუხებთ?

— ვართ საშუალოდ — არც თავზე გადავდის და არც გვაკლია რამე. მეტი არც მინდა: ირგვლივ ისეთი გაჭირვებაა, რომ არაფერი მაქვს საწუწუნო.

— ტანსაცმელს სად ყიდულობ ხოლმე?

— ძირითადად, ჩემს ქმარს ჩამოაქვს ხოლმე. როცა საზღვარგარეთ მიდის, იქ ჩემთვის ორიგინალურ რაღაცებს ყიდულობს. ძალიან კარგი გემოვნება აქვს და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მისი ნაყიდი ტანსაცმელი რომ არ მომეგებოდა. დედაჩემს ეს ძალიან უკვირს. ეკითხება ხოლმე: ასე როგორ არჩევ, მტკაველებით გყავს ცოლი გაზომილი? პარფიუმერია და სუნამოც იქიდან ჩამოაქვს. საჩუქრად ძირითადად, სამკაულებსა და თაიგულებს მიძღვნი ხოლმე. თანაც, ყოველთვის ორიგინალურს. ქორწილში, წითელის ნაცვლად, თეთრი ვარდები მომიტანა... ერთი სიტყვით, საჩუქრებით მანებივრებს. მისგან ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — ჩემი შვილია. ამბობენ, ღმერთი ყველაფერს ერთად არ იძლევაო, მე ღმერთმაც გამანებივრა. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბედნიერი ვარ.

— რამდენადაც მახსოვს, შენი და დათოს რომანი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა „მის საქართველო“ გახდა?

— მე ჯერ „მის თბილისი-1997“ გავხდით. ეს იყო ჩემთვის საოცარი მოვლენა. ამ გვირგვინით თუ ტიტულით, იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ არაფრით მინდოდა „მის საქართველოზე“ გამოსვლა, მაგრამ ჩემი ახლობლები ისე დაჟინებით მოთხოვდნენ ამას, რომ უარი ვეღარ ვთქვი, თუმცა, შემინოდა, დიდი წარმატების შემდეგ, უცებ მარცხი არ განმეცადა. მოხდა პირიქით: „მის საქართველოც“ რომ გავხდი, ბედნიერებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. ეს ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის. მიმაჩნია, რომ ისეთი დონის კონკურსი საქართველოში აღარც ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ პრიზები საკმაოდ უმნიშვნელო იყო: მომცეს პარფიუმერიის ნაკრები და „სონის“ მაგნიტოფონი, შემ-

დეგ, სამი გოგო, მოსკოვში — „მის თანამეგობრობის“ კონკურსზე წავიდით. ეს ჩემი გამოცხურების პერიოდს დაემთხვა. დათო მაშინ ნიუ-იორკში იყო. კონკურსის მონაწილეები გაძლიერებული დაცვის ქვეშ ვიმყოფებოდით. მახსოვს, დედაჩემსაც არ უშვებდნენ ჩემთან. ერთსადამოს მითხრეს: მნახველი მოგივიდაო, გამოვედი და დათო დამხვდა. წარმოიდგინეთ, რა მომივიდოდა: წინა საღამოს, ამერიკიდან მელაპარაკა ტელეფონით, მეორე დღეს კი, ჩემს სანახავად, მოსკოვში განჩნდა!.. ძალიან დასამახსოვრებელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მაგრამ არა ერთადერთი...

— ყველაზე მეტად, რომელმა ქვეყანამ მოგხიბლა? იმ ქვეყნებიდან, სადაც შენ იმოგზაურე, სად ისურვებდი ცხოვრებას?

— არაჩვეულებრივი იყო ამერიკაში გატარებული ყოველი დღე. თითქმის ყველა ცნობილი ვარსკვლავის კონცერტს დავესწარი. დაუვიწყარია შთაბეჭდილება, რომელიც შერის და ჯენეტ ჯექსონის კონცერტებიდან გამომიყვია, თან, ამერიკის ქუჩებში შესაძლებელია, ფეხით მოსიარულე ვარსკვლავს შეხვდე. ამ დროს საოცარი განცდა გეუფლება ადამიანს. იყო ასეთი შემთხვევა: დილით ადრე უნივერსიტეტში გავბრდი. უცებ დავინახე ლივ ტაილერი. ქუჩაში ყველა თავისი საქმით იყო გართული და ყურადღებას არავინ აქცევდა. მის დანახვაზე შევეყირე. თვალები გაუბრწყინდა და გაღიმებულმა შემომხვდა: ალბათ გაუხარდა, რომ ვიდაცამ იცნო. ნიუ-იორკი ჩემი საყვარელი ქალაქია, თან — ძალიან ახალგაზრდული. ევროპა მკვეთრად განსხვავებულია ამერიკისგან, თანაც, იქ ბევრი მეგობარი შევიძინე. მსოფლიოს ბევრ ქალაქთან მაქვს მიმოწერა: მეგობარი მყავს ააბონიამი, ამერიკაში, ბრაზილიაში, პარიზში, და ა.შ. საიმიუნებით წავიდოდი და ვიცხოვრებდი ნიუ-იორკში...



ნანა ქიბიშაური

თუ ჯინსის მოყვარული გოგი თარგამაძე, სადმე პალსტუხით დალანდოთ, მინდა იცოდეთ, რომ ეს მისი მეუღლის, ნინო მუშუყუდიანის დამსახურება იქნება. ნინო გათხოვების შემდეგ, თარგამაძეების ოჯახში რეფორმების დაწყებას მეუღლის გარდერობიდან აპირებს და იქ პირველ რიგში, ჯინსის კლასიკური კოსტიუმებით ჩანაცვლებას შეეცდება. რა შედეგდება დაოჯახების შემდეგ, რესტორნების „კოვბოიდ“ მონათლულ ლევან პირველთან დაპირისპირებული თარგამაძის ცხოვრებაში? მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქმის არაფერი, გარდა იმისა, რომ ახლა მასაც ექნება კოშკი, თუმცა — ცოლის მხრიდან მისი მეუღლე 23 წლისაა, გიგიზე 10 წლით არის უმცროსი და 43, ჰა-ჰა — 45 კილოგრამს იწონის. ყოველ შემთხვევაში, ბატონი გიგისთვის მისი ჰაერში ატაცება არანაირ პრობლემას რომ არ წარმოადგენს — ამაში დაჯრწმუნდით. ქერა და ცისფერთვალეა ნინომ ოთხ თვეში მოხიბლა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გართული თარგამაძე და თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთ აქტივისტს, თავისუფლება მაშინ დააკარგინა, როდესაც ის ამას ყველაზე ნაკლებად ელოდა. ინტერვიუს ჩასაწერად თარგამაძეებს საღამოს 9 საათზე ვესტუმრეთ. პირველი, ვინც კართან შემოგვეგება, იყო ხანდაზმული ძალი ბენჭამენი, რომელიც სიბერის გამო დაინვალიდებული და ორივე თვლით დაბრმავებული. ბენჭამენის გარდა, თარგამაძეებს ოჯახში სპარსული კატაც ჰყავთ. პატარძალს თურმე კატები დიდად არ ესატყება გულზე, მაგრამ რას იზამს? — ჯერ პატარძალია და ცდილობს, „შეგუების პერიოდს“ წარმატებით გაართვას თავი. სხვა რა გითხრათ? — სჯობს, დანარჩები თვითონ გიგიმ და ნინომ მოგვითხრონ.

ნინო მუშუყუდიანმა ვიუ თარგამაძის პირად ცხოვრებაში „ჩიუონმა“ დაიწყო



— პირველი კითხვა: სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი? ბიძი:

— ერთმანეთი თბილისობის დღეს, ჩვენი საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით. ნინო მეგობრებთან ერთად იყო რესტორანში. ჩვენც დავეწვიეთ სუფრაზე, მერე ერთად გავისეირნეთ, მერე კიდე შევხვდით ერთმანეთს, კიდე გავისეირნეთ, ბოლოს კი, შემთხვევით, ბაკურიანში აღმოვჩნდით ერთად.

— გამოდის, რომ რესტორანთან მართო უბედობა კი არა, ბედიც გაცავს ირებთ...

— ასე გამოდის!

— ლევან პირველიც აპირებდა ავსტრიელ მზეთუნახავზე დაქორწინებას, მაგრამ ეტყობა, „პატარა შეფერხებას“ აქვს ადგილი. მისთვის ხომ არ გინდოდათ დაგესწროთ?

— არა. ბაკურიანში ლევან პირველი ნამდვილად არ მასხოვდა, მაგრამ ის ისეთი „წყობის“ პიროვნებაა, რომ შეიძლება, მართლაც ფიქრობს — მეუღლე, თანაც მუშუყუდიანი, მისი ჯინაზე მოვიყვანე.

— დაპირისპირებულები კი ხართ, მაგრამ იქნებ, მაინც რამე ურჩიოთ. რას ეტყოდით — კარგია დაოჯახება? ეთანხმებით აზრს, რომ ეს მამაკაცს ერთგვარად აკეთილშობილებს.

— რა უნდა ვურჩიო ლევან პირველს? ერთადერთი, რაც შემიძლია ვუთხრა, ის არის, რომ როდესაც ის თავის საგვარეულო კოშკს ახსენებს, მინდა იცოდეს: ახლა ჩვენც გვაქვს ჩვენი საგვარეულო კოშკი. და თუ დაოჯახება მამაკაცს აკეთილშობილებს, ვფიქრობ, რაც ვიყავით, იმაზე მეტად გაკეთილშობილება არავის გვაწყენს. თუმცა, ამან ყველას შეიძლება ვერ უშველოს.

პირადად ლევან პირველს კი, პირველ რიგში, მშვიდ ცხოვრებას ვუსურვებ.

— თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი კი ხართ, მაგრამ ქორწინებამდე სასიყვარულო კავშირებზე მაინც ვერაფერს გკითხავთ. უფრო სწორად, კითხვას სხვანაირ ფორმულირებას მივცემ: გაიხსენეთ პირველი სასიყვარულო თავგადასავლება.

— სკოლაში და შემდეგაც, მოწონების დონეზე მქონდა რაღაც გატაცებები, მაგრამ სერიოზული არაფერი. შემიძლია ვთქვა, რომ ნინო ჩემი პირველი სიყვარული და ის აბსოლუტურად წმინდა და უანგაროა, სწორედ ისეთი, როგორც უნდა იყოს პირველი სიყვარული.

— ნინო, ახლა თქვენც მოგიწევთ პასუხის გაცემა.

— სიამოვნებით. პირველი სიყვარულის გრძნობა ოთხი წლის წინ განვიცადე. მას შემდეგ არავინ მყვარებია, მეგონა, არასოდეს აღარავინ შემეყვარებოდა, მაგრამ დრო მართლაც ყველაფრის მკურნალია და მე ახლაც შეყვარებული ვარ.

— თქვენს დაოჯახებაზე მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ? როგორც ვიცი, ორივე „გაიპარეთ“.

ბიძი: — ჩემს მშობლებს მშვენიერი რეაქცია ჰქონდა. ნინოს მამა არ ჰყავს. დედამისმა კი, როდესაც ბაკურიანიდან დაქორწინებულები დავბრუნდით, ერთი-ორი ტყბილი სიტყვით შემამკო. ვერ ვიტყვი, რომ არ ვიმსახურებდი, ბოლოს და ბოლოს, მშობლების გარეშე, დამოუკიდებლად გადავწყვიტეთ

ყველაფერი. რაც შეეხება გაპარვას – არ გაგპარულვართ, საამისოდ ასაკი არ მიწყოლბდა ხელს, უბრალოდ, იქ შევხვდით ერთმანეთს და საბოლოოდ გავერკვიეთ იმაში, თუ რა გვინდოდა. ჩემი მეგობრების უმრავლესობა მომხრე იყო, უფრო სწორედ – მზად იყო იმისათვის, რომ ნინო მოგვეტაცებინა და უამრავჯერ მივიღე ამ საქმეში მათგან დახმარების შემოთავაზება. მაგრამ ბოლომდე ჩემი იდეების ერთგული დავგრჩი და ნორმალური, ადამიანური ურთიერთობითაც მოვახერხე ნინოს დაყოლიება. ჯვარი იქვე, ბორჯომის ეკლესიაში დავიწერეთ. ვფიქრობდით, რომ ძალიან ვიწრო წრეში ჩავატარებდით ამ ცერემონიას, მაგრამ ხომ იცით, ხმები რა სწრაფად ვრცელდება. ბოლოს ძალიან ბევრმა ჩვენმა მეგობარმა მოიყარა თავი ბორჯომში და არც ისეთ ვიწრო წრეში ჩატარდა ჩვენი ჯვრისწერის ცერემონია, როგორც გვეგონა. ამ დროს ერთი კურიოზიც შეგვემთხვა. არც ერთს არ გაგვხსენებია, რომ ჯვრისწერისთვის საჭირო იყო საქორწინო ბეჭდები. როცა საქმე-საქმეზე მიდგა და ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით, უცებ გავიქცეთ: ბორჯომის მალაზიაში და სამლარიანი ბეჭდები ვიყიდეთ, რომელსაც დღემდე ვატარებთ. აი, ასე – ექვს ღარად მოვიყვანე ცოლი. ნინოსაც სამი მეჯვარე ჰყავდა და მეც. როდესაც მათ გაიგეს, რომ ბეჭდები უკვე ნაყიდი გვქონდა, გვითხრეს, თქვენ რატომ წუხდებოდით? ამ ბეჭდებს ჩვენ ვიყიდოდა...

— როგორი დიასახლისი აღმოჩნდა ნინო?

— სადილების კეთებაზე ჯერჯერობით არ გადავსულვართ. ისე კი, რასაც აკეთებს, კარგად აკეთებს. უყვარს სისუფთავე და ჩემგან განსხვავებით, ძალიან მოწესრიგებულია.

ბიძო:

— მთელი დღის განმავლობაში დავდევი გვიის და იმ ნივთებს, რომელსაც აქა-იქ მიმოფანტავს, თავ-თავის ადგილებზე ვაბრუნებ. სადილების მომზადებაც მიყვარს, მაგრამ ჯერჯერობით აქ არ გამოიკეთება.

ბიძვი:

— საჭმელს მეც გადასარევედ ვამზა-



დებ. თავის დროზე, ნამცხვრებსა და ტორტებსაც კი ვაცხობდი. ხინკალზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – გადასარევი ხინკალი გამოძღვის, ხშირადაც ვაკეთებდი ზოლმე, როცა მეგობრები ერთად მოვიყრიდით თავს. მერე კი, ეს პროცესი ჩემთვის ძალიან აუტანელი გახდა, რადგან სანამ ხინკლის მოხარშვას დავამთავრებდი, ისინი უკვე კარგად ნაქეიფრები მხვდებოდნენ.

— რაც შეეხება ქეიფს — თქვენი ოპონენტებისგან ხშირად მსმენია, გივი თარგამაძეს ალკოჰოლისადმი ჰქონდა მიდრეკილება და ეს ისეთ პრობლემადაც ექცა, რომ მკურნალობაც კი დასჭირდაო. რაღაც კაფსულაც გქონიათ მხარში ჩაკერებული...

— ვიცი, ვინც არიან თქვენ მიერ ნახსენები ოპონენტები. ისინი არიან „უზუნაესი ოჯახის“ წარმომადგენლები – ცოლქმარი ჯონთაბერიძეები, უფრო სწორედ, ცოლ-ქმარი შვეარდნაძეები. ისინი ხშირად მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: სასმელს არ უნდა გადააყოლო სამშობლო! ჩემ შესახებ ამ ჭორის გავრცელებაც მათი წყალობით მოხდა. საკითხავი ის არის, მათ რას გადააყოლეს სამშობლო. მე გაცილებით მეტი მეგობარი მყავს, ვიდრე ჯონთაბერიძეებს. ხშირად ვარ მათ გარემოცვაში და ბუნებრივია, ჩვენი შეხვე-

დრა ხშირად სუფრით მთავრდება ზოლმე. ვერ ვიტყვი, რომ დიდი მსმელი ვარ, ან რაღაც განსაკუთრებული სიმთვრალე მაქვს, რაც შეეხება მკურნალობას – საქმე აქამდე ნამდვილად არ მისულა და არც მომავალში მივა.

— ნინო, ალბათ უკვე გქონდათ საშუალება, საფუძვლიანად დაგეთვალიერებინათ მეუღლე. კაფსულა მართლა არ აღმოგიჩენიათ?

— არანაირი კაფსულა არ აღმომიჩენია. პრინციპში, არც მიძებნია. საერთოდ კი, მინდა ვითხრათ, რომ გვივის, მაშინაც, როცა ნასვამია ძალიან კარგი ხასიათი აქვს, ის ძალიან თბილია და, სხვათა შორის, იარაღსაც არ ატრიალებს...

ბიძვი:

— საერთოდ, იარაღთან მე ძალიან ცუდი დამოკიდებულება მაქვს. დიდი აბრაგი მე არ ვყოფილვარ და იარაღთან აქტიური შეხება არასდროს მქონია, მაგრამ კარგად მასწავლეს სახელმწიფო გადატრიალებისა და „მხედრობის“ თარეშის პერიოდი. მაშინ ძალიან ხშირი იყო იარაღთან დაკავშირებული ტრაგიკული შემთხვევა, ბევრი ჩემი მეგობარი იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო, დაიღუპა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ იარაღის გაჩხაკუნებაზე დღესაც მაქვს უარყოფითი რეაქცია. იარაღის ტარებას, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალი მსროლელი გებრძვის, აზრი არ აქვს. შეიძლება, ეს უარესიც იყოს. როდესაც პატარა კინკლაობის დროს იარაღს ამოიღებ, შეიძლება ექსცესის მიზეზი თვითონ გახდეს.

— ვინ არის თქვენთვის მისაბაძი წყვილი?

— ჩემი დედ-მამა მე მეონია, რომ იდეალური წყვილია.

— ოჯახში გყავთ ცხოველებიც. მათ როგორ მიიღეს ნინო, ხომ არ ეჭვიანობენ?

— არა, ბენჟამენი იმ ასაკში აღარ არის,



შ
რ
პ
ხ
ე
ბ

ხელმძღვანელი ისეთივე ადამიანია, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, ოღონდ მან ამის შესახებ არ იცის

რაიმონდ ჩანდლერი

ბენიკლერი

რომ იეჭვიანოს. ის 13 წლის არის. მისი ასაკი ძალისთვის, იგივეა, რაც ადამიანისთვის – 91 წელი. ის ერთ წელზე მეტია, რაც ველარაფერს ხედავს. ბუბუსთვის კი, ჩვენი კატისთვის, მე მგონი, სულ ერთია, რა ხდება ოჯახში. სძინავს, იღვიძებს, ჭამს, ისევ იძინებს – ასეთია ბუბუს დღის რეჟიმი.

— როგორც მიგვხვდი, ნინოს თქვენი გარდერობის „გაკლასიკურება“ აქვს ჩაფიქრებული, რამდენ ხანში უნდა ველოდოთ შედეგს?

— კოსტიუმს რაც შეეხება, შეიძლება მისი ხათრით რამენაირად მოვირგო, მაგრამ ჰალსტუხის ტარებას ვერ შევპირდები. ჩემი და იტალიაში გათხოვდა. როდესაც საქორწინო ტანსაცმელს ვარჩევდით და ჯერი ჰალსტუხზე მიდგა – უნდა გენახათ, რა მოხდა: მალაზიის მთელი პერსონალი სხვადასხვანაირი ფერისა და ფორმის ჰალსტუხებით დამდედა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.

— ჩაცმის სტილის ცვლილებას საზოგადოება ადვილად გადაიტანს, მაგრამ როდესაც მეუღლის გავლენა პოლიტიკასთან კავშირში მყოფი პერსონის საქმიანობასაც ეტყობა ხოლმე, — ეს კი ჩვენში ძალიან მტიკინეულად აღიქმება.

ნინო:

— მე გვიის შესახებ მის გაცნობამდე არაფერი ვიცოდი. საერთოდ არ მაინტერესებს პოლიტიკა, ასე რომ, გვიის საქმიანობაში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებ.

ბივი:

— ცოლის მოყვანას ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებსა და შეფასებებზე გავლენა რომ არ მოუხდენია, ახლავ შეგიძლიათ დარწმუნდეთ.

— კი ბატონო, მაშინ ასეთ შეკითხვას დაგისვამთ: ბოლო დროს, პრეზიდენტის წარმატებულმა საგარეო პოლიტიკამ გული ხომ არ მოგიღბოთ?

— ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ბოლოდროინდელი აქტიურობის ინიცირება მისი სისუსტის გამოხატულებაა. მას ყველა რესურსი ამოეწურა – როგორც სამოქმედო, ასევე საკადრო. შეხედეთ – ვის, როგორ კადრებს ეყრდნობა პრეზიდენტი აქტიურობის დროს. დღევანდელი საგარეო პოლიტიკა ვინმეს შეიძლება წარმატებული ეჩვენება, მაგრამ მე ვფიქრობ, საქართველო სტიქიურად მიჰყვება მოვლენებს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის მისგან კონტროლირებადი. ჩვენს საგარეო პოლიტიკაში შეგარდნამე კი არა, რუსეთიც ველარაფერს წყვეტს. საქართველოს



ბედი დღეს ერთმნიშვნელოვნად, აშშ-ში წყდება. ასე რომ, გული არ მომღობია, რადგან მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიურობა, აქტიურობის სიმულირება და მეტი არაფერი.

— ნინო, არ ნერვიულობთ, როდესაც თქვენი მეუღლე ასეთ ხისტ განცხადებებს აკეთებს?

— რა თქმა უნდა, ვერვიულობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის ყოველთვის მართალია.

— გისურვებთ ბედნიერებას. თუ ნინოს ეს აზრი არ შეეცვლება, ვფიქრობ, მართლაც იდეალურ წყვილთან გვექნება საქმე. ■

პრესტიჟული სილამაზის სალონი „არმანი“ ბთაჰაზობთ მრავალფეროვან, მაღალხარისხოვან და ფასებით ხელმისაწვდომ მომსახურებას.



რა გამოგვარჩევს სხვა სალონებისაგან?

- ჩვენთან უმაღლესი კატეგორიის ქალისა და მამაკაცის თმის სტილისტიები შეგიჩვენებენ ვარცხნილობას. მეღირება, თმის შეღებვა კი უახლესი, თანამედროვე აპარატ „კლიმაზონის“ საშუალებებით ხდება.

- ჩვენთან ვიყენებთ გერმანული ფირმა „Wella“-ს პროდუქციას: შამპუნებს, ბალზამებს, მუსებს, სამკურნალო ჭაფს, ცვილს, ჟელეს, ლაქებს; პროფესიონალურ საღებავ „Koleston Perfect“-ს კი 80 სხვადასხვა ელფერი აქვს!

სიახლე!! - ექიმი კოსმეტოლოგი შემოგთავაზებთ სახის კანის კომპიუტერულ დიაგნოსტიკას, სახის გაწმენდის 10 საფეხური კი უახლეს ფრანგულ კოსმეტოლოგიურ კომბაინ „Micelle-10“-ის საშუალებით ტარდება!

- ჩვენთან უმაღლესი პროფესიონალიზმით შესრულებულ ვიზაჟს შემოგთავაზებთ.

- მანიკურის, პედიკურის სპეციალისტები მხოლოდ სტერილური იარაღებით მუშაობენ, რომელიც თანამედროვე, ე.წ. კვარცის ბურთულებიან სტერილიზატორებში 5-15 წამის განმავლობაში სტერილდება 280°C t⁰-ზე.

- გამოცდილი მასაჟისტი შემოგთავაზებთ სხვადასხვა ტიპის მასაჟს.

- დაბოლოს, თქვენს სულიერ სიმშვიდეზე იზრუნებს ფსიქოლოგი-ფსიქოთერაპევტი.

„არმანი“ - თქვენი სილამაზის და მომხიზვლოლობის გარანტი!

მობრძანდით ყოველდღე, პასტარის ქ. №2 (აღმაშენებელზე, რკინიგზის სახლის წინ).

ტელ: 96-48-53; 899-53-66-09

მეზო სანაგბე

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში 21 წლის ლევან აბულაშვილს ასამართლებენ. იგი განზრახ მკვლელობისთვისაა დაპატიმრებული. პროკურატურა მას 16 წლის ირაკლი ყაჭეიშვილის განზრახ, დანით, სასიკვდილოდ დაჭრის ფაქტში ადანაშაულებს. ტრაგედია 2000 წლის ზაფხულში, თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე დატრიალდა. მაშინ ლევან აბულაშვილი 19 წლის იყო.

იმ დღეს, დაზარალებულს, ნინო ჯანელიძეს მეორე შვილი მოუკლეს. პირველი, ირაკლის უფროსი ძმა — 16 წლის გიორგი ყაჭეიშვილი 1993 წელს ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

მოსამართლე მურაბ მებონია



„ორივე შვილი მოვიკლას... დამნაშავის დასჯას კატეგორიულად მოვითხოვ“

„დაზარალებულები პატიმარს დარბაზიდან „კოლიკაო“ — ეპანიან“

ნინო ჯანელიძე:

„მაშინ გიორგიც 16 წლის იყო. სრულიად შემთხვევით, უდანაშაულოდ, შეიწირეს მისი სიცოცხლე... ეს 1993 წელს მოხდა, როცა თბილისის ქუჩებში „მხედრიონი“ დათარეშობდა. საღამოს, კონცერტზე უნდა წასულიყო, მანამდე კი, მეგობარ ბიჭებს უნდა შეხვედროდა. დღისით, სამ საათზე ვაუშვით სახლიდან. მეგობარს პავლოვის ქუჩაზე მდებარე საპარკმახეროში გაჰყვა. იქ თურმე ე.წ. „მთაწმინდის ბანდის“ წევრები მიცვივდნენ, ვიღაც ბიჭთან ანგარიშის გასასწორებლად და პირდაპირ ქუჩაში, იმდენ ხალხში, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხეს. იქ მყოფნი მაშინვე ძირს, მიწაზე გაწოლილან, მათ შორის — ჩემი შვილიც, მაგრამ რაღაც მომენტში წამოწეულა და ბრმა ტყვია სწორედ იმ დროს მოხვედრია... ფილტვში დაიჭრა, ე.წ. მოძრავი ტყვია მერე გულისკენ წავიდა და მოკლა...“

უფროსი შვილი სრულიად უდანაშაულოდ იმსხვერპლა ბანდიტების ტყვიამ. ამ საშინელებას რა მომანებლებინებდა? დავიტანჯე, მაგრამ ესეც არ მაკმარეს — უმცროსიც, დაუმსახურებლად, არაფრის გამო მომიკლეს. ორივენი 16 წლის ასაკში... წარმოიდგინეთ ჩემი

მდგომარეობა. ჩემისთანა გაუბედურებული დედა უსამართლობას ვერ მოითმენს და შვილის მკვლელობის დაუსჯელობას ვერავის აპატიებს. მეც, ვიდრე სული მიღვას, ვიბრძოლებ სიმართლისთვის და ირაკლის სისხლს არავის შევარჩენ...“

იმ ზაფხულს ირაკლი უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა. ინგლისური ჰქონდა დარჩენილი და ამ საგანში მეცადინეობდა. იმ დღესაც მასწავლებელი ჰყავდა. მე ჩემს მეგობარ ქალთან ერთად სამზარეულოში ვიჯექი, როცა ინგლისურის მასწავლებელი ოთახიდან გამოვიდა და წასასვლელად ემზადებოდა. გვითხრა — ირაკლით კმაყოფილი ვარო. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ბავშვი მთელი დღის მანძილზე ჩვეულებრივად იქცეოდა, მისთვის არც მე და არც მასწავლებელს რაიმე აფორიაქება, ან აღელვება არ შეგვიძინებია.

მასწავლებლის წასვლისთანავე ირაკლი მომიბრუნდა და მითხრა: დედა, ქვემოთ, მაღაზიაში ჩავალ, „კოკა-კოლას“ ვიყიდი და ლარი მომეციო. მივეცი ფული და მაღაზიაში ჩავიდა. დაახლოებით საღამოს 8 საათი იქნებოდა. მე მეგობართან საუბარი ვანუგარძე.

თხუთმეტ წუთში, მეზობლის პატარა ბავშვები ამოცვივდნენ და გვითხრეს — ირაკლი საავადმყოფოში წაიყვანესო. როცა საავადმყოფოში მივედი, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო...“

განსასჯელი და ჩემი შვილი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ. ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. ირაკლისგან (ისევე, როგორც სხვა ვინმესგან), მეგობარ ბიჭებთან მისი რაიმე უთანხმოების შესახებ არასოდეს მსმენია. ჩემი შვილი იმდენად მშვიდი ბუნების გახლდათ, რომ ეს გამოორიცხული იყო. მით უმეტეს, იმ პერიოდში, გამოცდებისთვის ემზადებოდა და უბნის ბიჭებთან ნაკლებად ჰქონდა ურთიერთობა, სულ წიგნებში იყო ჩაფლული... მართალია, რომ განსასჯელსა და მეზობელ ვაჟებს შორის უთანხმოების შესახებ ირაკლიმაც იცოდა, მაგრამ ნამდვილად ვიცი — იგი ამ უსიამოვნებაში გარეული არ ყოფილა. ირაკლი შემთხვევით აღმოჩნდა აღნიშნული უთანხმოების მსხვერპლი“.

საქმის მასალების მიხედვით, 2000 წლის ივნისის შუა რიცხვებში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია) 19 წლის ტყუპმა ძმამ — ლევან და შალვა აბულაშვილებმა, თავიანთ ოთხ მეგობართან ერთად, სცემეს ვინმე გიორგი არველაძე.

ამ უკანასკნელის სახლთან ახლოს. ამის შესახებ გიორგის ძმა — ლევან არველაძე თავის მეგობრებს — აბულაშვილების მეზობლებს, ლაშა დადიანსა და ლუკა ბერაიას მოუყვა.

მომხდარი ჩხუბიდან მესამე დღეს, დადიანი და ბერაია აბულაშვილებთან სალაპარაკოდ მივიდნენ. დაძახებაზე, ლევანთან და შალვასთან ერთად, სახლიდან მათი მშობლებიც გამოვიდნენ და ყვირილი დაიწყეს. დადიანი და ბერაია იძულებულნი გახდნენ, გაბრუნებულიყვნენ, თუმცა ამ დროს, მამამ — მიხეილ აბულაშვილმა თავის შვილზე — შალვა აბულაშვილზე ოფიციალურად რეგისტრირებული საფანტის პისტოლეტიდან რამდენჯერმე გაისროლა. ამ ფაქტმა ბიჭები უფრო გააღიზიანა და მეორე დღეს, როცა აბულაშვილების მშობლები დადიანის მშობლებთან შვილების შერიგებასთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად მივიდნენ, ამ უკანასკნელებმა მათ სთხოვეს: ბავშვები ძალიან გაღიზიანებულები არიან და თუ შეიძლება, შალვა და ლევანი რამდენიმე ხნით ქალაქიდან წაიყვანეთ, გარკვეული დროის შემდეგ მათი შერიგება უფრო გაადვილდება...

არველაძის ცემისა და აბულაშვილების სახლთან მომხდარი ინციდენტის შესახებ, საბურთალოს ქუჩაზე მცხოვრებმა ირაკლი ყაჭვიშვილმა და მისმა მეზობელმა — დავით გუდაძემაც შეიტყვეს. როგორც გაირკვა, ისინი არველაძეებსაც და აბულაშვილებსაც იცნობდნენ, ბერაიასთან და დადიანთან კი მეგობრობდნენ.

საქმის მასალების მიხედვით, 2000 წლის 27 ივნისს, საღამოს, დაახლოებით, ცხრის ნახევარზე, დავით გუდაძე საბურთალოს ქუჩაზე მდებარე №44 საცხოვრებელ კორპუსთან იდგა. ამ დროს, მასთან ირაკლი ყაჭვიშვილიც მივიდა. იგი გუდაძესთან მხოლოდ რამდენიმე წუთით შეეყოვნა, მერე კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს,

მალაზია „ლელასთან“ გადავიდა. მალაზიასთან იგი ლევან აბულაშვილს შეხვდა. ლევანი სახლიდან სივარეტის საყიდლად იყო გამოსული. ყაჭვიშვილმა მას არველაძის ცემისა და ბერაიასთან და დადიანთან მომხდარი კონფლიქტის გამო

უსაყვედურა. მათ შორის შელაპარაკება მოხდა, რომელსაც ჩხუბიც მოჰყვა. ჩხუბისას ლევან აბულაშვილმა ჯიბიდან დანა ამოიღო და იგი ირაკლი ყაჭვიშვილს რამდენჯერმე ჩაარტყა. ყაჭვიშვილი გულმკერდის არეში და მუცლის ღრუში სასიკვდილოდ დაიჭრა.

ეს რომ დავით გუდაძემ დაინახა,

დაისაჯოს...

თავდაპირველად, როცა ფაქტი მოხდა და ეს ამბავი პრესამ და ტელევიზიამ გააშუქა, საკმაოდ გარკვევით ითქვა, რომ მკვლელობა აბულაშვილის მიერ, მისივე დანით მოხდა. არსებობს პუბლიკაცია, სადაც აბულაშვილის სიტყვე-

„ხუთი ჭრილობა, აქედან ორი — სასიკვდილო (გულსა და ღვიძლში) ჰქონდა მიყენებული...“

მაშინვე მათკენ გაიქცა, რათა ირაკლის მიშველებოდა. აბულაშვილმა დანა მასაც მოუქნია და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა — ჯერ ქუჩის საპირისპირო მხარეს, სვაჭრო ჯიხურებისკენ, შემდეგ კი, თავისი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. გუდაძე მას დაედევნა. ამ დროს, დაჭრილი ირაკლი №44 კორპუსთან მივიდა, იქვე მდგომ მეგობრებს უთხრა — დაჭრილი ვარო — და დავარდა. ხალხი მასთან მისაშველებლად მივიდა, მეგობრებმა (გაგოშიძემ, კორინთელმა და ლომჯარიამ) დაინახეს ლევან აბულაშვილი, რომელიც გარბოდა და თან ხელში დანა ეკავა, უკან კი გუდაძე მისდევდა. მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და აბულაშვილს ისინიც დაედევნენ, გაქცეულს იქვე მდებარე სკვერში შეჰყვეს. თან, რაც ხელში მოჰყვებოდათ, ესროდნენ, თუმცა, დანით შეიარაღებულ აბულაშვილთან მიახლოება ვერ გაბედეს. ხმაურზე ეზოში აბულაშვილის მშობლები გამოვიდნენ და შვილი სახლში შეიყვანეს.

ირაკლი ყაჭვიშვილი საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა, იგი მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ინფო ჯანელიძე:

„ხუთი ჭრილობა, აქედან ორი — სასიკვდილო (გულსა და ღვიძლში) ჰქონდა მიყენებული... განსასჯელის დედ-მამას ადრე არ ვიცნობდი. როცა შვილი დამელუპა, დედამისს უნდოდა ჩემი ნახვა, მაგრამ არ მივიღე. აბულაშვილმა (მნიშვნელობა არა აქვს, რა ვითარებაში) შვილი მომიკლა და იგი უნდა

ბია დაფიქსირებული: „იმ დღეს დანა ბაბუაჩემს გამოვართვი, თავად ბაბუამ მომცაო...“

დღეს განსასჯელი ამას უარყოფს. იგი პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ ჩხუბის დროს დანით შეიარაღებულ თავდამსხმელებს — ყაჭვიშვილსა და მის მეგობრებს თავად იგერიებდა.

ლევან აბულაშვილი (ბრალდებულად დაკითხვისას მიცემული ჩვენებიდან):

„... სივარეტის ყიდვის შემდეგ, მალაზიიდან გამოსვლისას, კართან ირაკლი ყაჭვიშვილი, დათო გუდაძე, ნიკა ლომჯარია, „ბომბორა“ (სახელი და გვარი არ მახსოვს) და უცნობი ბიჭი დავინახე. მივესალმე მათ და წამიერად შევჩერდი. გუდაძემ ხელში ხელი მომიკიდა და მითხრა, ერთი წუთით წავეოლოდი. როცა შევეკითხე — მეძებთ-მეთქი? — მითხრა: რამდენს ბლატაობო! — და გულმკერდში ხელი დამარტყა. დარტყმისგან კედელს მივეჯახე. ამ დროს, ირაკლი ყაჭვიშვილმა მუშტი დამარტყა. მე ორივე ხელი სახეზე მივიფარე და ოდნავ მოვიხარე, რადგან სხვებიც მირტყამდნენ, თან ხმამაღლა მაგინებდნენ დედას. მათ მოგერიებას ცდილობდი. მარცხენა მხარეს, მუცელზე ვიგრძენი, რომ დანა დამარტყეს, რაღაც წამში, დანის წვერსაც მოვკარი თვალი, მაგრამ ვის ეჭირა იგი ხელში, ვერ დავინახე. წონასწორობა დაკარგე და ასფალტზე გვერდულად დავეცი. მიწაზე, გახსნილი დანა შევნიშნე, მარცხენა ხელით ავიღე



მოკლეული ირაკლი ყაჭვიშვილი

და დანის ქნევა დაეწყო. თან ფეხზე წამოდგომა მოვახერხე... ვერ დავინახე, რომელიმეს მოვარტყი თუ არა დანა... როგორც კი საშუალება მომეცა, ვავიქეცი... ვერ დავინახე, ვინ მომდევდა... ვიგრძენი, რომ ჯერ ზურგში, შემდეგ კი, თავში დამისვა ვიღაცამ დანა... მოვტრიალდი და დავინახე, რომ დანა ხელში ეკავა ლაშას, რომლის გვარი არ ვიცი... ორ ნაბიჯში გულადე შევნიშნე, მას ხელში თეთრი რკინის ჯოხი ეკავა, დამარტყა და შემავინა... „ბომბორასაც“ ჯოხი ეჭირა ხელში... კორინთელი, მგალობლიშვილი, ოთხმეზურიც იქ იყვნენ, მაკინებდნენ და მკემდნენ“.

პროკურატურამ ლევან აბულაშვილის ჩვენება არ გაიზიარა, რის მოტივადაც, მოწმეთა ჩვენებებზე მიუთითა. შემთხვევის ადგილას მყოფი კორინთელი, ლომჯარია, გაგომიძე და სხვები აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად ჩხუბი მხოლოდ ყაჭვიშვილსა და აბულაშვილს შორის მოხდა. მათი თქმით, როცა ბიჭები გაქცეულ აბულაშვილს დაედევნენ, ირაკლი უკვე დაჭრილი იყო.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ლევან აბულაშვილის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებები მიყენებულია მჩხვლეთავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, ხოლო ნაჭდეუები და სისხლნაჟღერებები — მკერივი და ბლაგვი საგნით. ექსპერტთა მტკიცებით, დაზიანებები მსუბუქ ხარისხს მიეკუთვნება. გამოძიებლის აზრით, აბულაშვილმა აღნიშნული დაზიანებები მაშინ მიიღო, როცა მას დადევნებული ბიჭები რკინის საგნებს (მათ შორის მჭრელ თუნუქის ნაჭრებს) ესროდნენ.

გარდა ამისა, საქმის მასალებში დევს სიღნაღის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს

უფროსი ინსპექტორის — გურამ კრაწაშვილის (ოფიციალური ოქმების თანახმად, ლევან აბულაშვილი 2000 წლის 29 ივნისს, სიღნაღის რაიონის შს სამმართველოს განყოფილებაში საკუთარი ნებით გამოცხადდა და დანაშაული აღიარა), თბილისის საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს უფროსის — ალექსანდრე ტაბატაძის და საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის — მურად მაი-

სასამართლო სხდომებზე, დაზარალებულები ლევანის დამცირებას ცდილობენ — „დედიკოს ბიჭი“ ხარო, — დარბაზიდან ეუბნებიან და „კოლიკას“ უწოდებენ...

წინო ჯანელიძე:

„მთელი ცხოვრება შეილს იმას ვასწავლიდი — არავის ავნო, ვინმეს გული არ ატკინო და არ აწყენინო-მეთქი. სულ კონტროლის ქვეშ მყავდა. დანით იგი ქუჩაში არა-

მიწაზე, გახსნილი დანა შევნიშნე, მარცხენა ხელით ავიღე და დანის ქნევა დაეწყო. თან ფეხზე წამოდგომა მოვახერხე...

სურამის ჩვენებები, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ დაკითხვისას ლევან აბულაშვილმა ბრალი აღიარა და დააფიქსირა — დანა ჩემი იყო და იმ დღეს ჯიბეში მქონდაო.

პაპ მჭადლიშვილი, განსასჯელის დედა:

„ამ ეტაპზე, მომხდარის შესახებ საუბრისგან თავს შევიკავებ. ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი გარკვეული და არ მინდა, ჩემმა მონათხრობმა საქმეში რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის, რასაც დაზარალებულები ამბობენ, სიმართლეს არ შეესაბამება. მათი მონათხრობის შემდეგ, კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ჩემი შეილი ჩამოყალიბებული მკვლელია. არადა, სინამდვილეში, ვარდაცვლილმა და მისმა მეგობრებმა, ე.წ. შავი ვაგების ბიჭებმა, დაჩაგრეს ლევანი. თავს დაესხნენ, სცემეს, მოკვლას უპირებდნენ და რა — ჩემს შეილს თავი არ უნდა დაეცვა? დღესაც,

სოდეს გასულა. განსასჯელის მშობლები კი ცდილობენ, როგორმე დამტკიცონ, რომ მათ შეილს დანა თან არ ჰქონია, ძირს დაგდებული შენიშნა და მოსაგერიებლად მოიქნიაო... თავდაცვის დროს, მოსაგერიებლად, ადამიანს ხუთ ჭრილობას, მათ შორის ორ სასიკვდილოს, არ აყენებენ. შეილი დანით დამიჩეხა და მოვიგერიეო, ამბობს...“

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვა გრძელდება, თუმცა, სასამართლო სხდომებს გადადების საფრთხე უკვე არაერთხელ დაეუქურა. ამის მიზეზი, პატიმრის ავადმყოფობა გახლავთ. როგორც განსასჯელის მხარე ირწმუნება, აბულაშვილი ტუბერკულოზის მძიმე ფორმით არის დაავადებული. პატიმარს დარბაზში ხველა და ფილტვებიდან სისხლდენა აუტყდა. დაავადების ფაქტი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა, თუმცა, ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ტუბერკულოზის ხარისხის დასადგენად, სპეციალური გამოკვლევაა საჭირო.

განსასჯელის ადვოკატი აცხადებს, რომ სასამართლოში პატიმრის უფლებები უხეზად ირღვევა, რადგან მის მიერ დაყენებული შუამდგომლობა განსასჯელის ავადმყოფობის გამოსაკვლევად კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

ამ შუამდგომლობას არც პროკურორი და დაზარალებულები დაეთანხმნენ, რადგან მათი თქმით, ჯანმრთელობა პატიმარს სხდომებზე დასწრების საშუალებას ნამდვილად აძლევს.

სამ თვაში ღაპიალი 34 აზ.
 შიშხილისა და პარაჩიშის
 ბარეჟი. პარ 56 წლის და
 აბსოლუტურად ჯანმრთელი.

შამიძლია ღაპიალი

☎ 95 72 94 (ოფისი); 79-35-10; 99-45-28;
 899-50-37-38; 899-57-58-30 ბ-ნი სერგო

მონაწილე სასამართლოს წინაშე არ დაიფიცა

ჩაიღინა თუ არა პოლიციელმა დანაშაული საუნაში?

მეზი სანაშა

საოლქო სასამართლო ყოფილი პოლიციელის, გლდან-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორის, პოლიციის ლეიტენანტის, 33 წლის ზაზა იანვარაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვას აგრძელებს. იანვარაშვილის მიერ გასროლილმა ტყვიამ 33 წლის კახა კალანდარიშვილის სიცოცხლე შეიწირა (ვრცლად მომხდარი ფაქტის შესახებ იხ. „გზა“ №41, 2001 წ.).

ცნობილია, რომ პროკურატურამ აღნიშნული საქმე სასამართლოში, იანვარაშვილის მიმართ, გაუფრთხილებლობით ჩაღვნილი მკვლევლობის შესაბამისი მუხლით წარადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი კანონით ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დაზარალებულები კატეგორიულად არ ეთანხმებიან პროკურატურის დასკვნას და ირწმუნებიან, რომ 2001 წლის 30 იანვარს, მაუდის კომბინატის შენობაში ზაზა იანვარაშვილმა კახა კალანდარიშვილი განზრახ მოკლა. იანვარაშვილი ამ ბრალდებას უარყოფს. მისი თქმით, მას პისტოლეტი შემთხვევით გაუვარდა, თორემ კალანდარიშვილს განზრახ არ ესროდა, რადგან ისინი დიდი ხნის მანძილზე, უახლოესი მეგობრები იყვნენ.

იანვარაშვილისა და კალანდარიშვილის მეგობრობის ფაქტს გარდაცვლილის ნათესავები, მეგობრები და ოჯახის წევრები არ ადასტურებენ. ისინი ამბობენ, რომ განსასჯელსა და კალანდარიშვილს შორის, ამ უკანასკნელის მეგობრობისთვის ფულის სესხებასთან დაკავშირებით, ადრეც იყო უთანხმოება. ამ მიზეზით, როგორც დაზარალებულები ამბობენ, იანვარაშვილმა კახას მოკვლა ადრეც, 2000 წლის აგვისტოში, გლდანში მდებარე ერთ-ერთ საუნაშიც სცადა. განსასჯელი ამ ფაქტსაც უარყოფს, პროკურატურამ კი წინასწარი გამოძიებისას აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგე-

ნილება გამოიტანა.

სასამართლოში სადავო სწორედ ეს დადგენილება გახდა. დაზარალებულები ირწმუნებიან, რომ საუნაში მომხდარ ფაქტს არაერთი თვითმხილველი ჰყავს. კედელს კი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის კვალი კარგა ხანს ეტყობოდა, თუმცა, პროკურატურის თანამშრომლებმა ექსპერტიზა მას შემდეგ ჩაატარეს, რაც საუნა შეაკეთეს და შეეთვრებულ და გალამაზებულ კედლებს ნატყვიარი იმდენად აღარ ეტყობოდა. დაზარალებულთა ადვოკატის თქმით, განსასჯელის მხარე საუნის თანამშრომლებზე ზეწოლას ახდენდა, რის გამოც აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე ორი პიროვნება იძულებული გახდა, დიდუბეჩულურეთის რაიონის პროკურორ გივლა აბულაშვილთან შესულიყო და ამის შესახებ მოეხსენებინა.

საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა, საუნის თანამშრომელთა დაკითხვის თაობაზე დაზარალებულის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს. თუმცა, სწორედ მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი უნდა დაეკითხათ, სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა: „საუნის ეპიზოდის“ ძირითადმა მოწმემ, ამ დაწესებულების თანამშრომელმა, მარინა ჯაფიაშვილმა სასამართლოს წინაშე სისამართლის თქმის ფიცი არ დადო. მან მოსამართლეებს ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადა.

თეიმურ ბვიზიანი, დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„კანონის შესაბამისად, მოწმეს, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და დანაშაულის თვითმხილველია, უფლება არა აქვს, სასამართლოს ჩვენება არ მისცეს. მით უმეტეს, რომ მარინა ჯაფიაშვილმა წინასწარი გამოძიებისას მიცემულ თავის ჩვენებაში, შემდეგ კი ერთ-ერთ მოწმესთან დაპირისპირებისას გარკვევით აღნიშნა: დავინახე, რომ კახა კალანდარიშვილს ტყვია ზაზა იანვარაშვილმა ესროლა.“



ბრალდებული ზაზა იანვარაშვილი (მარჯვნივ)

მარინა ჯაფიაშვილმა აღნიშნა, რომ მან საუნაში მომხდართან დაკავშირებით არაფერი იცის. მან რომელიმე მხარისგან ზეწოლის ფაქტიც უარყო. თუმცა, სასამართლოსთვის, ისევე, როგორც დარბაზში მსხდომთათვის, საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რატომ მისცა ჯაფიაშვილმა წინასწარ გამოძიებას იანვარაშვილის მამხილებელი ჩვენება. მოსამართლეებს ამ შეკითხვის დასმის საშუალება სხლომაზე არ მიეცათ, მოწმის მიერ ფიცის დაუდებლობის შემდეგ, ისინი იძულებულნი გახდნენ, ჯაფიაშვილი დარბაზიდან გაეთავისუფლებინათ.

რაც შეეხება მეორე მოწმეს – საუნის აღმინისტრატორს – მარინა ბარბაქაძეს, იგი შემთხვევის უშუალო თვითმხილველი (როგორც თავად დასძენს) არ ყოფილა. **„ჯაფიაშვილმა დაპირისპირებისას მითხრა: მაშინ ბარის ოთახში, სადაც გასროლა მოხდა, შენ იყავი, მაგრამ იქ მე ნამდვილად არ ვყოფილვარ. მართალია, სროლის ხმა გავიგონე. იმ დროს დერეფნის ბოლოში ვიდექი; როცა ბარის ოთახს მივუახლოვდი, უკვე ყველა გაფანტულიყო. ვინ გაისროლა, მე არ დამინახავს.“** – განაცხადა მარინა ბარბაქაძემ. მან რომელიმე მხარისგან ზეწოლა უარყო, თუმცა, საგულისხმოა, რომ პროკურორ გივლა აბულაშვილთან მისვლის ფაქტი დაადასტურა. **„პროკურორთან მე და ჯაფიაშვილი მივედით. მარინა ძალიან ნერვიულია, ამ ამბის გამო ვენებიც გადაიჭრა... მაშინ პროკურორმა გამოძიებელს დაავალა – გამოარკვიე, მოწმეებზე ვინმე ზეწოლას თუ ახდენსო“,** – აღნიშნა ბარბაქაძემ.



„მედიკალიზა“ „ბიუსტის“ მეგობრულს მხ დიუსხლდისხრემხს



ლევა ჭანკოტაძე

გელოდი ფოცხიშვილი ხალხურ ქორეოგრაფიას პატარაობიდანვე ეზიარა. ცეკვაველა სხვადასხვა ახალგაზრდულ ანსამბლში და, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, ბატონმა ილიკო სუხიშვილმა თავის ანსამბლში სტაჟიორად მიიწვია. 1978 წელს მან ფოლკლორული ანსამბლი „მეტეხი“ ჩამოაყალიბა, რომლის ბაზაზეც შემდგომში, ეროვნულ-ავანგარდული ქორეოგრაფიული თეატრი დაფუძნდა. ამჟამად, სცენაზე უკვე „მეტეხის“ მოცეკვავეთა მეოთხე თაობა გამოდის. თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი გელოდი ფოცხიშვილია, წამყვანი სოლისტები და ქორეოგრაფები, მისი ვაჟები – დავით და გელა ფოცხიშვილები არიან.

„მეტეხს“ უამრავი ქვეყანა აქვს მოვლილი. 1993 წელს მისი ცეკვის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ესპანელმა იმპრესარიომ, ბერნარდო ვალინიომ ნახა და ანსამბლი ესპანეთში სავასტროლოდ მიიწვია. ამ ტურნეს დროს „მეტეხმა“ მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „რომარიონტერნაციონალი“, რომლის უმაღლესი ჯილდო – გრან-პრიც დაისაკუთრა. 1994 წლის მაისში ანსამბლმა იმოგზაურა ევოპტეში და პირველი ქართული კოლექტივი გახდა, რომელიც ოცი დღის მანძილზე მართავდა კონცერტებს კაიროს ოპერისა და ბალეტის თეატრში...

გელოდი ფოცხიშვილს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში „მეტეხის“ გასტროლებზე გამგზავრებადღე

რამდენიმე დღით ადრე შეეხვლით.

– ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი არსებობდა, ყველას მოეუწოდებოდა: დავღვათ მხოლოდ ქართული ცეკვები-მეთქი. მერე დაიწყო არეულობა, მოხდა ჩვენი კულტურის დატაცება: ჩვენ, ქართველმა ქორეოგრაფებმა, ოსური ცეკვა ისეთ რანგში ავიყვანეთ, რომ ბოლოს, აქეთ შემოგვედავენ, – ეს ცეკვა ჩვენია და ცერიც ჩვენიაო... ზოგიერთი ქორეოგრაფი კითხულობს: მეზობელი ქვეყნების ცეკვები, რატომ არ უნდა ვიცეკვოთ?! მე მიმანია, რომ ჩვენ უნდა ვიცეკვოთ ჩვენი ეროვნული ცეკვები. ანალოგიური დამოკიდებულება მაქვს დოლთან და გარმონთანაც: მე მომწონს, ვუსმენ, მაგრამ არც გარმონია ჩვენი და არც დოლი.

– ფაქტია: გარმონი ჩვენი მთის მონახლეობამ ისე შეითვისა, რომ მასზე უარის თქმა შეუძლებელი იქნებოდა.

– გარმონი ჩვენში შემოსული ინსტრუმენტია. ჩვენ მოვსაქეთ ეროვნული ინსტრუმენტები და დავიტოვეთ მხოლოდ გარმონი და დოლი. ქორწილში ეს მისაღებია, მაგრამ როცა ლა სკალაში მიდიხარ, იქ ამ ინსტრუმენტის (გარმონის) თანხლებით ცეკვა წარმოუდგენელია. დიდი ჩხუბი მქონდა ჩემი ასეთი მოსაზრების გამო. ოცი

მარცხნიდან: დავით, გელოდი და გელა ფოცხიშვილები



ინსტრუმენტი არსებობს ქართული. იყო ასეთი პიროვნება – კირილე ვაშაკიძე. მან აღადგინა მივიწყებული ქართული საკრავი – ბასი და გამოიგონა ქართული ფანდური, ნახევარტონით და ჩონგური. ორკესტრში ყველა საკრავი უნდა ჟღერდეს; დოლი და გარმონი ორკესტრისთვის მხოლოდ ცალკეული კომპონენტებია და არა წამყვანი.

– ჩვენ ხომ არ გვაქვს ორკესტრის ტრადიცია?

– გვქონდა, მაგრამ ის მოისპო ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. ხალხს ახსოვს კირილე ვაშაკიძის ორკესტრი, ფოლკლორის სახელმწიფო ორკესტრი, გველესიანის ორკესტრი. ორკესტრის განუყოფელი ნაწილია სალამური. მთელი მსოფლიო შემოვიარე, 80 ქვეყანაში ვიყავი და ყველგან ვნახე სალამური – ლათინურ ამერიკაშიც კი, – მაგრამ ჩვენი მწყემსური სალამური ყველასგან განსხვავდება...

– თქვენ გყავთ ორკესტრი?

– არა, ჩემი მოცეკვავეები ჩანაწერების თანხლებით ცეკვავენ.

– ე.ი. თქვენს ანსამბლს იმდენად სეროზული ფინანსური სიძნელებები აქვს, რომ ცოცხალი მუსიკის თანხლებით ცეკვა არ შეუძლია?

– ფინანსური პრობლემები მთელ საქართველოს აქვს და ჩვენ რომ გვქონდეს, რა გასაკვირია, მაგრამ ჩვენ გვაფინანსებენ. მართალია, „მეტეხი“ სახელმწიფო ანსამბლია, მაგრამ ჩვენს ტურნეებს იმ ქვეყნის იმპრესარიო აფინანსებს, რომელთანაც ხუთწლიანი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული. ეს ქვეყნებია: იტალია, ინგლისი, ამერიკა და ავსტრალია. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ კარგად გვიზღიან: ერთი კონცერტისთვის მოცეკვავეები 25-25 დოლარს იღებენ. ცოტაა, მაგრამ კულტურის მოღვაწეებს საქართველოში ამხელა ხელფასი ნამდვილად არ ეძლევათ. თანაც, ჩვენი მთავარი მიზანია ბაზრის



დაპყრობა.

— მსოფლიო ბაზარზე წარმატების წინაპირობა რა არის?

— რეკლამა. თქვენ როგორ გგონიათ — „ერისიონის“ წარმატება რამ განაპირობა? მე, მაგალითად, „შატილის ასულს“ ასეთი ფორმით არ გვაგაკეთებდი. არ წარვადგენდი ქართველ კაცს ამხელა წვერით... „ციცინების“ ბანაკი მიღის სადღაც მთაში... მაგრამ რეკლამამ „ყურით“ მოიყვანა მყურებელი კონცერტზე. იმ ერს, რომლის პოლიფონია და სიმღერა მე მგონი, კაცობრიობაზე აღრე გაჩნდა, სხვისი მიბაძვა არ სჭირდება.

— ჩემი აზრით, ქართულ ცეკვას ქომაგები არ აკლია...

— პროფესიონალური ქორეოგრაფიის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს. მათ გაიტანეს ქართული ცეკვა საერთაშორისო სარბიელზე. ცეკვა კომერციულიც უნდა იყოს და ამ კომერციაში ქვეყნის სულიერებაც უნდა იდოს და მოგებაც.

— რაიმე სერიოზული სირთულეები სომ არ ახლავს თქვენს ურთიერთობებს უცხოელ იმპრესარიოებთან?

— კონცერტებამდე ძალიან დიდ წინებს გავდივართ: იმპრესარიო გვიკვეცავს რეპერტუარს — რომელი ცეკვაც არ მოსწონს, იმას რეპერტუარიდან აგდებს. შემკვეთი ყველაფერში ერევა.

— შეიძლება, ასეთი მიდგომის გამო, ქართული სიმღერა და ცეკვა დაზარლდეს?

— რა თქმა უნდა. ამბობენ, „ერისიონის“ იმპრესარიომ, ჯიმ ლომ რვა წლით იყიდა ქართული სიმღერის ექსკლუზივი და ახლა გაცეხებული კითხულობს თურმე: სხვა ანსამბლები რატომ მღერიან იმ სიმღერებს, რომელიც ჩვენ ვიყიდეთ?..

პრესარიო მიხდის დადგენილ თანხას და მე ამის საფასურად ვცეკვავ. მე არც ქართულ ქორეოგრაფიას ვასწავლი უცხოელებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ზოგ-ზოგებმა 200 დოლარად გაიტანეს ქართული სიმღერები და იცით, რა გამოვიდა?

— ქართული ცეკვა და სიმღერა კომერციის საგნად იქცა. ჩვენ რომ იტალიაში ვიყავით გასტროლებზე, გვითხრეს — ავსტრალიაში თქვენი სხვა ანსამბლის გამოსვლა ვნახეთო: თურმე ამერიკელები ყოფილან და ქართულად უმღერიათ... ასე არ შეიძლება — ერის საუნჯეს გაფრთხილება უნდა.

— მაგრამ ეს სომ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების ერთ-ერთი გზაცაა?

— ქართული სიმღერის ექსკლუზიური უფლება არ უნდა მისცე სხვას, თორემ შენ რომ თუნდაც იაფად იმღერო და იცეკვო საზღვარგარეთ, ამაში ცუდი არაფერია. მაგალითად, მაიკლ ჯექსონმა „ბითლზის“ სიმღერების შესრულების ექსკლუზიური უფლება იყიდა. ინგლისში რომ ვიყავი, ყოველდღე ტელევიზიით გამოდიოდა აღმფოთებული პოლ მაკარტნი, რომელიც საკუთარ სიმღერებს ვეღარ მღერის, რადგან ამისთვის მაიკლ ჯექსონს უნდა გადაუხადოს თანხა... არაფერი აღარ დავიტოვეთ ჩვენთვის — ყველაფერი გაყიდეთ, მხოლოდ კულტურა და გვრჩა და ეს მაინც უნდა დავიცვათ კბილებით.

— კოსტიუმების პრობლემა თუ გაქვთ გადაჭრილი?

— დიახ. ფორმები ჩვენი სახსრებით შევიკერეთ, ამ საქმეში 25.000 დოლარი ჩავდე. ბატონი ზვიად გამსახ-

ჩვენი კატასტროფა სწორედ მაშინ იწყება, როცა ვიღაც, ქართული სიმღერითა და ცეკვით იჯიბავს მილიონებს, ანსამბლი კი, შემოსული თანხის მხოლოდ 5%-ს იღებს. მე არავის ვაძლევ ექსკლუზიურ უფლებას: იმ-

ურდიას პრეზიდენტობის დროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობაში გვქონდა რეპეტიციები. ერთ დღეს, მივედი და ვხედავ, რომ რუსთაველზე, წერეთლის პარტიის ხალხი დადის ჩვენი ხანჯლებით, ნაბღბითა და ჩოხებით... ყველაფერი წაიღეს. მიკვირს, იმის შემდეგ როგორ შევძელით ფეხზე დადგომა.

— თბილისში ხშირად რატომ არ მართავთ ხოლმე კონცერტებს?

— საოცრად დიდია გადასახადები — არენდის იქნება, სცენის მუშებისა თუ სხვა. ბილეთის ფასს ვერ გაზრდი, რადგან მაშინ, მყურებელი არ გვეყოლება.

— საზღვარგარეთ თქვენს კონცერტებზე ბილეთს რა ფასი ადევს?

— 50 დოლარი. ეს ნორმალური ფასია. ფაქტობრივად, ყველას შეუძლია, ბილეთი თავისუფლად შეიძინოს. ჩვენს კონცერტებზე ყავარჯნებით მოსული ხალხიც კი ვნახე შოტლანდიაში.

— თქვენ ამბობთ, რომ თქვენს თეატრში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცეკვაში ახალ აზროვნებას. რას ნიშნავს ახალი აზროვნება ცეკვაში?

— ტრადიციული ქართული ცეკვების საფუძველზე, ჩვენთან ახალი, თანამედროვე ეროვნული ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები იქმნება. ამასთან, თეატრი ინარჩუნებს ტრადიციულ, ქორეოგრაფიულ ნიმუშებს, მაგრამ უკვე ახალი მუსიკალური ინტერპრეტაციით. ცეკვები დადგმულია ქართველი კომპოზიტორების კლასიკურ და თანამედროვე მუსიკაზე. მთელი კონცერტი ფონოგრამის თანხლებით მიმდინარეობს, რაც მრავალფეროვანი მუსიკალური გაფორმების შესაძლებლობას იძლევა.



ქართველებს ხშირად აღგვაფრთოვანებენ ხოლმე უცხოელი მოღვაწეები და ჩვენ გვერდით მცხოვრებ ნიჭიერ ადამიანებს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ. ამის კიდევ ერთ მაგალითად, ალბათ 15 წლის ბასო ყაზიშვილი გამოდგება, რომელმაც უკვე 4 წელია, დასავლეთი გააოცა და ააღაპრა. „21-ე საუკუნის პიკასო და სალვადორ დალი“, – ასეთი შეფასება მისცეს ევროპულმა მედიამ და კრიტიკოსებმა პატარა მხატვრის შემოქმედებას.



11 წლის ბესო

„21-ე საუკუნის ქართველი პიკასო და სალვადორ დალი“

ხათუნა ჯაპახიშვილი
ნათია თენიკვილი

პირველად, ბესო ინგლისელმა ხელოვნების მოყვარულებმა გაიცნეს. ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ – რონი მაილისის გალერეაში 11 წლის ბიჭის ნახატების გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე ნახევარი საათით ადრე, მისი ყველა ნამუშევარი გაიყიდა... ბესო ყაზიშვილი ქუთაისში დაიბადა. უფროსი ძმის მიბაძვით, 4 წლის ასაკში დაიწყო ხატვა. მისი ნახატები

თავიდანვე უცნაური იყო. კიდევ უფრო ეუცნაურებოდა ყველას ნამუშევრებისთვის ბიჭის მიერ შერჩეული სახელები: მაგალითად, პირველ ნახატს მან „გალაქტიკა“ უწოდა – არადა, ასეთი ცნება, მისი ასაკის ბავშვს, თითქოს არც უნდა სცოდნოდა...

ბესოს დედა, ქალბატონი ირმა იხსენებს: „ერთ საღამოს, ბესოს, დაძინებისას, შემთხვევით, თავზე ყური დავაღე და ძლიერი ზუზუუნის ხმა მომესმა. ვიფიქრე, მომჩვენა-მეთქი, მაგრამ ზუზუნ არ წყდება“. შემინებულმა მშობლებმა ბავშვს ექიმები მოატარეს, მოსკოვშიც კი ჰყავდათ ჩაყვანილი, მაგრამ დიაგნოზი ვერაფერს დაუსვა. მაგრამ ერთ დღეს, ზუზუნის თავისით შეწყდა. მოგვიანებით ბესომ თქვა, რომ კოსმოსიდან მასთან „უცხო წერტილები“ მოდიოდნენ და ზუზუნით გადასცემდნენ ინფორმაციას იმაზე, თუ რა ხდებოდა კოსმოსში. დედის

კითხვაზე – ხომ არ გეშინია ამ „წერტილები“, ბესომ უპასუხა: ისინი კეთილები არიან და საშიში არაფერიაო. ქალბატონი ირმას თხოვნით, ბავშვმა რამდენიმე „წერტილი“ დახატა. ერთ-ერთზე, რომელიც ცალკე იყო მიხატული, ბესომ თქვა: ეს ყვითელი წერტილი ყველაზე ღივი ენერჯის მატარებელია და „ზუზუნა“ შევარქვიო...

ბესოს ნახატების პირველი გამოფენა ქუთაისში, მის სკოლაში მოეწყო. ბავშვის არაორდინარული ნიჭიერების შესახებ იმერეთის გუბერნატორმა, თებურ შამიაშვილმა შეიტყო და პარიზში გამართულ „იმერეთის დღეებზე“ ბესოც წაიყვანა. გუბერნატორის რეკომენდაციით, პატარა მხატვრით საქართველოს ელჩი ინგლისში, თეიმურაზ მამაკაშვილი დაინტერესდა. მან ბესო და დედამისი ლონდონში ჩაიყვანა და გარკვეული დროის მანძილზე, თავის სახლშიც უმასპინძლა. სწორედ ამ დროს მოეწყო 11 წლის ბესოს ნამუშევრების პერსონალური გამოფენა რონი მაილისის გალერეაში. მამის პარალელურად, ის უკვე ლონდონის სამეფო აკადემიაში სწავლობდა.

ამ გამოფენით გაიცნო ბესო ყაზიშვილი დასავლეთმა, მისი მონაცემები ინტერნეტშიც მოათავსეს. პრინცესა დაიანას მეგობრის, ლოდი ალფაიდის მამამ, მილიარდერმა მუჰამედ ალ ფაიედმა ბავშვი თავის უზარმაზარ სავაჭრო ცენტრში მიიპატიჟა. იქ ბესო სახელდახელოდ ქმნიდა პატარა ნახატებს და თავისი ავტოგრაფით დამშვენებულს ურიგებდა მსურველებს. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას.



უმსხვილესი ინგლისური გაზეთის The Times-ის წერილი, რომლის ავტორიც ბესოს, სალვადორ დალის აღარებს

შემდეგ ბესო ქუთაისში დაბრუნდა, სადაც მას ცნობილმა პროდიუსერმა რიკ ბილარდომ (სერიალ „სანტა-ბარბარას“ რეჟისორის შვილი, რომელიც ამავე სერიალში პოლიციელის როლს ასრულებს) ჩამოაკითხა. ის მიხვდა, რომ ბესოს სერიოზული კომერციული მოგების მოტანა შეეძლო და ქუთაისიდან ლოს-ანჯელესში წაიყვანა.

ბესო ყაზიშვილი მშობლებთან და ოთხ დედამიშვილთან ერთად, უკვე 4 წელია ლოს-ანჯელესის პრესტიჟულ უბანში მდებარე უზარმაზარ ვილაში ცხოვრობს. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისში ცხოვრების პერიოდში, ყაზიშვილების ოჯახს იმის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომ ბესოსთვის ნორმალური ხარისხისა და რაოდენობის საღებავები და სახატავი ქაღალდი ეყიდა, დღეს კი, მისი თითოეული ნაშუშეგარი, ათასობით დოლარად იყიდება და ახლა უკვე 15 წლის ბესო თავად არჩენს მთელ ოჯახს.

ბესოს ნახატების ძირითადი თემა, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია. ის ამბობს: კეთილია ადამიანი თუ ბოროტი, ეს ყველაზე ნათლად მისივე თვალებიდან ჩანს... სწორედ თვალზეა გადატანილი ძირითადი აქცენტი მის ნახატებში. „მე ვხატავ თვალს, რადგან ის ხედავს ყველაფერს. მე არ ვარ პროფესიონალი, მე არ ვარ მხატვარი, მე ახლა ვხატავ...“ – ამბობს MASTER BESO, როგორც მას დასავლეთში ეძახიან, თუმცა, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მისი აზროვნება და აქედან გამომდინარე, ნახატები წინ უსწრებს მის ასაკს...

ბესო ყაზიშვილისა და ლოს-ანჯელესში მისი ცხოვრების შესახებ ქართველმა ტელეკინემატოგრაფისტებმა – რეჟისორმა ჯუმბერ ებრაღიძემ და ოპერატორმა გოგი თორაძემ გვიამბეს. იმედია, ქართველი მაყურებელი მალე იხილავს მის შესახებ 30-წუთიან ფილმს, რომელზე მუშაობასაც ისინი უკვე ამთავრებენ. ამ სურათის გადაღება კი, ასე დაიწყო:

ჯუმბერ ებრაღიძე:

– ქუთაისში სხვა ფილმს ვიღებდით და ბესოს შესახებ შევიტყვეთ. შინ ვესტუმრეთ და გავოცდით მისი ნახატებითა და თვითონ ბავშვით – მისი აზროვნებითა და საუბრით. სხვათა შორის, თავიდან ძალიან გავევიწირა ბესოსთან კონტაქტის დამყარება, მაგრამ სანამ წამოვიდოდით, ბავშვი, როგორც იქნა, გაიხსნა და დაგველაპარაკა... მასალას სიუჟეტისთვის ვამზადებდით, მაგრამ შემდეგ დაფიქრდით და გადაწყვიტეთ, ცალკე ფილმი გადაგვეღო. გარკვეული დროის შემდეგ, ბესო მოვიკითხეთ, მაგრამ ის ქუთაისში აღარ დაგვხვდა: უკვე ამერიკაში წასულიყო. დავუკავშირდით მის ოჯახს ამერიკაში და აუხსენით, რომ ფილმის გადაღება გვსურდა ბესოს შესახებ. გადაძლუბი ჯგუფი ბესოს ბებიასთან, ორ დასთან და დედასთან ერთად გაემგზავრა ამერიკაში. ბევრი რამ შევიტყვეთ პატარა ქართველი მხატვრის შესახებ. ის იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს ლოს-ანჯელესში, რომ ქუჩაშიც კი ცნობენ. უფრო ვრცელად მისი იქაური ცხოვრების შესახებ მალე ჩვენი ფილმიდან შეიტყობთ.

ბესომ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტს, ბილ კლინტონს საკუთარი ნახატი გაუგზავნა წარწერით: „მოდი, ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის“. პრეზიდენტმა ასეთი წერილით უპასუხა: „ჩვენ, ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებით, შენ – შენი ხელოვნებით, მე – ჩემი პოლიტიკით“...

უახლოეს მომავალში აშშ-ში მზადდება გრანდიოზული აქცია, რომელიც 21-ე საუკუნის დადგომას ეძღვნება. პროექტის სცენარი მოკლედ, ასეთია: ცენტრში, გლობუსზე (ანუ დედამიწაზე) ბესო ყაზიშვილი დგას, მის უკან კი – მშვიდობის კედელია, რომელიც დაფარული იქნება ბესოს იმდენი ნახატით, რამდენი დღეც შეადგენს წელიწადს. აქცია ქართული საგალობლის ფონზე გაიმართება...

ფილმის გადაძლუბი ჯგუფის წევრები (მარცხნიდან): გოგი თორაძე, ჯუმბერ ებრაღიძე და (მარჯვნივ) თემურ ჩიხლაძე დათოსთან ერთად; ლოს-ანჯელესი, 1999 წ.



ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემანსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ქართული მხ/ფ-ის „უდიდლოში სასიძოს“ მთავარი როლის – გიშიკოს მამის რულეჯელია:



- ა) პარლამენტარი კოტე მგალობლიშვილი;
- ბ) გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე;
- გ) პარლამენტარი ზეზვა ლულუნიშვილი.

2. სად მოხდა ლუდის პუტჩი?



- ა) გერმანიაში;
- ბ) ჩრდილო ოსეთში;
- გ) იტალიაში.

3. რომელი ორდენით დააჯილდოეს კონსტანტინე მამისახურდია ორჯერ?



- ა) ლენინის;
- ბ) შრომის;
- გ) გმირობის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



თამრიკო
მონტენეგროს
ქმარსთან
პოლიციელები

მომტერალმა თამრიკო ჯონონალიძემ სულ რამდენიმე თვეა, რაც ახალი ავტომანქანა – „ოპელ ვექტრა“ შეიძინა. ოთხი წელია მომტერალი მძღოლის ხელობას მონდომებით ეუფლება, მაგრამ, როგორც მისმა მეუღლემ – მსახიობმა გია როინიშვილმა გაგვიმხილთა, ბევრი არაფერი გამოსდის...

აბიჭებიან...

6060 ჯავახიშვილი

– სხვათა შორის, ადრე არანაირი სურვილი არ მქონდა, რომ საქვსთან დაუმჯდარიყავი და არც არასდროს მიოცნებია, საკუთარი მანქანა მყოლოდა. მართვა გიას „ჟიგული-06“-ზე ვისწავლე, გიას გარდაცვლილი მეგობრის ძმები ნოვოროსიისკში ცხოვრობენ. სწორედ მათ აჩუქეს „მერსედესი“ და მანაც გადმომილოცა თავისი „06“, თან მიხვია: მართვა ისწავლე და ბავშვებს მაინც ატარებ სკოლაში. ასე გადავწყვიტე საქვსთან დავჯდომა.

– მანქანის მართვაც მეუღლემ გასწავლათ?

– გაიმ? არა, ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა: როცა რაღაც არ გამოდიოდა, ბრახვებოდა და ისე მიყვიროდა, რომ უფრო მეტად ვიბნეოდი. მერე ბიძაჩემმა ითავა ეს საქმე და, სხვათა შორის, ძალიან ამაყობდა ჩემით: კარგი მოსწავლე მყავხარო. მაგრამ ისიც მოუცვლელი იყო და ბოლოს, მასწავლებელი ავიყვანესომეხი ბიჭი იყო, რობერტი ერქვა. თავიდანვე მირჩია: მოდუნდი და ყოველგვარი დამაბულობის გარეშე მიუჯექი საქვსო, – თან გამაფრთხილა: ზოგჯერ სხვა მძღოლები შეგაგინებენ კიდევც, მაგრამ ყურადღება არ მიაქციო, წაუყრუე – ვითომ არაფერი გესმისო... პირველ ორ ცდაზე კარგად დავმართე მანქანა და შემაქო. მერე კი, საბეჭადლოდ მომაცილებდა ხოლმე ე.წ. საცობებში – აქ უფრო კარგად დაოსტატდებიო.

– ფსიქოლოგიურ რჩევებს რომ გაძლევდათ თქვენი მას-

წაფლებელი, შიში სომ არ შეგატყვოთ?

– არა, არაფრისაც არ მეშინოდა! ალბათ მის სხვა მოწაფე ქალებს ეშინოდათ ხოლმე და წინასწარ დაიზღვია თავი. საერთოდ, ბუნებით ძალიან უშიშარი ვარ. ბავშვობაშიც, შუალამისას, ისეთ საშიშ ადგილებში მივლია, ბიჭებიც რომ ვერ ბედავდნენ... მოკლედ, სად აღარ დავდიოდით მე და რობერტი ამ გაკვეთილების დროს?!. მერე გია ზუმრობით ჰყვებოდა ხოლმე: ერთხელ, ლისის ტბაზე ავიყვანეთ ბავშვები და თამრიკო მეუბნება: უი, აქ მე და რობერტი დავდიოდით; იმ დღეებში, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავით, თამრიკო სულ იმას გაიძახოდა – აქ რობერტთან ერთად ვარ ნამყოფიო...

ბიძა:

– თამრიკომ თავისი მასწავლებელი გამაცნო თუ არა, რობერტმა მაშინვე მითხრა: გია-ჯან, მე ახლა ამას (თამრიკოს) წავიყვან, ერთი-ორი საათი კუს ტბაზე ვივლით და ჩამოვალთო. მე ვუთხარი: კარგი, მაგრამ ის მაინც გამაგებინე, რისთვის მიგყავს-მეთქი?!

– გია, როგორი მძღოლია თამრიკო? როგორც თვითონ მითხრა, თურმე სწორად აძლევთ შენიშვნას და ამიტომაც არ უყვარს თქვენთან ერთად მგზავრობა.

– ოთხი წელია საქვსთან ზის და ძლივს ისწავლა მანქანის მართვა. ამ სწავლა-სწავლაში კი, ჩემი მანქანა შემოემტვრა... ძალიან დაუდევარი მძღოლია, ბენზინის ჩასხმაც კი თითქმის ყოველთვის ავიწყდება – ეტყობა, ჰგონია,

რომ მანქანა თავისით ივსება საწვავით... სწორად დაურეკავს და უთხვია: შუა გზაზე ვარ გაჩერებული, გამოდი და ბენზინი მომიტანეო. თუმცა, ბოლო დროს, უკლო ასეთი თხვონით რეკვას, არ ვიცი, რაშია საქმე, არა მგონია, რომ გამოსწორდა, უბრალოდ, ახლა ალბათ მეგობრებს აწუხებს... კიდევ, რა სჭირს, იცით? – ძალიან ურჩი მძღოლია: წითელზე არ აჩერებს მანქანას და არც პოლიციელებს ემორჩილება ხოლმე – ბოროტად სარგებლობს თავისი პოპულარობით! უყურადღებოც არის – იმდენად სწრაფად არ დაჰყავს მანქანა, რამდენადაც სახიფათო მანევრებს აკეთებს...

– თამრიკო, ამის გამო ავარიაში მოხვედრილხარ?

– როგორ არა? ერთხელ გვერდით მომყვებოდა მანქანა, რომლის მძღოლიც აშკარად ნასვამი ჩანდა. ეტყობა, ჩემი შეშინება გადაწყვიტა – „მეთამაშებოდა“, თითქოს ის-ის იყო დამეჯახებოდა... რამდენჯერმე ვანიშნე: შეწყვიტე-მეთქი და მანქანაში მსხლომ ბავშვებზე ვანიშნე. მაგრამ ამაოდ. გავბრაზდი, უცებ მკვეთრად დავაბუნრუჭე და ისე მოვცურდი, რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე გადავედი და მეორე მხრიდან მომავალი მანქანა დამეჯახა. ახალი ნაწვიმარი იყო და არ შეიძლებოდა დამუხრუჭება. ჩემი მანქანა კარგა გვარიანად დაიმტვრა. გონზე რომ მოვედი და დავინახე რომ ბავშვები უვნებელი იყვნენ, შვებით ამოვისუნთქე... კიდევ კარგი, რომ შუქნიშანზე იმ მომენტში

წითელი იყო ანთებული და ბევრი მანქანა არ მოძრაობდა, თორემ საშინელ დღეში ჩავევარდებოდით.

— იმ დღეს, რომელი მანქანით იყავით — მეუღლის თუ თქვენი?

— (იციან) რა თქმა უნდა, მეუღლის! მგონი, იმიტომ გადმომილოცა ის „06“, რომ საბოლოოდ გამენადგურებინა და ასეც მოვიქეცი... ისეთ დღეში ჩავაგდე, რომ 500 დოლარადაც ძლივს გავეიდეთ. ახალი მანქანის ყიდვა მინდოდა — „06“-მა ძალიან გამაწვავლა. ხშირად მიფუჭდებოდა და ამის გამო, სულ ელიავას ბაზრობაზე დავბოდი — იმ ნაწილებს ვყიდულობდი, რომელსაც ხელოსანი მბარებდა. ახლა ელიავაზე უკვე ძალიან პოპულარული ვარ — ყველას ვიცნობ და ვიცი, რომელ ჯიბურში რა ნაწილი იყიდება... მთელი საბურთალოს ტერიტორიაზეც ყველამ იცოდა ჩემი გასაჭირი და უთქმელად მესმარებოდნენ ხოლმე. ერთხელ, შუა გზაში გამიჩერდა მანქანა და ვიდაც უცნობ კაცს ვთხოვე დახმარება. უცნობი, თან მანქანას აწვებოდა და თან მიხსნიდა: ჯერ მეორე სიჩქარეში ჩააგდე, მერე კი „კონუსს“ სწრაფად აუშვი ფეხი და დაიქოქებაო. მესმის, ნაცნობმა გადაულაპარაკა: თავი დაანებე, რას უხსნი; ეგ თამრიკომ როგორ არ იცის — მაგის მეტი არაფერი უკეთებია — სულ ამ დღეშია და სჯობს, შენს საქმეს მიხედო — კარგად მოაწევი მანქანას, რომ „რაზონი“ აიღოსო...

— თქვენ თვითონ თუ გაგეგებათ რაზე მანქანის მონაწილეობის?

— „06“-ის წყალობით, რაღაც-რაღაცებში მართლა გავერკვიე. ხშირად საკ-

უთარი ხელითაც „დამიკაჩავებია“ „ბენზონასოსი“. ბევრჯერაც გაძირეცხავს ჩემი ხელით და სულაც არ მეთაკილება, რა მოხდა მერე?!

— „ოპელი“ საკუთარი დანაზოგით შეგიძენიათ, არც ამ მანქანას უფროსილდებით?

— „ოპელი“ შარშან ოქტომბერში ორი სოლო კონცერტიდან მიღებული თანხით ვიყიდე. მეორე დღესვე ქურდობაცაცებმა „მომილოცეს“ ახალი მანქანის შეძენა — დღისით, მზისით, სარკეები მომიხსნეს. კარგა ხანს ვიარე უსარკოდ და სულ ცოტა ხნის წინ დავაყენე ახლები. თითქმის ახალთახალი — 5 წლის მანქანაა, გერმანიიდან ჩამოიყვანეს. ძალიან მიყვარს ნაცრისფერი და სწორედ ნაცრისფერი მანქანის ყიდვა მინდოდა. ზუსტად იმ ფერისაა, როგორიც მსურდა... ვცდილობ, გაუფრთხილდე და ისე უდიერად არ მოვეპყრო, როგორც მეუღლის მანქანას, მაგრამ რაღაც მაინც არ გამოძღის. ამას წინათ, მამაჩემმა თქვა: თამრიკო არც ერთ „აიპკს“ არ აცდენს — სადაც კი დაინახავს, პირდაპირ შიგ „ხტება“ ხოლმეო... ტრასაზეც და ქალაქშიც ძალიან დიდი სიჩქარით დავდივარ. 140 კმ/სთ-თაც კი მივლია... შიშის გრძობა საერთოდ არა მაქვს — რატომაც დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი მომივა... ამ დღეებში, თემურ ჯაფარიძემ (ცირკის დირექტორმა) მითხრა: თამრიკო, მანქანით ისე ჩამიქროლე, მეგონა, გაჩერებული ვიყავი და ლამის კარი გავაღე — გადმოსვლა დავაპირეო...

ბიზა:

— მეც სწრაფად დავდივარ, მაგრამ მამაკაცებს მანქანის მართვის უფრო მეტი ალღოც გვაქვს და უფრო სწრაფი რეაქციაც. აბიტომ, მაინც მგონია, რომ მანქანის მართვა ქალის საქმე არ არის: ძალიან უყურადღებონი არიან, თანაც, იცით, რაშია საქმე? — მძღოლი ქალები, როგორც ჩვეულებრივ სიტუაციებში, ასევე გზაზეც მოითხოვენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას

მამაკაცებისგან: გზა უნდა დაუთმო და არ უნდა გაუსწრო... ასე არ შეიძლება — თუ საჭეს მიუჯექი, ჩემთვის უკვე ქალი კი არა, ჩვეულებრივი მძღოლი ხარ... ჩვენც ვუწყოთ ამაში ხელს: მარტო ქართველი მძღოლი ქალები არიან მამაკაცებისგან (განსაკუთრებით, პოლიციელებისგან) განებივრებულები — ხშირად შევსწრებივარ, რომ ქალს ავარიული სიტუაცია შეუქმნია და მძღოლსაც და პოლიციელსაც — ორივეს უთქვამს: რა უნდა ვუთხრათ?! — ქალია და ეპატიებაო... ერთი მითხარით — ქალი მომკლავს თუ კაცი, რაიმე განსხვავებაა?! მამაკაცები ხუმრობით „ქილერებსაც“ კი ვეძახით საჭესთან მსხდომ ქალბატონებს და ერთმანეთს ასეც ვაფრთხილებთ ხოლმე: ფრთხილად, „ქილერი“ მოდის!

თამრიკო:

— ტყუილია! კრიტიკულ სიტუაციებში სულაც არ ვიბნევი და ასეთ დროს, არც მამაკაცებზე ნაკლები რეაქცია მაქვს! ეტყობა, ამ დროს ქალში რაღაც მამაკაცური ხასიათი მძლავრობს, თუმცა, არანაირი კაცური მანერები არ შემიძენია და არც გინება მისწავლია. საერთოდ, ვერ ვიტან გინებას. როცა მოძრაობის წესები დამირღვევია, გაბრაზებული მძღოლის გინებაც გამიგონია ხოლმე ჩემი მისამართით, მაგრამ კარგად მასწოვდა რობერტის შეგონებები და პასუხს არავის ვუბრუნებდი. მხოლოდ ერთხელ გავეპასუხე: არ გრცხვენია, რომ იფინები?! აფერუმ, შენს კაცობას-მეთქი! ერთხელ კი, ახალგაზრდა კაცმა (სხვათა შორის, საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლავთ) ისე ითავხედა, რომ ახლობლებიც კი მივუგზავნე ჭკუაზე მოსყვანად, — მაგრამ ყველაფერი უარყო: მე არ ვყოფილვარო...

— პოპულარობა პოლიციელებთან ურთიერთობისას ძალიან გშველით ხოლმე?

— ცნობილი მომღერალი რომ ვარ, ამას, ყველაზე მეტად, სწორედ ავტონისპექტორებთან ურთიერთობისას ვგრძნობ. ძალიან ურჩი მძღოლი ვარ — ხშირად ვარღვევ მოძრაობის წესებს. ხშირად მცნობენ და უპრობლემოდაც მიშვებენ ხოლმე, რაც გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან მსიამოვნებს... თუმცა ერთხელ, მართვის მოწმობა მაინც ჩამომართვეს. პოლიციელმა გამაჩერა და დიდხანს მიხსნიდა იმას, თუ რა დავაშავე, მაგრამ მაინც ვერაფერი გამაგებინა: ზოგჯერ, ვერც კი ვხვდები ხოლმე, რატომ მაჩერებენ, რა დავაშავე... ჰოდა, ვერაფერი რომ ვერ გამაგებინა, ბოლოს მითხრა: მართვის მოწ-



მეუღლესთან, გიორგინიშვილთან ერთად სცენაზე

ტესტი ერუდიციასზე

1. რას ნიშნავს სიტყვასი- ტყვივით HOLLYWOOD ?



- ა) „ჭყორის ტყეს“;
- ბ) „ზღაპრულ ქალაქს“;
- გ) „სიაბოვნების სამკვდლოს“.

2. რომელ პოზიციასზე თამა- შობდა მანუჩარ მარაიძე?



- ა) თავდასხმაში;
- ბ) ნახევარდაცვაში.
- გ) ღაცვაში.

3. ვინ არის ამჟამად ტელესერიალის — „ქილის წინ“ დამდგამელი რეჟისორი?



- ა) ბასა ფოცხიშვილი;
- ბ) ოთარ შამათავა;
- გ) რეზო ჩხეიძე.

4. სადაურია საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში ლეხია ბალ- ცაიშვილი?



- ა) ებრაელი;
- ბ) პოლონელი;
- გ) უკრაინელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მოზა მომეციო. — კი, ბატონო-მეთქი და გაეუწოდე. — ვაკე-საბურთალოს საგზაო პოლიციას მიაკითხავთ მოწმობის ასაღებად, — მითხრა. შინ, რა თქმა უნდა, არ გაგამჟღავნებენ ეს ამბავი: ვიცოდი, რომ გია წამეჩხუბებოდა. მაგრამ ერთ დღეს გიამ მობილურზე დამირეკა და მკითხა: როდის ჩამოგართვეს მართვის მოწმობა? — შენ რა იცი-მეთქი? — გამიკვირდა. — ახლა პოლიციიდან დამირეკეს და მითხრეს: თქვენი მეუღლის მართვის მოწმობა ჩვენთან დევს, მოდი და წაიღეთო. აი, ასეთი „დასმენებიც“ ხდება ხოლმე, ასე რომ, ქმრის შიშით მოძრაობის წესებიც კი ვეღარ დამირღვევია... მოვა ხოლმე გია და მეუბნება: ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას რატომ დაარღვიე მოძრაობის წესი? კი მაგრამ, შენ საიდან იცი, რომ დავარღვიე-მეთქი? — ვეკითხები. — საიდან და თვითონ პოლიციელები მაჩერებენ და მეუბნებიან: ძალიან გთხოვთ, უთხარით თქვენს მეუღლეს — ცოტა წესიერად იაროსო... ჩემი მშობლები დიდუბეში ცხოვრობენ. ხშირად დავდივარ მათთან და როდესაც სააკაძის მოედანს შემოვუვლი, პოლიციელები რატომღაც ყოველთვის მაჩერებენ. ვერ ვხვდები — რატომ და არც ვკითხულობ... ერთი პოლიციელი უკვე აღარც მაჩერებს — მხოლოდ გაიღიმებს და ვითომ გაბრაზებული, თავს გადააქნევს ხოლმე...

— სეროზულად არასდროს გიჩხუბიათ პოლიციელთან?

— ჩხუბით არ მიჩხუბია, მაგრამ ერთ-მა პოლიციელმა კი ძალიან გამაბრაზა. სოლო კონცერტისთვის ვემზადებოდი და ძალიან ვნერვიულობდი. ისეთი დაბნეული და არეული დავდიოდი, რომ ჩემმა დამ, სოფიკომ, ყველა საქმე გადადო და სულ თან დამყვებოდა: ხანდახან მაინც შემოგდახებ, რომ თავი არ დაკარგო, — მეუბნებოდა. რეპეტიცია მქონდა დანიშნული ან-სამბლ „რუსთავთან“ ერთად და მაგვიანდებოდა. ამ დროს, ქალაქში ყველგან უზარმაზარი სარეკლამო დაფები იყო დადგმული, რომელზეც უზარმაზარი ასოებით ეწერა: თამრიკო ჭოხონელიძე... რუსთაველზე პოლიციელმა გამაჩერა.

ვთხოვე: ვიცი, რომ მოძრაობის წესი დავარღვიე, მაგრამ ძალიან მაგვიანდება და გამიშვით-მეთქი. — მაშინ ჯარიმა — 15 ლარი გადაიხადეთო. ფული არ მაქვს, საბუთები დაიტოვეთ და გამიშვით-მეთქი. ამასობაში ვილაც კაცი მოგვიასლოვდა: დაუნახავს, როგორ ვიდექი დამნაშავესავით და როგორ ვიმართლებდი თავს. ვერ იცანითო? — ჰკითხა პოლიციელს. იმანაც მკაცრად უპასუხა: ღვიძლი დაც რომ იყოს — არ მაინტერესებს, პოსტზე ვდგავარ და ჩემს საქმეს ვაკეთებო... უცნობი არ მოეშვა: ძალიან რომ ეჩქარება, ვერ გაიგე?! — მერე, მე რა ვქნა? — ყველას ეჩქარებაო, — არხეინად უპასუხა პოლიციელმა... არადა, ზუსტად ჩემი სარეკლამო დაფის ქვეშ ვდგავართ... ბოლოს, ჩემმა „მხსნელმა“ პოლიციელს უთხრა: ერთი იქნებ, ზემოთ აიხედოთ და წაიკითხოთ — დაფაზე რა წერიაო... პოლიციელმა ჩემი სახელი და გვარი წაიკითხა და ისევე საბუთებში ჩაიჭყიტა: ალბათ ამოწმებდა — გვარი ზუსტად თუ ემთხვევაო... არადა, საბუთში თამარი წერია... პაუზა და... უცებ მეუბნება: ე! ეგა ხარ?! — გამეცინა... კი, ნამდვილად ეგა ვარ და ახლა მაინც გამიშვით-მეთქი. — გაგიშვებ, ოღონდ ერთი ბილეთი შენზეაო, — დამანამუსა... სამწუხაროდ, ვეღარ მივუტანე ის ერთი ბილეთიც. უკვე ყველა გაყიდული იყო... ჯერჯერობით ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც პოლიციელმა ძალიან გამაწვავა, თორემ იცით, როგორ მეფერებიან ხოლმე სიტყვებით? როცა დამნახავენ, რომ სწრაფად მოვქრებივარ, გამაჩერებენ ხოლმე და მეუბნებიან: ქალბატონო თამრიკო, გეხვეწებით, ფრთხილად იარეთ, თორემ თქვენ რომ რაიმე მოგივიდეთ, „იავნანას“ ვინდა იმღერებსო?!



ნანა ქიბიშაური

თვითმკვლელის დედის ნაამბობი

„გაუსადღისი სოციალური პირობების თუ პირადი ტრაგედიის გამო, დღეს ბევრი ადამიანი ამთავრებს თვითმკვლელობით სიცოცხლეს. გვიტოვებენ დიდ ტკივილს, ობლად დარჩენილ შვილებს და უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, თვითმკვლელები ვერასოდეს იპოვიან იმქვეყნიურ სასუფეველს და მათი მშფოთვარე სულები განწირულნი არიან მარადიული ბნელეთისათვის. ამ სიტყვებით ალბათ კიდევ ერთხელ ვატყენ გულს მათ, ვისმა ახლობლებმაც საკუთარ თავს თვითონ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ იმედი მაქვს, მომიტყევენ, რადგან მე თვითონ ვარ თვითმკვლელის გამწარებული დედა. ჩემი ნაამბობის გაცნობის შემდეგ კი, თუ ერთი ადამიანი მაინც დაფიქრდება და თვითმკვლელობაზე ფიქრს უკუაგდებს, ჩავთვლი, რომ ჩემმა ნაამბობმა თავისი მისია შეასრულა.“

ჩემი გოგონა კლასში თითოთი საჩვენებელი მოსწავლე იყო. მე-6 კლასიდან უყვარდა თავის თანაკლასელს, რომლის სახელის გავონებაც კი არ მინდოდა, ამის გამო, ჩემი შვილი სხვა სკოლაში გადავიყვანე, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა. ერთ დღეს შევიტყვეთ, რომ ნატო და ის ბიჭი ბათუმში გაიპარნენ. ეს ჩემი ოჯახისთვის იმხელა ტრაგედია იყო, რომ ამაზე უარესიც თუ არსებობდა, ვერ წარმოგვედგინა. ჩემი შვილი ხომ მხოლოდ 16 წლის იყო... ძალევე ვიპოვეთ ისინი და ნატო რთული არჩევანის წინაშე დავაყენე: ან მამინვე გამოძევებოდა სახლში, ან საერთოდ დამკარგავდა. საკუთარ შვილს თვითმკვლელობით დავემუქრე. ნატო გამომყვა. ორი კვირის შემდეგ, იმ ბიჭმა სხვა გოგო მოიყვანა ცოლად. ნატომ ეს რომ გაიგო, ოთახში ჩაიკეტა. მთელი დღე არ გამოსულა. მეორე დღით კი, დივანის ბალიშებზე მძინარესავით მისვენებული ვიპოვეთ; იქვე ეყარა „ნოშპის“ ცარიელი შუშები... არასოდეს ვყოფილვარ მორწმუნე, მაგრამ როდესაც ჩემი შვილი გარდაიცვალა, მინდოდა, ყველა რიტუალი შემესრულებინა, მაგრამ მითხრეს, რომ ეკლესია თვითმკვლელებს წესს არ უკებდა. დაკრძალვიდან ორი კვირის შემდეგ ვნახე პირველად სიზმარში. თეთრი სარაფანი ეცვა, საავადმყოფოს დერეფანში მიმოდიოდა. ცდილობდა, რომელიმე პალატაში შესულიყო, მაგრამ ყველა, ხელს

ათვისტური ათწლეულების შემდეგ, ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა. მარხვა, ზიარება და სხვა ქრისტიანული რიტუალები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით ცდუნებას, ცოდვას, უბრალოდ შეცდომას. მცდარი ჭითი მავალი, ჭეშმარიტ ორიენტირებზე, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი, მამა დავითი (ერისთავი) მიგვითითებს. ჩვენ წინაშეა სამი ადამიანი, სამი მძიმე ცხოვრებისეული სიტუაცია...



უღთიეკუქედგკ თშეგფსშფთშ ნმუდფთ მუგჭდშფ სფფეფკწთ ქწტფმდშთ კშეგფდშ

ჰკრავდა, არც ერთ კარში არ უშვებდნენ. მერე დერეფანი ბნელდებოდა. უკუნეთში შესძლოდა მხოლოდ ნატოს სუთქვა და ტირილი. მერე ისევ ნათდებოდა და იგივე სცენა მეორდებოდა... ერთი თვის განმავლობაში ვიტანჯებოდი მეც და ჩემი შვილიც. ბოლოს კი, შესიზმრა: ძალიან დაღლილი და ნატანჯი მთხოვდა, უკან ნუ დამეყვები – ეკლესიაში წადიო!... მას შემდეგ დავდივარ ეკლესიაში, ვანთებ სანთლებს და ვლოცულობ ჩემი შვილის სულისათვის. არც ერთხელ აღარ მინახავს სიზმარში. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი. იქნებ, ეკლესია მხოლოდ მე მძლევს შვებას, ჩემი შვილი კი, ისევ იმ ტანჯვაშია – ბნელ დერეფანში მარტო ზის და ტირის. იქ კი, სადაც დანარჩენები არიან, არ უშვებენ? მე თუ ჩვეულებრივი სიკვდილით მოვკვდები, მას ვერასოდეს შევხვდები. არადა, მინდა, გარდაცვალების შემდეგ, მეც იქ მოვხვდე, სადაც ჩემი შვილია. ალბათ თავი რომ მოვიკლა, უფრო მართალი ვიქნები ნატოსთან,

როგორც დედა, მაგრამ ამას არ ვაკეთებ იმიტომ, რომ მეორე შვილთანაც მინდა მართალი ვიყო: 12 წლის ვაჟი მყავს, გული მარჯვენა მხარეს აქვს. ძალიან ვჭირდები. მე შევცოდე, როდესაც ჩემი შვილი არჩევანის წინაშე დავაყენე – საშინელი არჩევანის წინაშე: თუ არ გამოძევები, თავს მოვიკლავ-მოიქო, რომ ვუთხარი. ახლა მე დამყენა განგებამ არჩევანის წინაშე. დღემდე არ ვიცი, რა გზას დავადგები, რომელ შვილთან დავრჩები გარდაცვალების შემდეგ...“

დეკანოზი დავითი:

– თვითმკვლელობა სხვა არაფერია, თუ არა ღვთის გმობა. უარი თქვა სიცოცხლეზე, რომელიც უფალმა მოგანიჭა, – ეს უდიდეს და უპატიებელ ცოდვად ითვლება. თვითმკვლელობამდე მიღიან ურწმუნონი ან ნაკლებად მორწმუნენი. ამ აზრს კი, ადამიანს სატანა შთააგონებს. შთააგონებს მათ, ვინც გაჭირვებისა და გამოცდის ხანას გადის, ვინც დეპრესია-



დეკანოზი დავითი

ში იმყოფება. ყოველი ადამიანი გარდაცვალების შემდეგ, ღვთის სამსჯავროზე წარდგება. თვითმკვლეელი კი, ღმერთამდე ვერ აღწევს. აი, ამიტომ, ჭეშმარიტი მორწმუნე, ის, ვინც იცის, რა არის ჯოჯოხეთი და სამოთხე, არასოდეს ჩაიდენს ამ ცოდვას. თვითმკვლელებს გარდაცვალების შემდეგ, ეკლესია არანაირ რიტუალს არ უსრულებს. თუმცა, არის გამონაკლისი. ეს ეხება მათ, ვინც სულიერად არის დაავადებული და ვინც კლიმაქსის პერიოდში მოიკლა თავი. თუკი ადამიანს ერთხელ მაინც გაუჩნდება სურვილი, თავი მოიკლას, მაშინვე უნდა გამოისახოს პირველი და თქვას: „უფალო იესო ქრისტეო, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“ – და შესთხოვოს უფალს, მისცეს მას სიმშვიდე. მერე უნდა მიმართოს სასულიერო პირს და განმტკიცდეს რწმენაში. ნაზიარები ადამიანის სული თავისუფალია, მსუბუქია და ის ადვილად ზვდება სასუფეველში. საერთოდ, რისგანაც არ უნდა იყოს ადამიანი გარდაცვლილი, ჩვენი ვალია, ვილოცოთ მისი სულის საოხად.

— როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როდესაც მშფოთვარე სულთან გვაქვს საქმე? რისი მიმანიშნებელია, როცა მიცვალებულს ხშირად ვხედავთ სიზმარში და თუკი ის რაიმეს გვთხოვს, უნდა შევუსრულოთ თუ არა ეს თხოვნა?

— საერთოდ, სიზმარს ჩვენი ფსიქიკა განსაზღვრავს, მაგრამ ასხვავებენ სამი ტიპის სიზმარს: 1) როდესაც ადამიანს ესიზმრება ის, რაზეც ფიქრობს; 2) როდესაც სიზმარს სატანა ჩააფინებს ადამიანს და 3) გამოცხადება. თუ ადამიანი ფიქრობს იმას, რომ სიზმარს რაიმე დატვირთვა აქვს, მან ამის შესახებ უნდა უამბობს მოძღვარს და ის თვითონ განმარტავს, თუ

რასთან გვაქვს საქმე. ეშმაკს შეუძლია, მიიღოს ყოველი წმინდანის სახე და ისე ეჩვენოს ადამიანს, ჩააგდოს ის ხიბლში და ათქმევინოს, რომ მას გამოცხადება ჰქონდა; მხოლოდ ორი სიწმინდის სახის მიღება არ შეუძლია — ეს არის ჯვარი და ღვთისმშობელი. თუ გარდაცვლილი ადამიანი ხშირად გვევლინება სიზმარში და რაღაცას ითხოვს ჩვენგან, შეიძლება, ამ ადამიანის სახით, ეშმაკი გვევლინება და მისი სურვილის შესრულებით, მისი ნების განხორციელებით, ჭეშმარიტი გზიდან გადავუხვიოთ. გარდაცვლილს ჯვარცმასთან სანთლის ანთება, პანაშვილის გადახდა და ლოცვით შემწეობა სჭირდება. აი, ამას განმარტავს მოძღვარი სიზმრის შინაარსის გაცნობის შემდეგ.

— მივიწყებული მიცვალებულების შესახებ რას გვეტყვი? ქართულ სუფრაზე ნათქვამი შესანდობარი, მხოლოდ ტრადიციაა, თუ მას გარკვეული რელიგიური დატვირთვა აქვს?

— ეს არის მხოლოდ ტრადიცია, რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველები უძველესი კულტურის ხალხი ვართ, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ყოველთვის გვახსოვს ჩვენი მიცვალებულები. სუფრაზე შესანდობარის თქმას რელიგიასთან არანაირი შეხება არ აქვს. რაც შეეხება მივიწყებულ მიცვალებულებს — მათი მოხსენიება, უპატრონო მიცვალებულის გაპატიონება ან მისი საფლავის მოვლა, ღვთის წინაშე უდიდეს მადლად ითვლება. საერთოდ, ასე ხდება: როგორც ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი წინაპრების სულისთვის, შთამომავლობაც ასევე ილოცებს ჩვენი სულის საოხად.

რაგომ არ უნდა გვჯეროდეს მედიუმის

თამარ ბერიძის ნაამბობი:

„ვარ 62 წლის ქალი. ბაბუაჩემი ღრმად მორწმუნე კაცი იყო. კომუნისტების მიერ დანგრეული ეკლესიებიდან ქვებს აგროვებდა და ინახავდა. ამის გამო, სოფლებლებს შეურაცხადლაც კი მიაჩნდათ და ზუპრობით, მეტსახელად ნეტარ ნოეს ეძახდნენ. ჩვენც, ექვსი ობოლი, ეკლესიურად აღვეზარდა, მაგრამ სიბერის ფაშს, მაინც შევცდი... ექვსი წელი ვავიდა მას შემდეგ, რაც დედისურთა ბიჭი მომიკლეს. რუსეთიდან ჩამოსვენეს. იქ მეც და ჩემს მეუღლესაც ძლიერი სანათესავო გვყავს, მაგრამ რა მოხდა და ვინ მომიკლა შეილი,

ვერაფერი ვავიგეთ. სამართალი ვერ ვიპოვეთ. ჩემმა მულმა საიდანღაც შეიტყო, რომ გარდაბნის რაიონში ცხოვრობდა მედიუმი, რომელთანაც მიჰქონდათ გარდაცვლილის ტანსაცმელი, ფოტოსურათი და კიდევ რამდენიმე ნივთი; თითქოს ამ ნივთების მეშვეობით ის შედიოდა სულთან კონტაქტში და ამბობდა, თუ ვინ და რატომ მოკლა იგი. არ მჯეროდა ამის. ვიცოდი, ცოდვას რომ ჩავდიოდი, მაგრამ მულს ხათრი ვერ ვაგუტეხე და გარდაბანში წავიკითხე. მედიუმი მოხუცი ქალი აღმოჩნდა. მან გამოვკართვა ტანსაცმელი და დიდხანს ყნოსავდა. მერე თვალები დახუჭა, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი... ჩემი შეილი საუბარს ყოველთვის მსუბუქი ჩახველებით იწყებდა და „დედა“-ს ნაცვლად, ყოველთვის „დედი“-ს მეძახდა, „მოხვედი“-ს ნაცვლად კი — „მოდი“-ს. ამის გამო, ხშირად ვაძილევი შენიშვნას და ვუუბნებოდი: ქართულის მასწავლებლის შეილი ასე რომ ლაპარაკობ, სხვებს რა უნდა მოვთხოვო-მეთქი?! მოკლედ, თხუთმეტი წუთის შემდეგ, მედიუმმა ზუსტად ისე ჩაახველა, როგორც ჩემმა შეილმა იცოდა ზოლმე და დაიწყო... „რატომ მოდი, დედი?“... თითქოს გული გამიჩერდა, ჩემმა მულმა შეკვივლა. უცებ, ძალიან შემეშინდა. პირველი გამოვისახე, მედიუმსაც გადაეხახე, მან კი ხელები აიფარა სახეზე... ამის შემდეგ, ფული უკან დაგვიბრუნა, ოთახიდან გამოვიყვანა და კარი ცხვირწინ მოვკვიკვტა...“

დეკანოზი დავითი:

— მედიუმების არ უნდა გვჯეროდეს, რადგან გარდაცვლილი კი არა, სატანა ლაპარაკობს მედიუმის საშუალებით. ეს სატანური რიტუალია და რადგან სატანა ვერ გამოიხმობს სულს სამოთხიდან, ამიტომ თვითონ გარდაისახება, ბაძა-





ეს გარდაცვლილს და იმორჩილებს აღამიანებს. აი, ამიტომ, სადაც არ უნდა ვიყოთ, ყოველთვის თან უნდა გვქონდეს ნაკურთხი ჯვარი. ისინი კი, ვისაც მედიუმებს ეძახიან, ძალიან ცუდად დაამთავრებენ სიცოცხლეს, რადგან მათ ეშმაკის მსახურება არჩიეს ღვთის მსახურებას. ამ ბოლო დროს, ჩვენში ძალიან მომრავლდნენ სხვადასხვა სატანური რიტუალის შემსრულებლები. თუნდაც, იმ რიტუალის, როგორც არის სპირიტუალიზმი.

სპირიტული სეანსის დროს, ჩემს მეგობარს წარბები გაუთეთრდა

სპირიტუალიზმის მიმდევრის ნაამბობი:

„არასოდეს მჯეროდა, რომ სულებს ლაპარაკი შეეძლოთ, მაგრამ მაინც, ყოველთვის მაინტერესებდა ამგვარი რიტუალები. უფრო სწორედ, მომწონდა, რომ ასეთ საკითხებში ჩემს მეგობრებზე მეტი ვიცოდი, მათზე შთაბეჭდილებას ვახდენდი და სპირიტული სეანსის ჩატარების მოთავეც ყოველთვის მე ვიყავი. მთელი დღის განმავლობაში ვიჯექი და ვფიქრობდი, რა ოინი მომეფიქრებინა და როგორ შემეშინებინა ჩემი გულუბრველო მეგობრები. დღეები ხალისიანად გადიოდა. ვიძახებდი სტალინისა და მუსოლინის სულებს, ვეჭორავებოდი ელვის პრესლისა და ჯონ ლენონს, ვესაუბრებოდი მეგობრების ბებიებსა და ბაბუებს, განსაკუთრებით შეწუხებული კი, ნოსტრადამუსი და ვანგა მყავდა; ერთ მშვენიერ დღეს კი, როდესაც კვლავ ვანგას სული გამოვიძახე, ვიგრძენი, რომ თეფში ჩემს ხელს აღარ ემორჩილებოდა და მართლა თავისით ტრიალებდა... თვალებს არ ვუჯერებდი — თეფში ტრიალებდა!.. ოთახში სამნი ვიყავით. სამივემ ერთბაშად აუშვით თეფშს ხელი, ის კი ტრიალს განაგრძობდა. „მოსცილდით მაგიდას!“ — დაწერა თეფშმა, მაგიდიდან გადასრიალდა, იატაკზე დავარდა და დაიმსხვრა. ისტერიკული კივილით მოვცილდით მაგიდას. და უცებ, უზარმაზარი ჭავი მაგიდაზე დაემხო და ნაფშვენებად იქცა... ჩემს მეგობარს ში-

შისვან წარბები გაუთეთრდა. მე დღემდე ვიტანჯები ამის გამო და მის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ამიტომ, ყველას ვურჩევ: მოერიდეთ სპირიტულ თამაშს, ის ძალიან საშიშია. მათ კი, ვისაც არცოდნით შეუცოდავს, ვურჩევ, მოინანიონ, რადგან ეს საშიშელი ცოდვაა“.

დეკანოზი დავითი:


მოზარდები ხშირად, არცოდნის გამო სჩადიან ცოდვას. უნდა მოინანიონ და მიეტყუებთ. ასეთი სეანსები ყოველთვის კარგად არ მთავრება. მათ, ვისაც სპირიტულ სეანსში მიუღია მონაწილეობა, უნდა იმარხულონ და ეზიარონ. იმ სახელში კი, სადაც სეანსები ტარდებოდა, უნდა მიიყვანოთ მოძღვარი და აკურთხებინოთ.

— **ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი განიცადეს, ხშირად უცნაურ შესაძლებლობებს ავლენენ. უმეტესწილად კი აცხადებენ, რომ მათ ნინასწარმეტყველების უნარი აქვთ...**

— კლინიკური სიკვდილი ნიშნავს იმას, რომ სული ტოვებს სხეულს, მერე კი ისევ უბრუნდება მას. ეს არის ღვთის წყალობა და არ უნდა გამოვიყენოთ ღვთის საწინააღმდეგოდ. ბევრი მათგანი, ვინც კლინიკური სიკვდილი განიცადა, ჰყვება, რომ იხილა სამოთხე, ბევრი ნათელმხილველობას იბრალებს და მარჩიელობას იწყებს. ეს დაუშვებელია. მათზე იმხელა წყალობა მოიღო ღმერთმა, რომ ისინი უფრო მორწმუნენი უნდა გახდნენ, ზედმეტი დატვირთვა არ უნდა მიანიჭონ იმას, რაც მოხდა, არ უნდა ილაპარაკონ ამაზე და ეკლესიურად უნდა იცხოვრონ.

— **როგორც ვიცი, ჩვენი ეკლესია ბალზამირების და მიცვალებულის გაკვეთის ნინა-აღმდგეგია...**

— ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა არ უნდა დაუშვან არც ბალზამირება და არც მიცვალებულის გაკვეთა. ძველად, გარდაცვლილი მესამე დღეს იკრძალებოდა,



მას შემდეგ კი, რაც ჩვენში 500-კაციანმა ქელებმა მოიკიდა ფეხი, ეს მენტალური დაირღვა და ახალი ტრადიციები დამკვიდრდა. სხვადასხვა კუთხეში დაკრძალვის ცერემონია სხვადასხვანაირად სრულდება. მაგალითად, მიცვალებულს თავთან უდგამენ ხორბლით სავსე ჯამს, ჭიქა ღვინოს და ა.შ. არაფერია საჭირო, ხატის, კანდელისა და სანთლის გარდა... ამ ბოლო დროს, საფლავებს სხვადასხვანაირი ღიზანით აფორმებენ. ესეც არ არის საჭირო. აკლამები, ხეები და მარმარილოს უზარმაზარი ფილებიც ზედმეტობაა. ერთადერთი, რაც საფლავს უნდა ამკობდეს, — ეს არის ნაკურთხი ჯვარი, რომელზეც იქნება წარწერა, თუ ვინ განისვენებს იქ. როგორც წმინდა მამები ამბობენ, უჯვრო საფლავებს ეშმაკები ეპატრონებიანო.

— **ამბობენ, მოუნათლაგი ადამიანის დაკრძალვა ჩვეულებრივ სასაფლაოზე არ შეიძლება...**

— არ არის ეს მართალი. სასაფლაოზე ნებისმიერი ადამიანის დაკრძალვა შეიძლება, განურჩევლად იმისა, მონათლულია თუ არა ის. სასაფლაოზე კი დაიკრძალება, მაგრამ არ ცხონდება, რადგან დაწერილია: „რომელმან არ იღოს ნათელი, ის არ ცხონდეს“. ეკლესია მას არ აღუსრულებს რიტუალს. ამიტომ, ყოველმა ადამიანმა, მათ შორის ექიმებმაც, უნდა იცოდნენ, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ყველას შეუძლია, ჩაატაროს მონათვლის რიტუალი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მღვდერსონალს, რომელიც ჩვილებთან მუშაობს. უნდა აიღოთ ნაკურთხი წყალი, აპკურთ ჩვილს და წარმოთქვათ: „სახელითა მამისათა, ძისათა და სულითა წმიდისათა“... ფორმულა უკვე შესრულებულია და ბავშვი მონათლულად ითვლება... ჩვენი საუბარი გარდაცვალების ირგვლივ ტრიალებს. მაგრამ ყველას უნდა გვანსოვდეს: არც ერთი წერილით და ნაამბობით არ ამოიწურება ის ფენომენი, რომელსაც სიკვდილი ჰქვია, რადგან დაბადებაც და გარდაცვალებაც ღვთის ნებით ხდება, ჩვენ კი, თუ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვართ, უფლის მიერ ნაბოძებ სიკეთეს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, უნდა მოვუფროთხილდეთ. ვიაროთ სიკეთის გზით და ვიცხოვროთ ეკლესიურად. იწყება მძიმე მარხვა, რომელიც არის ადამიანის სულის ზეიმი. ყოველი მართლმადიდებელი ვალდებულია შეინახოს მარხვა, თქვას აღსარება და ეზიაროს. ღმერთმა დაგლოცოთ, უფალმა გაგაძლიეროთ!

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში ერთი ძველი ფოტოსურათი ვნახე: მწერალი, პატარა გოგონასთან ერთად, ზოოპარკში დგას, ნანგს დაჰყურებს და გოგონას რაღაცას უხსნის. პატარა, გაოცებით აცეცებს თვალებს, ბავშვს თურმე უკითხავს: „შენ რა, ამის დირექტორი ხარ?“ (ბატონი ნოდარი ჟურნალ „ნანგის“ რედაქტორი იყო) ეს გოგონა — ნოდარ დუმბაძის უმცროსი ქალიშვილი, ქეთი, ახლა, მუზეუმში ჩემ გვერდით დგას და სევდანარევი იუმორით მიამბობს იმ უამრავ ფოტოსთან დაკავშირებულ ამბავს, რომლითაც მწერლის სახლ-მუზეუმის კედლებია დაფარული... უცებ ვზვდები, რომ ამ მამა-შვილს რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ძაფები აკავშირებდა ერთმანეთთან...



ნოდარ დუმბაძე და პატარა ქეთი

„დედას 15 წელი არ უძინია: ღამით ყურს ადებდა მამას – ცოცხალია თუ არაო...“

ნათია თენიავილი

— მართლაც, გვქონდა რაღაც განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება. ბოლო პერიოდში კი, სიტყვები არც გვჭირდებოდა — ისედაც ვწვდებოდით ერთმანეთის გულისხმადებს... მაგრამ ასეთივე განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდა მანანასთანაც... მე დავიბადე მას შემდეგ, რაც ზაზა გარდაიცვალა (ნოდარ დუმბაძის ვაჟიშვილი, რომელიც 1960 წელს, 5 წლის ასაკში გარდაიცვალა. — ავტ.). შემდგომში მივხვდი, რომ ის, რაც მამამ მასზე ვერ „დახარჯა“, ჩემზე გადმოიტანა: თითქოს ბიჭი ვყოფილიყავი, ისე მასწავლიდა ცურვას, ნავის ნიჩბების მოსმას... ახლაც ვცურავ ე.წ. „კროლით“, რომლითაც მხოლოდ სპორტსმენი ქალები ცურავენ. დავყავდი სათევზაოდ, ვიცი ბადის გაშლა... ჩამაყენებდა მდინარეში და მეუბნებოდა: მაგრად იდექი, მამიკო... მასსოვს, ფეხები მენგრეოდა, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდი, რომ არ წაგქცეულიყავი. სულ თან დამატარებდა. ხშირად მეკითხებოდა — რატომ გიყვარს ქეფიო? — რესტორანში გავიზარდე და იმიტომ-მეთქი, — ვპასუხობ...

— ქართველ მამებს განსაკუთრებით უჭირთ ხოლმე ქალიშვილების გათხოვება. ბა-

ტონი ნოდარი როგორ იქცეოდა ამ დროს?

— ძალიან მძიმედ გადაიტანა. როდესაც მამამ შეიტყო, რომ მანანას თაყვანისმცემელი ჰყავდა, დაელაპარაკა. ისიც დაჰპირდა: ჯერ არაფერი გადამიწვევტა და როცა გადავწყვეტ, ამის შესახებ პირველად შენ და დედა გაიგებთო. მეორე დღეს „გაიპარა“... მამა შინ მოვიდა სასადილოდ. დედაჩემმა დაანერია ყველაფერი. ამ დროს, ნოდარი გაჩუმებული იჯდა, ხმა არ ამოუღია. ნერვიულობისგან, რაც სუფრაზე იყო, ყველაფერი შეჭამა და წავიდა. მამას პირველი ინფარქტი უკვე გადატანილი ჰქონდა და ხელისუფლებას ვატარებდით... ის კი წავიდა და გადაიკარგა. დიდხანს ვეძებთ და ბოლოს, თავის დასთან მივაგენით... გადატანილი განცდის მიუხედავად, ძალიან უყვარდა ჯემალი (მანანა ღუმბაძის ქმარი — მწერალი ჯემალ თოფურაძე, რომელიც ტრავიკულად დაიღუპა დაქორწინებიდან 3 წლის შემდეგ: მანქანა დაეჯახა. — ავტ.). როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ ჯემოს მოთხრობა „გოგია“ გამოქვეყნდა, მამამ დაიბარა და უთხრა: შენ ისეთი მოთხრობა დაწერე, თუ დამიჯერებ, ალალი შურით მშურს:

მე ვერ მოვიფიქრე ასეთი რაღაცაო... ამის შემდეგ, ჯემო ორი კვირა მთვრალი დადიოდა... რაც შემეხება მე — არ „გავპარულვარ“. ერთხელ, გოგიტამ (ქეთინოს ქმარი — არქიტექტორი ვიორგი მაჭარაშვილი. — ავტ.) და მისმა მეგობარმა სახლამდე მომაცილეს და ისე მოხდა, რომ შემომყვინენ კიდეც. მამამ ყურმოკვრით იცოდა, რომ ჩვენ შორის რაღაც ხდებოდა. მამას რომ გავაცანი, გოგიტა ძალიან ნერვიულობდა და ზომავს მეტი იოხუნჯა. როცა წავიდნენ, მამა მომიბრუნდა და მითხრა: მამა, მე ორ ღამეს ოჯახში ვერ ავიტანაო... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო. როცა ჩემი გათხოვების საკითხი გადაწყდა, შემთხვევით მოვისმინე ტელეფონში, როგორ ეუბნებოდა ვიდაცას: რა ვქნა, ბიჭო, იმისთანა კარგი ბიჭი მომიყვანა სახლში, ვერ ვუთხარი უარიო... ძალიან გამიხარდა. მიუსხელავად ამისა, როცა სასიძომ მომაკითხა და უნდა წავეყვანე, მამამ ბევრი იტირა. მეგონა, მეორე ინფარქტი მაშინ დაემართებოდა. ტიროდა, ღრიალებდა — არ მომეკაროო... თუმცა, მეორე დღეს, სუფრაზე, უბედნიერესი იყო...

— ალბათ, ბატონი ნოდარის შვილი რომ ხართ, ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გაკისრებთ...

— მამა დამრიგებლის როლში არასოდეს ყოფილა — მთელი თავისი ცხოვრებით იძლეოდა იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა გვეცხოვრა. ჩვენ გავიზარდეთ არაჩვეულებრივ გარემოში — ერთგულებაში, სიყვარულში. არ მასსოვს, მამას და დედას ეჩხუბოთ ერთმანეთთან, ამიტომაც, არც მე მომსვლია ოდესმე კონფლიქტი ჩემს ქმართან. მთელი ცხოვრება საოცარი სიყვარულის მომსწრე ვიყავი. დედაჩემი ახლაც — მკვდარზეც კი ეჭვიანობს. ერთხელ სიზმარში ნახა, თითქოს მამამ იქ ცოლი მოიყვანა და სამი დღე საფლავზე არ წასულა: ეს როგორ გამიბედაო?! დედას 15 წელიწადი არ უძინია: ღამით, მძინარეს, მაჯას

ქეთის დედ-მამა, ნანული და ნოდარ დუმბაძეები





ქეთი საგელევიძიო სტუდიაში

უსინჯავდა, ყურს ადებდა მამას – სუნთქავს თუ არაო... ნოდარი ბრაზობდა: ნანული, დამაძინე – ცოცხალი ვარო... როცა ასეთ გარემოში იზრდები, დარიგება და ჭკუის სწავლება აღარ გჭირდება.

— არც თქვენ გჭირდებათ თქვენი შვილებისთვის ჭკუის სწავლება?

— მე ორი ბიჭი მყავს: 22 წლის ლევანიკო და 17 წლის ნოდარიკო. უკვე ბებიაც ვარ – ლევანს წლისა და 3 თვის ლიზიკო ჰყავს... ჩემი შვილების ყრმობა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ქვეყანა აირია და თვითდაპყვრებისთვის ბევრმა ხელში იარაღი აიღო. ძალიან ვნერვიულობდი, სულ შემინოდა, რაიმე უბედურება არ მომხდარიყო, რაიმე არ გამომპარვოდა. მაგრამ ახლა, უკვე გადავლახეთ სასიფათო ასაკი და ცოტა დავმშვიდდი. ლევანი რეჟისორია, ნოდარი წელს სკოლას ამთავრებს. თუმცა, ბებიობა, ამ სიტყვის სრული გაგებით, ჯერ არ მივრძნია. ვფიქრობ, ჩემი და ლიზიკოს სრულყოფილი ურთიერთობა მაშინ დაიწყება, როცა იგი კითხვების დასმას დაიწყებს. ალბათ მაშინ უფრო გამოვადგები... სხვათა შორის, ძალიან მიჭირდა მამაჩემის ლექსების კითხვა ჩემი შვილებისთვის. ახლა, 17 წელი გავიდა და ლიზასთან ალბათ ისე აღარ გამოიჭირდება. მართალია, ყოველი საუბარი მამაზე, ჩემთვის ცრემლებით მთავრდება, მაგრამ მაინც ძალიან მინდა, რომ ლიზას ეს ლექსები წავუკითხო.

— ახლა თქვენს საქმიანობაზეც გვამბოვთ.

— უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დავაბოლოე, ლიტერატურული ურთიერთობებისა და მხატვრული თარგმანის სპეციალისტი ვარ. იმის კო-

მპლექსი, რომ მამა მწერალი იყო, ორივეს – მეც და მანანასაც – გვქონდა. 28 წლის ვიყავი, პირველად რომ გამოვეცი ჩემი თარგმანები. მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი. საერთოდ, პოეზიის თარგმნით დავიწყე და მამას ყოველთვის ვაკითხებდი ჩემს ნამუშევრებს. მერე ვთარგმნე ჩეხოვის მოთხრობა – „როტილდის ვიოლინი“ და რომ წავუკითხე, მითხრა: იმდენად კარგია, რომ ლექსებს თავი უნდა დაანებო და პროზას მიხედო... იმის შემდეგ, ლექსისთვის ხელი არ მიხლია. 1993 წელს, ელჟარდ შევარდნაძე რომ დაბრუნდა საქართველოში, სახელმწიფოს მეთაურის პრეს-

სამსახურში დავიწყე მუშაობა. 1997 წლამდე ვიმუშავე. შემდეგ, სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის პრესმდივანი ვიყავი. როცა ბატონი ნიკო ამ თანამდებობიდან გადადგა, მეც წამოვედი და მალე, საბავშვო ქალაქ „მზიურის“ დირექტორად დამნიშნეს. თავიდან დიდი ერთუზიანებით შევუდექი საქმეს, მაგრამ ბიუჯეტის არქონის გამო, ფრთები შემეკვეცა. წყლიდან ამოგდებული თევზით ვგრძნობდი თავს. ძალიან გამიხარდა, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობა რომ შემომთავაზეს. ერთი წელი ვიმუშავე და, რაღაც გაუგებრობის გამო, წამოვედი. ძალიან მწყდება გული – მიყვარს იქაურობა და ყველა ის ადამიანი, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი. სამთვიანი პაუზის შემდეგ, კოკა ყანდიაშვილმა დამირეკა და „დიდების ზღაპარი“ ჩამაბარა. ძალიან საინტერესო საშუაოა, არაჩვეულებრივ ადამიანებთან მიხდება ურთიერთობა.

— ბევრი სამსახური გამოიცვლიათ; ყველაზე კარგად სად გრძნობდით თავს?

— არაჩვეულებრივად მასწენდა მთარგმნელობით კოლეგიაში მუშაობის წლები. მაგიდასთან გვერდიგვერდ ვისხედით: მე, ვასუშტი კოტეტიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, ჯემალ აჯიაშვილი და კიდევ უამრავი სხვა არაჩვეულებრივი ადამიანი. ერთხელ, ჩვენი თანამშრომლის ქორწილში, ვასუშტი კოტეტიშვილმა თქვა: ახლა სიამოვნებით დავლევდი ჩაისო. შევთავაზე –

ქეთი დუმბაძის ქმარ-შვილი (მარცხნიდან): ნოდარ, გოგინა და ლევან მაჭარაშვილები

ჩემთან წავიდეთ და ინდურ ჩაის დაგალევინებთ-მეთქი. წამოვედი: მე, ჩემი ორი მეგობარი გოგონა, ვასუშტი კოტეტიშვილი და ზურაბ ჭავჭავაძე. სახლთან რომ მივედი, ჩემმა მეუღლემ აივნიდან გადმოიხედა. ბატონმა ვასუშტიმ, როგორა ხარო, – გოგიტას მიმართა. როგორ ვიქნები? – ჩემი ცოლი ქორწილებში დადის და მერე, შინ მთვრალ ძმაკაცებთან ერთად ბრუნდებაო, – უპასუხა გოგიტამ... იმ პერიოდში, ზურა უკვე პოლიტიკური ფიგურა იყო. ჩემმა უმცროსმა ბიჭმა, რომ დაინახა, ხელები გამალა და იყვირა: „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!“ მერე გავარდა თავის ოთახში, საქართველოს დროშა გამოიტანა, შემთხვევით ჭალს მოარტყა და ჩამოაგდო... ზურა ძალიან ამაყი და, ამავე დროს, დაბნეულიც იყო...

— დაბოლოს, კიდევ ხომ არ აპირებთ პროფესიის შეცვლას?

— ერთი პერიოდი, სევდა შემომავსა – ვიფიქრე: ხომ არ მივატოვო ყველაფერი და წერას ხომ არ დავუბრუნდებ-მეთქი? ბავშვობიდან მოყოლებული, საინტერესო ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა და საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობ. ერთმა ყურნალისტმა მკითხა: მამამ რა დაგიტოვაო? – იცით, რა დამიტოვა? – ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ ჭილაძეს, გურამ დოჩინაშვილსა და კიდევ ბევრ სხვა გამოჩენილ ადამიანს „ბიბიათი“ რომ მივმართავ და ნებისმიერ დროს, როგორც კი მომენატრებიან, შემიძლია, მივიღე და მოვიინახულო. უბედნიერესი ადამიანი ვარ ამის გამო. აი, ეს დამიტოვა მამამ და არც მინდა მეტი არაფერი... მამას 70 წლის იუბილეზე, „მზიურში“ მისი ფოტოსურათები გამოვფინე. საგამოფენო დარბაზშიც ვაპირებ ფოტოგამოფენის მოწყობას – ოლონდ, მაშინ, როცა ვიგრძნობ, რომ საზოგადოებას ძალიან მოენატრა და სჭირდება ნოდარ დუმბაძისნაირი ადამიანები...



ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეონა დვალის უბის ნიგნაკი:

1. შამილი ცისფერთვალეა იყო.
2. მდინარე მტკვრის სიგრძე 1364 კილომეტრია.
3. ჭამის წინ სენეგალში მარტო მარჯვენა ხელს იბანენ.
4. „ვეფხისტყაოსანი“ ოსურად გიორგი ბესთაუთმა თარგმნა.
5. მსოფლიოში პირველი ყავახანა 1647 წელს ვენეციაში გაიხსნა.
6. გვარი ამირეჯიბი თანამედროების აღმნიშვნელი სიტყვისგან მომდინარეობს და კარისკაცთა მეთაურს ნიშნავს.
7. საყოველთაოდ ცნობილი ფეხბურთის მარშის ავტორი მარკ ბლანტერია.
8. შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 30000 თვითმკვლელობა ხდება.



9. აღენ დელონს ჭირის დღესავით სძულს ამერიკული კინემატოგრაფია.
10. „ბელარუსკი ნაროდ ბუდეტ ვიტ ბედნი, ნო ნე დოლოვო!“ – საზეიმოდ განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაზე ბელარუსის პრეზიდენტმა ვლადიმერ ლუკაშენკომ.
11. „ნუ აჩქარდები, ადამიანს ბედნიერი უწოდო, სანამ ის არ მომკვდარა,“ – ამბობდა ონორე დე ბალზაკი.
12. „გალაკტიონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, მოეწონებოდა ის, რასაც მე ვაკეთებ,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში კოტე ყუბანეიშვილმა. P.S. ამ ინტერვიუს დროს მას მაისური ეცვა, რომელზეც ეწერა: „ჩვენი ცხოვრების პირობებს, გარემო განაპირობებს“.
13. „მე თითქმის ყველაფერი ვნახე თბილისში – ქართულ სამთხვეში, და მთელი ცხოვრების მანძილზე ასე ნაყოფიერად არ მიმუშავია, როგორც თბილისში,“ – წერდა ალექსანდრ დიუმა.
14. „ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალვაჟი ვყავდით, მე საქართველოს 19 შვილს ვუტოვებ. თქვენ? – ასინეთ შავერზაშვილი.“ – ეს წარწერა ჟინვალის შესასვლელთან, ქვაზეა გაკეთებული.
15. „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი,“ – წერდა ტიციან ტაბიძე.
16. მშენიერი სქესის წარმომადგენლები რობერტ რედფორდზე ამბობენ – ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძაღლივით კეთილი თვალები აქვსო.
17. ელენე ახვლედიანი ახლობლის გამოფენაზე იყო, როცა გული გაუხდა ცუდად და გარდაიცვალა. „კაკ სტიდნა, უესენ ნა გლაზახ...“ – ეს იყო მხატვრის

ქადრში გადაცემის წამყვანი – ახალგაზრდა, სიმპათიური ქალბატონი – და „ლუარსაბ თათქარიძე“ – ულვაშებისა და ბუხრის ქუდის გარეშე, თანამედროვე, ძვირადღირებული პიჯაკითა და ჰალსტუხით.

გადაცემის წამყვანი:
– საღამო მშვიდობისა, ბატონო შაქრო. ამას წინათ, თქვენს რაიონში ხალხმა, პროტესტის ნიშნად, რკინიგზა გადაკეტა, კრიმინალებს გატაცებული ჰყავთ ადგილობრივი ფოსტის უფროსი. რაიონის პოლიციის უფროსმა თაკი გაუტეხა რაიონის პროკურორს. რაიონში არ არის ელექტროენერგია, მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი, არ რიგდება პენსია-ხელფასები, გაფიცულები არიან მასწავლებლები. ყოველივე ამის გამო, ხალხმა კაბინეტის კარი ავიჭვადო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ მოვლენებს?

ბატონი შაქრო:
– უპირველეს ყოვლისა, მივესალმები ჩვენს ტელემაყურებლებს; ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენს მოსახლეობას მიუვლოცავ შობა-ახალ წელს, დედის დღეს, 8 მარტსა და ყველა დამდგარ თუ დამდეგ დღესასწაულს. აქვე უპირანი იქნება ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, თავიანთი ოჯახებით, შვილებით, შვილიშვილებით, ნათესავებით, მეგობრებითა და ყველა კარგის მდომით. ღმერთმა დოვლათი და მშვიდობა ნუ მოაკლოს მათ ოჯახებს!

პაუზა.
– დაამთავრეთ, ბატონო შაქრო?..
– დიახ, რა თქმა უნდა.
– კეთილი... ბატონო შაქრო, გვაქვს ინფორმაცია, თითქოს თქვენ ხალხს გაურბიხართ, ერიდებით მათთან შეხვედრას...
– ეს მტკნარი სიცრუეა, რომელსაც ზოგიერთი ჩემთვის ცნობილი არამზადავრცელებს. ამას წინათ, მაგალითად, ჩვენს სამეურნეო აქტივთან მქონდა უპალსტუხო შეხვედრა დახურულ კარს მიღმა. ვისაუბრეთ სახელმწიფო ბიუჯეტის პოლიტიკურ ფისკალობაზე, დებიტუნარიანობისა და შემოსავლით ნაწილში გარღვევების ეფექტიანობის დაძლევის დასახვის გზებზე, გრანტების, ტრანშების და სესხების ქმედუნარიანობის ინფრასტრუქტურების ამაღლების საერთაშორისო პროგრამებზე, „ენჯიოების“ გამჭვირვალობის ფონზე. განსაკუთრებით თბილი საუბრები გამოვივიდა ხელფას-პენსიების გათიშვა-გამყინვარებისა და გასავლის ნაწილში შემოუსავლიანობის გამო, გაუვალობის პრობლემებზე და მასთან



თამაზ კორძოლიანი

შუალაღი ცელქეაღაცეა

დაკავშირებულ ფისკალური გარღვევების პარამეტრებზე. ჩემი აპარატის თანამშრომლები დღედაღამ განუმარტავენ მოსახლეობას, რატომ არ ვაძლევთ პენსიებს და ხელფასებს. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნაწილი გაგებით ეკიდება ჩვენი ლატაკი ქვეყნის გასაჭირს. მაგრამ არიან კიდევ ცალკეული ელემენტები, რომლებსაც არ სურთ მიზეზ-გარემოების გათვალისწინება, – არ გვაინტერესებს რისთვის და რატომაო, – ეგრევე მოგვეცით რაც გვეკუთვნისო...

– უკაცრავად, ტელემაყურებელია ხაზზე. ვისმენთ, თქვენ ეთერში ხართ!
ტელემაყურებელი:
– ორი კითხვა მაქ შაქროსთან, ქალბატონო თინა. შაქრო! რაღა მაინცდამაინც ჩვენი პენსია-ხელფასები იყინება, ისიც – შუა ზაფხულში, ა? შენსა და შენი ნათესავების ხელფასებს კი არაფერი მოსდით? ეს ერთი... ახლა მეორე კითხვა: შაქრო! სანამ მაგ ადგილას დავნიშნამდნენ, ისეთი გამხდარი იყავი, ყურებში სულანდი გაგდიოდა; ეხლა რამ გაგასუქა ღორივითა, შე ხინკლიყლაპია, შენა, ჰა?

წამყვანი:
– ძალიან გთხოვთ, კორექტულობა დაიცვათ!
შაქრო:
– ხომ დანახეთ, ქალბატონო თინა, რა ხალხთან მაქვს საქმე? ვიცანი ეგ კაცი. ახლა, ამისთანა ადამიანებს პენსია-ხელფასები რომ დაურიგო, იცით, რა მოხდება?
– მაინც რა მოხდება, ბატონო შაქრო? ისინი ხომ თავიანთ კუთვნილს ითხოვენ...
– რა მოხდება და... დღეს რომ მაგათ პენსია-ხელფასები დაურიგო, ხვალ უფრო მეტს მოითხოვენ...
– უკაცრავად! სხვა მაყურებელია ხაზზე: ვისმენთ!
ტელემაყურებელი:

– ალო! ალო! ისმის ჩემი ხმა?
 – დიახ, დიახ, გისმენთ.
 – გამარჯობა შენა და გამარჯობა შენცა! შაქრო, მაგ ადგილას რომ დაგნიშნეს და ნიფხავი არ გეცვა...
 – უკაცრავად, გაუთიშეთ! გაუთიშეთ ტელეფონი. ტელემამყურებლებს კი ისევ ვთხოვ, კორექტულობა დაიცვან.
 – ეს კაციც ვიცანი. დაიცა, ჩამოვიდე, მე შენ გიჩვენებ, ვის რა ეცვა...
 – ისევ ტელემამყურებელს მოვუსმინოთ.

ტელემამყურებელი:
 – მიუღი ტყეები რო გააკაფვინე და საზღვარგარეთ გაიტანე დოლარებზედა, „ტყე შეუნახე შვილებსა“ – სიმღერა მაინც არ გაგიგონია, შე კაი კაცი? მერე კიდენა, ყველაფრის წილში რო ზიხარ... კაცმა სახაჭაპურე გახსნა – წილში გახველი, სახინკლე გახსნა – წილი მათიხოვე, „მაროქნი ცეხი“ გააკეთა – წილი მათიხოვე... წილი შენა და შავი ჭირი!..
 – გადაცემის რეჟისორს ვთხოვ, მსგავსი არაკორექტული მამყურებლის ზარები აღარ შემოიყვანოს ეთერში... ბატონო შაქრო, მოდი ახლა, ერთად ვნახოთ თქვენს რაიონში მიმდინარე აქციის ვიდეორჩანაწერი.

კადრში შუახნის ქალი: „არა გვაქვს დენი, არა გვაქვს წყალი, არ გვაძლევენ პენსიებს, ხელფასებს, ჩვენი რაიონის ხელმძღვანელის ოჯახი და ნათესავები კი მდიდრდებიან...“

– რას ეტყობით, ბატონო შაქრო, ამ ქალბატონს?

– იცით, რას გეტყვით? ეს ქალი არის ჩვენი რაიონის სკოლის მასწავლებელი; შარშან მისმა ქმარმა გლეხების განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება გაიტაცა და მიიმალა; მაგას სალაპარაკო აქვს რამე?! იმ ქალბატონს კი – „ტყე შეუნახე შვილებსა და ბუჩქები შვილიშვილებსაო“, – რომ თქვა, ისიც ვიცანი: მაგისი შვილი იყო სწორედ სატყეო მეურნეობის უფროსი და რომ მოვხსენი, იმიტომაც იწყებულა. გარდა ამისა, ამ ქალბატონს და მისნაირებს მინდა განკუთვნილი, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომელზედაც წარმატებით გადავედით, ითვალისწინებს ქვეყანაში მდიდრებისა და ღარიბების არსებობას და რომ...
 – უკაცრავად, ბატონო შაქრო, შეგაწყვეტინებთ: მდიდრები და ღარიბები კი უნდა იყვნენ, მაგრამ მაინცდამაინც მოხელეები უნდა იყვნენ მდიდრები და ყველა დანარჩენი ღარიბი, ეს არსად თქმულა... ისევ ტელემამყურებელს დაუთმოთ ეთერი, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია გველოდება. მოგესალმებით, თქვენ ეთერში ხართ.

ტელემამყურებელი:
 – ალო, შაქრო, შვილო! გესმის ჩემი ხმა? ჩვენი სიცოცხლის ცისკარო, ჩვენი გაშლილი ვარდო, ჩვენი სასახლო ჭკუის კოლოფო, წამლადაც დაგენაყეთ, ჩვენი სიყრმისა მზეო, ჩვენი ბლისა კუნწულავ, ჩვენი დამტირებელი, შენამც დაგვაყრი მიწასა... რა გვეშველებოდა უშენოდ ამოდენა სანათესავოსა?! შენ კი გენაცვალოს შენი მამიდა, მაიკო.
 – რა თქმა უნდა, ეს ტელემამყურებელიც იცანით, ბატონო შაქრო...
 – არა! ვერ ვიცანი. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვიცანი...
 – გაოცებას იწვევს თქვენი გულწრფელობის მაღალი ხარისხი. მოდი, კიდევ ერთ ტელემამყურებელს მოვუსმინოთ და ამით დავამთავროთ.
 ტელემამყურებელი:
 – ბატონო შაქრო, უკანასკნელ ხანს, თქვენისთანა ხელმძღვანელებს ერთი ეპიდემია შეეყარა: შეგიძლიათ დღე და ღამე ილაპარაკოთ და არაფერი თქვათ, უსაგნო ლაპარაკს კი, ყბელობა ჰქვია. უმჯობესი იქნებოდა, ერთ კითხვაზე მაინც გაგეცათ პასუხი, მაგალითად: რა იწვევს თქვენი რაიონის მოსახლეობის უკმაყოფილებას?
 – ეს კაცი ჩვენი რეგიონის მცხოვრები არ არის; ჩვენი გამოხატებული ხალხი ასე ლოგოკურად აზრს ვერ ჩამოაყალიბებდა... მიუხედავად ამისა, ვუპასუხებ. მიიხედ-მიიხედეთ, ხალხი! – მარტო ჩემს რაიონში იკაფება ტყეები? განა სხვა რაიონებს აქვთ ელექტროენერგია? განა სხვაგან ურიგებენ ხალხს კუთვნილ პენსია-ხელფასებს? განა სხვა რეგიონების ხელმძღვანელები არ შედიან წილებში? რაღა მე გადამეკიდეთ, კაცი?! დაბალი ღობე მნახეთ, თუ როგორ არის საქმე?!
 – მაგამი აბსოლუტურად გეთანხმებით, ბატონო შაქრო! ახლა ბოლო კითხვაზე მიპასუხეთ. მართალია, თქვენზე რომ ამბობენ...
 – სიცრუეა, რასაც ჩემზე ამბობენ...
 – ...ქვეყნის მეთაურმა თქვენზე თქვა...
 – ეგ სრული ჭეშმარიტებაა!
 – მათქმევინეთ, ბატონო შაქრო, თქვენ ხომ არ იცით რას ვამბობ... ხალხი თქვენზე ამბობს: არაფრის გამკეთებელი, ყბელი, ფულის ტომარააო...
 – სიცრუეა! სრული სიცრუე!
 – მაგრამ იგივე აზრი, სიტყვასიტყვით, ამ დღეებში ქვეყნის მეთაურმა გაიმეორა...
 – ქვეყნის მეთაური ყოველთვის მართალია, მაგრამ...
 – ...წარმოდგენილი მაქვს, ბატონო შაქრო, რა გაუგებარი იქნებოდა თქვენი საუბარი, ყველაფერი დღესავით ნათელი რომ არ იყოს... ამით ვამთავრებთ და დროებით გემშვიდობებით, პატივცემულო ტელემამყურებელი.

ინფორმაციულ-შეფხვნილი კოლაჟი
 ეორა დვალის
 უბის წიგნაკიდან:



უკანასკნელი სიტყვები.
 18. გოგი ქავთარაძეს მეხუთე კლასში მასწავლებელმა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ უპოვა, რისთვისაც კინაღამ სკოლიდან გარიცხეს.
 19. ამერიკელი საზღვაო ფეხოსნები არსად და არასოდეს ტოვებენ თავიანთ დაჭრილ ან მოკლულ თანამებრძოლებს, მაშინაც კი, როცა ზურგით უხდებთ მათი თრევა.
 20. მოტოციკლს ეტლი იმ მხარეს უკეთდება, რომელ მხარესაც არის მოძრაობა მოცემულ ქვეყანაში. შესაბამისად, ინგლისში მოსიარულე მოტოციკლს ეტლი მარცხნივ აქვს, საფრანგეთში მოსიარულეს – მარჯვნივ.
 21. როდესაც ანზორ ერქომაიშვილი პარიზიდან დაბრუნდა და გურიას, კერძოდ ოზურგეთს ეწვია, იქურებს მოუყვა, – ქართული სიმღერები ვეროპელებმა მსოფლიო მონაპოვრად აღიარესო. „რავა, აქამდე არ იცოდნენ თუ?!“ – გაიკვირვეს გურულებმა.
 22. „ბუღლოგი“ სუფთა წყლის ინგლისური მოვლენაა. ამ ჯიშის ძაღლების ექსპორტით ინგლისელები საკმაოდ სოლიდურ თანხას შოულობდნენ.
 23. ნიახ დიასამიძე ცეკვის ანსამბლთან ერთად გასტროლებზე იმყოფებოდა. ამ გასტროლების დროს მას ერთი სოლისტი ეხვეწებოდა, ჩემი გასვლის წინ რომ მეუბნებო: „ერთი, ორი, სამი, ოთხი და პე!“, სწორედ ეგ „პე!“ არის, საქმეს რომ მიფუჭებსო. დათვალე და ამ ოხერი „პეს“ ნაცვლად რამე სხვა სიტყვა, თუ გინდა, „ვაშლი“ მითხარი, ეგ „პე!“ კი აღარ გამოაგონო! – კარგი, ბატონო, – დათანხმდა ნიახი, – „ვაშლს“ ვეტყვით. დაიწყო კონცერტი, სოლისტის გასვლის დროც დადგა. ნიახმაც არ დააყვნა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ და „მსხალი“, – უთხრა! P.S. ის კონცერტი, მგონი, მოლიანად ჩაიშალა.
 24. ლუარსაბ თათქარიძის პოპულარული შვიტხვა – ხვალ რაღა ვჭამოთ?! – დღევანდელ საქართველოში ყველაზე აქტუალურია.
 25. დამასკოს აქებს, ვით სამოთხეს – ყურანის სურა, აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიან. პოი, აშუღო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად, თბილისი ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია.
 P.S. როგორ უნდა ჰყვარებოდა არაბ პოეტ ნიზგალაჰ-ჰასუნს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი, რომ დაეწერა: აშუღო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურადო?!

საერთოდ, ეტიკეტი ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ყველა სფეროს ეხება, მაგრამ ჩვეულებრივ, ყველაზე დიდ სირთულეს სწორედ სუფრასთან ქცევის ნორმები წარმოადგენს ხოლმე. სუფრასთან ქცევის წესის დარღვევამ ზოგჯერ საგალალო შედეგაც შეიძლება გამოიღოს. მაგალითად, ერთ-ერთ ფილმში ჯეიმს ბონდმა მოწინააღმდეგის აგენტი მაშინ ამოიცნო, როცა აგენტმა თევზის მირთმევისას, წითელი ღვინო მოითხოვა.

სხვათა შორის, თვით სიტყვა „ეტიკეტი“ არცთუ ისე დიდი ხნისაა. „კარგი ქცევის წესებთან“ ერთად, იგი ყოფილა XVII საუკუნეში, საფრანგეთის სამეფო კარზე დამკვიდრდა. მეფე ლუდოვიკო მეოთხე ტიტის მიერ გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე სტუმრებს საეტიკეტო ბარათები დაურიგეს, რომელზეც სუფრასთან ქცევის ზოგიერთი საგალალო წესი იყო ჩამოთვლილი.

ბავშვობიდანვე ყველასათვის ცნობილი გამოთქმა — „მაგიდას იდაყვებით ნუ დაეყრდნობი“ — თურმე უნივერსალური სულაც არ ყოფილა. მაგალითად, თუ რესტორანში იმყოფებით და იქ ხმაური და ხმამაღალი მუსიკაა, მაშინ თანამეინახებთან დასალაპარაკებლად, წინ გადაწევა და სამისოდ, მაგიდაზე დაყრდნობა მოგიწევთ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ასე მოქცევა მიუღებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელში დანაჩანგალი გიჭირავთ.

ფილმ „ტიტანიკის“ გადაღების დროს, მსახიობები საეტიკურად სწავლობდნენ გასული საუკუნის დროინდელ სუფრასთან ქცევის წესებს. მაშინ, სუფრასთან მსხდომნი ხელსახოცს საყელოში იმაგრებდნენ, ახლა ეს მიღებული აღარ არის — ხელსახოცი მუხლებზე უნდა დაიფინოთ, თანაც ეს მხოლოდ მაშინ უნდა გააკეთოთ, როცა სუფრაზე ყველა შეგვეთილ კერძს მოიტანენ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ ხელსახოცი ტუჩებისა და ხელეების გაწმენდა მიღებული არ არის, შეიძლება მხოლოდ ოდნავ მიდოთ ხელსახოცი ტუჩებთან, ვთქვათ, ღვინის დაღვეის წინ. თუ წვეულების დროს სუფრიდან ადგობა მოგიწიათ, ხელსახოცი თევზის მარცხენა მხარეს ან ცენტრში (თუ თევზები ალაგებულია) უნდა დადოთ. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ ხელსახოცის დაჭმუჭნა ან, პირიქით, გულმოღვინედ დაკეცვა საჭირო არ არის, — ის სუფრაზე უბრალოდ, ასე ვთქვათ, უდიერად უნდა დადოთ.

სუფრის უბრალოება

თუ ეტიკეტის სქელტანიან სახელმძღვანელოს გადაფურცლავთ, მოგეჩვენებათ, რომ სანიმუშო ქცევის ნესები მხოლოდ უამრავი მუხლუღვისა და მოსაწყენი რჩევა-დარიგებების ნაყრებია. სინამდვილეში კი, საქმე არც ისე რთულადაა და ეტიკეტის ძირითად ნესებში გარყვევა საყმაოდ ადვილად შეიძლება, რადგან მისი მთავარი დანიშნულება ცხოვრების გართულება კი არა, მისთვის უომფორტულობისა და სიამოვნების მინიჭებაა.



ოფიციალურ წვეულებაზე მისული, არ უნდა დაგაბნოთ დანაჩანგლისა და ჭიქების სიუხვე. ასეთ შემთხვევაში, კერძების შემოტანასთან ერთად, დანაჩანგალს მიმდევრობით იღებენ (პირველად იმას, რომელიც თევზისგან ყველაზე შორსაა). იგივე წესი მოქმედებს ჭიქებზეც — პირველად მარჯვენა კიდეში დადგმული ჭიქა უნდა გამოიყნოსო, დანარჩენები კი — დანიშნულების მიხედვით: ყველაზე პატარა ჭიქები მაგარი

სასმლისთვისაა გათვალისწინებული, სადესერტო და ტკბილ ლიქიორებს ფილისმაგვარ ჭიქებში ასხამენ, წითელი ღვინისთვის განკუთვნილი ფუფერი მოზრდილია და ფორმით ტიტას წაავაგს, თეთრი ღვინო კი, უფრო მაღალ, ფეხიან ბოკალში უნდა ჩაასხათ. ყველაზე დიდი და მაღალი ფუფერები შამპანურისთვისაა განკუთვნილი. საერთოდ, ჭიქა დაახლოებით სამი მეოთხედით ივსება სასმლით და დასხმისას ბოთლის ყელი

ბოსტნეული	რეჟილია	რას ეძახდნენ ვლადიმერ ოგურცო- ვას შემოკლებით	სამხედრო შარვალი	ხის სახლი დბ საქარო-ში	ქერუს დედაქალაქი	ფუტკრის ის სახლი
ბა	ე	ი	ჩ	ა	ნ	ი
საუბე მთვარის ეპითეტი	მსახიობი ჯან-კარლო სული, ... ფული	„სწავლობს ... გიგინა“	ფრანგი ფერმწერი მარკ ...	შუა საუკუნეების მემამულე	მეჯლისი

ჭიქას არ უნდა ეხებოდეს. თუ დალევა არ გსურთ, ნუ დააფარებთ ჭიქას ხელს – ეს უზრდლობად ითვლება; ამ შემთხვევაში, არც ჭიქის პირქვე გადაბრუნება მიღებული. წვეულების მასპინძელმა პირველად სასმელი საკუთარ ჭიქაში უნდა დაისხას და პირველი სადღეგრძელოც თავადვე უნდა შესვას. სუფრასთან ღვინის შერჩევა მამაკაცის საქმეა, კერძების შერჩევა კი – ქალის პრეროგატივად ითვლება. ეტიკეტის კლასიკური წესების თანახმად, ოფიციალტმა მინიმუმ ერთი ჭიქა უნდა მიაწოდოს, შემდეგ კი, მის თანხლებს. თუმცა, ამჟამად, ამ წესს მკაცრად აღარ იცავენ და ყველაფერი სიტუაციაზე დამოკიდებული.

ავატა კრისტის ერთ-ერთ ლეტექტიურ რომანში სუფრასთან სტუმრების დასხდომის წესი დანაშაულის გახსნის გასაღებად იქცა. რა თქმა უნდა, მეგობრების ვიწრო წრეში სუფრასთან განლაგების ზუსტი გათვლა შეუძლებელია, მაგრამ შედარებით ოფიციალურ წვეულებებზე, როგორც წესი, მასპინძელი ცოლ-ქმარი ერთმანეთის პირდაპირ ჯდება და ყველაზე საპატიო სტუმრები ადგილებს მათგან მარჯვნივ და მარცხნივ იკავებენ.

სუფრასთან საერთოდ, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მარცხენა და მარჯვენა მხარეებს. მაგალითად, ოფიციალტმა კერძი მარცხენა მხრიდან უნდა მოგართვათ, სასმელი კი, წესით, მარჯვენა მხრიდან ისხმება. ყველაზე დიდი გაუგებრობა კი, დანა-ჩანგლის ხმარების დროს წარმოიშობა ხოლმე. საყოველთაოდ გავრცელებული ევროპული წესის (დანა – მარჯვენა ხელში, ჩანგალი – მარცხენაში) გარდა, არსებობს კიდევ ე.წ. „ზიგზაგისებური“ წესი. ამ მეთოდს საკმაოდ ხშირად იყენებენ ამერიკელი ვარსკვ-



ღვინის არჩევა და პირველი სადღეგრძელო მასპინძლის საქმეა; ფოტოზე წვეულების მასპინძელი – ალენ დელონია გამოსახული

ლაგები „ოსკარის“ ან „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამართული ბანკეტის დროს: თავდაპირველად, მარჯვენა ხელით, დანით კერძს ერთ ნაჭერს აჭრიან, შემდეგ დანის ნაცვლად, მარჯვენაში ჩანგალს იკავებენ და მისი მეშვეობით შეექცევიან. იმ შემთხვევაში, თუ კერძის ჭამა უდნაოდ შეიძლება, მაშინ ჩანგალი ყოველთვის მარჯვენა ხელში უჭირავენ.

დამარილებული ან შებოლილი თევზი დანის მოშველიებით შეგიძლიათ მიირთვათ, ხოლო მოხარშულ ან შემწვარ თევზს, როგორც წესი, ორი ჩანგალი ახლავს. ამ შემთხვევაში, თევზის ნაჭრებს მარჯვენა ხელით მიირთმევენ. არსებობს ისეთი კერძებიც, რომლის ჭამაც ხელითაა მიღებული. მაგალითად, ცნობილი ფილმის „ლამაზმანის“ გმირი, რომელსაც ჯულია რობერტსი განასახიერებდა, ცდილობდა, თავისი მდაბიური წარმოშობა დაემაღლა და ლოკოკინები ჩანგლით ეჭამა, არადა, ოფიციალურ წვეულებებზეც კი, თურმე ლოკოკინების ხელით ჭამა და ნიჟარიდან მისი შიგთავის გამოწვავაცაა მიღებული.

როგორც წესი, თევზს სპეციალური მოწყობილობისა და ჩანგლების მეშვეობით მიირთმევენ;


ხელით ბოსტნულსაც მიირთმევენ და ფრინველის ხორცსაც. ვაშლი, მსხალი და ატამი ჯერ ხილისთვის განკუთვნილი პატარა დანით უნდა გათალოთ, დაჭრათ და ჩანგლით მიირთვათ. ხელით მხოლოდ მანდარინის გაფუჭება მიღებული.

ჭამის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, დანა-ჩანგალს თევზზე დიაგონალურად აწყობენ და ეს იმის ნიშანია, რომ თევზების ალაგების დრო დადგა.

თუ ოფიციალურ წვეულებაზე იმყოფებით, ეცადეთ, ყველაფერს მიაქციოთ ყურადღება, – ისეთ მარტივ და ჩვეულებრივ კერძსაც კი, რომელიც კარტოფილისგან მზადდება. მაგალითად, მოხარშულ კარტოფილს ჩანგლის გვერდითა მხარით ისე აქუცმაცებენ, რომ პიურედ არ იქცეს. არ შეიძლება კარტოფილზე საწებლის დასხმა – ის მხოლოდ ხორცისა და თევზის კერძებისთვისაა გათვალისწინებული.

საინტერესოა, რას ითვალისწინებს ეტიკეტი იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს კბილებში თევზის ფხა გაეჩხირა ან ლუქმა გადასცდა? ასეთ დროს, მთავარია, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიიქციოთ, მაგრამ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ქცევის მკაცრი წესების უგულებელყოფაც შეიძლება, რათა თავი საფრთხეში არ ჩაივლოთ.

ეტიკეტის წერილმანების განხილვა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ისიც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ კარგი მანერების დაცვასაც არ უხდება გადამლაშება.



ა. პოპოვის გამოგონება	... სჯობია ღონესა	ხვიარა გროპიჯული მცენარე	თოფის ხის ნაწილი	სწრაფი პარგია ჭაღრაქში	მეგალი	აირი
ნაღობი	მულრევი, ...-გიალი	ტკბილი ნაყოფი	მახრჩობელა გველი	შარში ანუ	იფივეტ რუც შაპიგო	ძალის ქიში



დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი

ქართული ოქრომქანდაკელობის გამორჩეული და დახვეწილი ნიმუში — ომში მიმავალი მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი საქართველოს ისტორიის ყველაზე დიადი ეპოქის „თვითმხილველია“...

ელენე სალარიძე

დიდგორის ბრძოლა უპირველესთაგანია ქართველთა მიერ ათასგზის გარდახდენილ სახელოვან ბრძოლათაგან. თურქ-სელჩუკთა უზარმაზარ ლაშქარზე გამარჯვებამ დავით აღმაშენებელს გზა გაუხსნა თბილისისკენ. ამ გამარჯვების შემდეგ, ასევე ტრიუმფით „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუპყვიდრეს შვილთა მისთა“ — წერს მემბტინე... ერთი წლის შემდეგ დავითი დმანისს იღებს — მაჰმადიანთა უკანასკნელ საყრდენ პუნქტს საქართველოში. მერე კი იწყება ცნობილი ბრძოლები სომხეთისა და შირვანის თურქთა ბატონობისგან გასათავისუფლებლად... და დავით IV აღმაშენებელი უძლიერესი სახელმწიფოს მეფე ხდება, სახელმწიფოსი, რომლის ტერიტორია გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდან (ახლანდელი ტუაფსე) დარუბანდის (დერბენტი) საზღვრამდე და ოვსეთიდან (დღევანდელი ჩრდილო ოსეთი) არაგაწამდე (ეს ადგილი ახლა სომხეთის ტერიტორიაზეა)“...

უმავალითო გამარჯვებებით დასრულებულ ბრძოლებში დავით აღმაშენებელს მუდამ თან დაჰქონდა საწინამძღვრო ჯვარი. ბუნებრივია, საწინამძღვრო ჯვარი ეჭრა ხელთ მეფეთ მეფეს, როცა დიდგორის ომის წინ სიტყვით მიმართა თავის მეგობრობას — ან გავიმარჯვებთ, ან ბრძოლის ველზე დავიხოცებითო... საწინამძღვრო ჯვარის მაღლის იმედით მიღ-

იოდა ქართული ლაშქარი სამკვდრო-სასიცოცხლო ომებში.

დიდგორის ბრძოლა თვალის ერთი გადავლებით

1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. მანამდე გაუგონარ ხერხს მიმართა დავითმა. ქართველთა ლაშქარს ორასი მეომარი გამოეყო და მოულოდნელად თურქ-სელჩუკთა ლაშქრისკენ გაემართა. მტერმა ისინი ქართველთა მოღალატეებად ჩათვალა და თავისი ლაშქრის შუაგულისკენ მშვიდად შეუშვა. მოულოდნელად მამაცმა მეომრებმა ყიჟინა დასცეს და გაათმავებული ენერგიით ეკვეთნენ მტერს. თურქთა ლაშქარი ერთბაშად აირ-დაირია, ყიჟინას ქართველთა ჯარის ერთიანი შეტევა მოჰყვა და სამიოდე საათში ყველაფერი დასრულდა — დაჭრილ მთავარსარდალს ილ-ლაზს სულ კუდით ქვა ასროლინეს...

ახლა კი დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარს მივუბრუნდეთ. ამ ჯვარის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანმეურნოს მცველი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი **ილინა კავლილიშვილი**.

— დავით აღმაშენებლის, ანუ გელათის საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც X საუკუნის ნაკეთობაა, ლითონზე პლასტიკის მართლაც რომ უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს. იგი ქართული ოქრომ-

ქანდაკელობის შესანიშნავი ნიმუშია.

საწინამძღვრო ჯვარი (42 X 34 სმ) რთული კომპოზიციური აღნაგობისაა და თითქოს ერთგვარად აჯამებს შუა საუკუნეების ქართული ოქრომქანდაკელობის მიღწევებს.

— რომელი წმინდანები არიან გამოსახულნი გელათის საწინამძღვრო ჯვარის მკლავებზე?

— ჰორი ზონტალურ მკლავებზე მარცხნიდან მარჯვნივ ოთხი, თანაბარი ზომის წრეა, რომელშიც ჩაწერილია მხარებლების ნახევარფიგურები შემდეგი თანამიმდევრობით — მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე. ზედა ვერტიკალურ მკლავზე პეტრე მოციქულის ნახევარფიგურა ასევე წრეში ჩაწერილი, ზემოთ კი ორი ანგელოზია გამოსახული. ქვედა მკლავზე წმინდა ბარბარეს მთელი ტანით წარმოდგენილი გამოსახულებაა, მის ქვემოთ კი, პავლე მოციქულის ნახევარფიგურა... ცენტრში მოთავსებული ნახევარსფერული კოპი მზის სიმბოლოს წარმოადგენს.

— საიდან დასტურდება, რომ ეს ჯვარი დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა?

— ჯვარს ამთავრებს ოქროს ფირფიტა, რომელიც ვერტიკალური ქვედა მკლავის ბოლოსაა მოთავსებული და რომელზეც სევადით შესრულებულია ქართული ასომთავრული წარწერა. წარწერა ექვს სტრიქონზეა განაწილებული შემდეგნაირად:

ღმერთო ყოველთა დამბადე ბელთა ადიდე შენ მიერ გვირ გვირხსანი დავით აფხაზთა და ქართველთა ჭერთა და ხახთა მეფე მზეი ქრისტეანობისაჲ ამინ

... და რადგან დავით აღმაშენებელს ქრისტიანობის მზესაც უწოდებდნენ, მის საწინამძღვრო ჯვარზე მზის აღმატებული ზომით გამოხატვაც ბუნებრივია...

P.S. დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი ერთსა და იმავე დროს ქართული ოქრომქანდაკელობის უძვირფასესი ნიმუშიცაა და საქართველოს ისტორიის ყველაზე დიადი ეპოქის მოწმე და შემოქმედიც...

ჩემი და ჩემი მეგობრის ოდისეა ამერიკაში (იხ. „გზა“ №№5,7,9) ჯერჯერობით სამუშაოს მაძიებლის სტატუსს ვერ გაცდა. ყოველდღე მატულობდა იმედგაცრუებათა ტალღა, რომელიც თითქოს ახალი ენერგიით გვაფესებდა. ხომ გაგიგონათ — გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო... ამ ანდაზამ ჩემზე ათმაგად იმოქმედა: ისეთი შინაგანი ძალით ავივსე, ვგრძნობდი — ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავდი. იმ ოფისში, საიდანაც თავაზიანი უარით გამოგვისტუმრეს, ყურადღებით გავეცანი საცნობარო ნიგნს და სულ სათითაოდ ამოვინერე იმ ორგანიზაციათა მისამართები, სადაც მუშაობის ნებართვას იძლეოდნენ. ჩემი გამოცოცხლება ვახოსაც გადაედო და ენერგიულად დავადექით ძალზედ პროზაული ოცნებისკენ მიმავალ გზას — ოცნებისკენ, რომელსაც ამერიკაში დასაქმება ჰქვია...

აკაკი გებენავა



და შენ გაანათებ? თანაც ფულით? — ირონიულად მითხრა ვახომ. — რას მოიგებ შენი ახალი იდეით?

— ახლა ამერიკა ჩვენთვის ნამდვილად არ არის სამოთხე, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა ვიბრძოლოთ. შეიძლება ვერ მოვიგოთ, მაგრამ არც არაფერს ვკარგავთ... — მჭევრმეტყველების ხასიათზე დავდექი და იმის მტკიცებაც დავიწყე, რომ სხვა გზა აღარ გვქონდა, თუ არა ვინმეს „მოთავფლა“ და ფულის გადახდა.

თავიდან ვახო, უარის ნიშნად, ენერგიულად აქნედა თავს, ბოლოს, ეტყობა, ჩემმა მრავალსიტყვაობამ გაჭრა და დამთანხმდა — ყველაფერში მოგყვები, მეტი რა ვქნაო.

აჭერად მეორე, არანაკლებ მტკივნეული საკითხი დადგა — ვისთვის უნდა მიგვეცა ფული და რამდენი? და როცა ვახო ამითაც დაინტერესდა, ვუპასუხე:

— არა მგონია, ბევრი გამოგვართვან, ბოლოს და ბოლოს, ერთი „ქეციანი“ ფურცელია! სამუშაოს ვითხოვთ — ქონებას ხომ არა!..

უფროსი თაობის ადამიანებისგან ხშირად მსმენია, თუ როგორ ახერხებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ინსტანციებშიც კი, ქართული ჭკვიანობით, ქართულ-სომხური კონიაკით, ყვავილებით და ზოგჯერ ფრანგული სუნამოთიც საქმის ჩაწყობა-მოკვარახუნებას. ეს მეთოდი, ასე თუ ისე, მეც გამომიყენებია (ოღონდ თბილისში), რომ სასურველი მიზნისთვის მიმეღწია: ვიღებდი ყალბ სამედიცინო ცნობას, ვაბარებდი გამოცდას და ა.შ. ჰოდა, ვიფიქრე: ამერიკელიც

ხომ ადამიანია, მე ჩემსაც ვცდი და შეიძლება რაღაც გამოვიდეს-მეთქი.

შევიმუშავე ჩემბუური გეგმა და მორიგ ოფისს მივადექი. უფროსთან პირდაპირ მისვლა მიზანშეუწონლად ჩავთვალე, სიტუაცია ავწონ-დავწონე და შესასვლელში მდგომ დაცვის სამსახურის ზანგ ოფიცერთან მივედი. ოფიცერმა გულითადად მომიხმინა, ამერიკულად გამიღიმა, საქმის მოგვარებაზე დამთანხმდა, აქ დამლოდო. — მითხრა და უფროსის მოადგილის კაბინეტში შევიდა. მგონი, გაჭრა-მეთქი! — გავიფიქრე და გულმა ბაგაბუვი დამიწყო...

გავიდა 10, 20 წუთი, ნახევარი საათი. ოფიცერი არ ჩანდა. ნერვიულობა მალე ვახოსაც გადაედო და დუეტში დავიწყეთ ბოლთის ცემა. უცბად, კაბინეტის კარი გაიღო და ჩემმა ნაცნობმა ოფიცერმა თავაზიანად მიგვიპატიჟა. ოთახში ერთი ხანში შესული მამაკაცი იჯდა, მეორე — ათლეტური აღნაგობის 25-ოდე წლის ყმაწვილი.

— საიდან ხართ? — უკვე მერამდენედ დავვისვეს ეს შეკითხვა, რაც ამერიკაში ჩამოვედით. ოღონდ, ახლა კითხვაში სიმკაცრე იგრძნობოდა.

— Georgia... — ვუპასუხე და მივხვდი, რომ საქმე მთლად კარგად ვერ გვქონდა.

— „აი-დი“ წარმოადგინეთ...

— „აი-დი“ რა არის? — იქით დავუსვი კითხვა.

— პირადობის დამდასტურებელი საბუთი... და სხვათა შორის, აქ კითხვებს ჩვენ ვიდლებით! — ტონი კიდევ უფრო გამკაცრდა.

ქრთამი ჯოჯოხეთის კი ანათებს, მაგრამ ამერიკას — არა!

ასე მივადექით Social Security-ს მორიგ ოფისს, სადაც მართალია, კარგად მიგვიღეს, მაგრამ ნანატრი ცნობა მუშაობის ნებართვის შესახებ არ მოგვეცა. თავაზიანად აგვისსნეს, რომ ნებართვა მხოლოდ ამერიკის მოქალაქეებს, ამერიკაში მუდმივად მცხოვრებლებს და მათ ეძლევათ, ვინც „გრინ ქარდს“ („მწვანე ბარათს“ — ე.ი. აშშ-ში ცხოვრების უფლებას) ფლობს. და კიდევ — იმ პირებს, ვისაც პოლიტიკური დევნილის სტატუსი აქვს, რის დასადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოს საბუთი, რომ მას საკუთარ სამშობლოში აღარ დაედგომება.

ჩვენ არც ამერიკის მოქალაქეები ვიყავით, არც მუდმივად ვცხოვრობდით იქ და არც „მწვანე ბარათი“ გვედო ჯიბეში. ვერც ის „გაიხსენეთ“, რომ ვინმეს საქართველოდან გაეგდეთ და ასეთ საბუთს საიდან მოვიტანდით?!

ასე რომ, ჩვენი ოცნებები ჩიხში მოექცა, გამოსავალი არა და არ ჩანდა და ეს უკვე მერამდენედ ჩავვარდით საკონტეინერში. დიდი ფიქრისა და ტვინის ჭკვლეტის შემდეგ, თითქოს ახალ ვარიანტს მივაგენი:

- ვახო, ვიპოვე გამოსავალი! — ვახარე მეგობარს.
- რა?
- ფული, ფული! არ გაგივია? — ქრთამი ჯოჯოხეთის ანათებსო!..
- რა გინდა თქვა, ამერიკა ჯოჯოხეთია



აკაკი გეგენავა ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის“ ფონზე

ორივემ ერთდროულად გაეწუოდეთ ქართული პასპორტები ოკეანისგამდელ სულთამშუთავებს. ახალგაზრდა ამერიკელმა აღმაცერად შეათვალიერა ჩვენი პასპორტები, ყოველი მხრიდან ატრიალა, მაგრამ ვერაფერი გაუგო და ბოლოს, უფროსს გადააწოდა. უფროსმაც იგივე გაიმეორა, სახეზე აშკარა დაბნეულობა გამოეხატა, მოგვიბრუნდა და ისევ გვკითხა:

- საიდან ხართ, ბიჭებო?
- საქართველოდან... - გავიმეორე.
- რუსეთიდან?
- ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.

- ... აა! მე კიდევ, ჯორჯიის შტატიდან მეგონეთ, - ხმაში თანაგრძობა დატყუო: - ამ ბოლო დროს, ამერიკაში ასეთმა ტენდენციამ იჩინა თავი: ერთ პირზე მუშაობის რამდენიმე ნებართვა გაცემული. ეს კი კრიმინალია, რასაც ჩვენ დიდი მონღოლებით ვებრძობთ... თქვენც ასეთები გვეგონეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი ეჭვი არ გამართლდა. ერთი სიტყვით, გაუგებრობა მოხდა. ბოდიშს ვიხდით უხერხული სიტუაციისთვის... ისე, ცნობისთვის გეტყვით, რომ თქვენ არ გეკუთვნით მუშაობის ნებართვა - ტურისტები ხართ, ტურისტების საქმე კი, ქვეყნის დათვალიერებაა და არა სამუშაოს ძებნა... - რაც შეიძლება ზრდილობიანად აგვიხსნა უფროსმა. დამშვიდობებისას კი, დამატა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, ქრთამის ამღები, მართალია, ისჯება, მაგრამ არა ისეთი სიმკაცრით, როგორც მისი შემომთავაზებელი. და რომ ჩვენ, ჯორჯიელმა ტურისტებმა, ქვეყანაში ყოფნისას ეს ამბავი უნდა გავითვალისწინოთ და ფრთხილად ვიყოთ...

რა გვეთქმოდა?! - მამაშვილური დარიგებისთვის მადლობა მოვასხენეთ და ოთანოდან ციფრულგადასხმულები გამოვედით.

- ბედი არ გინდა? ყველა უბელურებამ ჩვენს თავზე უნდა გადაიაროს?! - შეჭივი-

ლე ვახოს.

- მე ვკითხო, თორემ შენ რა გიჭირს! შენს ხელში მთლად გავგიჟდი... - დამშვიდების მაგივრად, აქეთ შემომიტია ძმაკაცმა.

კამათს აზრი აღარ ჰქონდა და უხმოდ დავუყვივით უკვე ნაცნობ მანჭეტენის ავენიუს...

გამაფხულმა თავდავიწყება იცის

დღე დღეს მისდევდა და სამუშაოს პოვნის პერსპექტივა არსად ჩანდა. დილაადრიან გამოვლიოდი სასტუმროდან, დავლიოდი ყველგან, სადაც შეიძლებოდა შემოეთავაზებინათ რაიმე სამსახური და ყველგან

ერთნაირი, უარყოფითი პასუხით გვისტუმრებდნენ. სასტუმროში დადლიოები და აფორაქებულები ვბრუნდებოდი. ვისვენებდით და ისევ მომდევნო დღის იმედი გვქონდა - ეგებ რამეს მაინც მივაგნოთ-თქო. ვერც ჩვენს თანამეამულეებს დავუკავშირდით ტელეფონით. ყველა ასე ერთბაშად როგორ გამოირთო თუ გაფუჭდა? - ვერაფრით აგვეხსნა...

- კაკო, თბილისში მაინც დარეკე, იქნებ რამე გვიშველონ... - ახლა ვახომ დაუწყო ძებნა გამოსავალს.

- გადარიე, ბიჭო, გინდა ხალხი ანერვიულო?!

- აბა, არ უნდა იცოდნენ, რა დღემ ვართ? - არ წყნარდებოდა ჩემი ხელმოცარული მეგობარი.

- ვახო, დაწინარდი და დაიმახსოვრე: სანამ კაკო ცოცხალია, ცუდი არაფერი მოგივა, მომეკვი და ყველაფერი კარგად იქნება! - დავაიმედე ჩემებურად. გონებაში კი დავაფიქსირე, რომ ამ სიტყვებით უკვე რამდენჯერმე ვცადე ვახოს დამშვიდება. რას ვიზამდი? სხვა ხერხისთვის უნდა მიმეძრთა და თითქოს ახლა გამასხენდა, რომ ქუჩაში ამდენი „ანგელოზი“ გვხვდებოდა, ვნებიანად გვიყურებდნენ და არცთუ ისე იშვიათად, თავისკენაც გვიხმობდნენ ხოლმე. არა, ნამდვილად არ იყო იოლი ამის გაძლება...

მაისი დამდგარიყო. ვახაფხულის ამ უმშვენიერესი თვის სურნელი ნიუ-იორკშიც ძალუმად იგრძნობოდა... ერთი სიტყვით, გული სიყვარულს ითხოვდა, თანაც - ტანამოლტილი გოგონები სულ ჯგუფჯგუფად დადიოდნენ, კისკისებდნენ, ანცობდნენ. ირგვლივ სიცოცხლე და ხალხისი გამაფხვებელიყო.

მოდლებული უიმედობისა და უიღბლობით მოგერილი სიმწრის დაძლევა ახლა ამერიკელ ფერიებთან ფლირტით განვიზრახე. ერთ-ორ ქართულ, ტემპერამენტთან კომპლი-

მენტს გოგონების სასიამოვნო ღიმილი და მრავლისმეტყველი გამოხედვაც მოჰყვა.

ორმა ეშხინამა, შავგვრემანმა გოგომ ჩავვიარა; ისეთი ლამაზები იყვნენ, მთელი დღე რომ მეყურებინა, არ მომეზრდებოდა, თან, ისეთი ღიმილი გვაჩუქეს, ძნელი არ იყო ქვეტყვის ამოკითხვა: აბა, რაინდუბო, გვიჩვენო, მაგარი ბიჭები თუ ბრძანდებითო. უკვე აუცილებელიც კი იყო ჩვენი ღირსების დამტკიცება. ის-ის იყო, გოგონებთან საუბრის გაბმა დავაპირე, რომ ვახოს ბრძნულმა დარიგებამ მიწაზე დამაბრუნა:

- ეი, ალფონსობას აპირებ, ძმაკაც? აბა, ფული შენ აღარ გაქვს და კალატოზის სამუშაოც ვერ გიპოვია! - ეს სიტყვებიც არ მაკმარა და ხელი მკლავზე მომიჭირა.

- დამაცადე, რა, ვახო, ცოლა გავერთოთ... - ვცადე, მისთვის ყურადღება არ მიმეცია და გოგონებისკენ ავიღე გეზი. ისინიც, თითქოს თანამგრძობდნენ, - განაბულები ელოდნენ ჩემს მოახლოებას. ვახომ კი, ისეთი ძალით მომიჭირა მკლავზე თავისი ტორი, რომ ტკივილისგან დავიმანჭე.

- კაკო, ახლა ნუ გადამრეკ, ისედაც არ ვარ სრულ ჭკუაზე. მიდი, საქმეს მიხედე და სამსახურზე იფიქრე, თორემ... - ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რომ საბოლოოდ გამოფხვიზლდი. გამასხენდა, რა მდგომარეობაშიც ვიყავით და ჩვენი გადაუჭრელი პრობლემების ტალღაზე გადავერთო...


ამასობაში მხსნელიც გამოჩნდა...

მართალია, ოფისებში სამსახურზე უარს გვეუბნებოდნენ, მაგრამ ამავე ოფისების შესასვლელებთან თითქმის ყოველთვის იდგა ვინმე და არაოფიციალურ მომსახურებას გვთავაზობდა. მათი წინადადებანი, ასე თუ ისე, მისაღები იყო ჩვენთვის, მაგრამ რადგანაც უმეტესად იქ შავკანიანები იდგნენ ხოლმე (მათ გამო რა პრობლემაც შეგვექნა ამერიკაში, ალბათ წინა წერილებიდან გახსოვთ), მათ სამსახურზე უარს ვამბობდით. მაგრამ ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა აღსავსე, თანაც, ზოგჯერ უიღბლობას მოულოდნელი წარმატება მოჰყვება ხოლმე და ჩვენც ასე მოგვივიდა: ერთ-ერთ ოფისთან, ზანგის ნაცვლად, რუსი გამოგვეცნაურა.

- Вы что, работу ищите?

- Да, как бешенные ищем, но никак не можем найти... - ვუპა-





სუბე გაცემულმა და თან გაიფიქრე – დღივს „ჩვენებური“ ვნახე-მეთქი.

– **А вы и не найдёте. Это Америка, здесь всё по-своему...** – ერთი სიტყვით, ახალგაჯობილმა ანატოლიმ აგვიხსნა, რომ ამერიკაში ტურისტებად ჩასულები, ოფიციალურ სამსახურს ვერ ვიშოვიდით. მაგრამ თუ გარკვეულ თანხას გადავიხდიდით, რაიმეს მოგვიხერხებდა. დაგვიტოვა ტელეფონის ნომერი და შეხვედრაც დაგვითქვა სამი საათის შემდეგ...

რა მცირე რამ გეყოფინის ადამიანებს, თავი ბედნიერებად რომ ვიგრძნობთ: ვახო შუბლაძე ისე გამოიცოცხლდა და გახალისდა, რომ თავი თბილისში მეგონა – სწორედ ასეთ ვახოს ვიცნობდი თბილისში.

– დღივს არ გნახე გაღიმებული? – გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება.

– ე-ე, ჩემო კაკო, ნერვები აღარ მყოფინის: როგორია? – ოჯახი მიატოვო, ვალები დაიღო, ამხელა გზა გამოიარო და უკან ხელცარიელი დაბრუნდე?!. ხომ უნდა ყველაფერ ამას გადახარშვა.

– ვახო, ძმაო, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, არ ინერვიულო... – კიდევ ერთხელ გავამხნვევე ძმაკაცი.

ერთი სული გვექონდა, მალე გასულიყო სამი საათი.

... ანატოლიმ ფურცელი მოიტანა, სადაც სამუშაო ადგილები იყო ჩამოწერილი.

– აი, ნახეთ, რა სამსახურები მაქვს, და აირჩიეთ: სუპერმარკეტის დალაგება, ჭურჭლის რეცხვა, ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობა, მოხუცის მოვლა, საუნაში მასაჟისტობა...

ვახოს გადავხედე და მივხვდი, რომ მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ იყო.

– მშენებლის ან მძღოლის ადგილი ხომ არა გაქვით? – ვიკითხე.

– ერთ-ორ დღეში მექნება. ვიკონტაქტით და შეგატყობინებთ – სწრაფად მიპასუხა ანატოლიმ.

– რა ვქნათ, ვახო? – დავეკითხე მეგობარს.

– იქნებ, უკეთესი გამოიჩნდეს რამე. თბილისში რომ გაიგონ, ჭურჭელს ვრეცხავ, მასწრაფ ამიღებენ... – წაიბუზღუნა.

სიმართლე გითხრათ, არც მე მეხატებოდა გულზე შემოთავაზებული „თანამდებობები“. ფულიც უკვე გვითავდებოდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, ორიოდე დღეც მოგვეთმინა და სასურველ ვარიანტს დავლოდებოდით.

ანატოლის ტელეფონის ნომერი ხელახლა ჩავიწერეთ, შევთანხმდით, რომ ყოველ საღამოს დავურეკავდით და დავეშვიდობეთ.

დამის კლუბში... მომავლის და ქალის იმედით

სამი დღე ვრეკავდით ანატოლისთან. სასურველი სამუშაო კი არა და არ ჩან-

და. ვახო ყოველდღე უფრო და უფრო იღუშებოდა. უფრო მეტიც, თითქმის აღარც ლაპარაკობდა. სიტუაციას მეტადრე ისიც ართულებდა, რომ ერთ კვირაში სასტუმროს ქირის გადახდას ვეღარ შევძლებდით.

სასტუმროში ჩვენი ნომრის ბინადარი, არონი და შონი, ყოველდღამთ გვიან ბრუნდებოდნენ – ან ნაჭეიფრები იყვნენ, ან კიდევ მხიარულები და თავიანთ მხიარულ თავგადასავლებს გვიამბობდნენ. თავიდან ხალისით იწყებდნენ საუბარს, მაგრამ ჩვენს დაღვრემილ სიფათებს რომ ხედავდნენ, საერთოდ წყვეტდნენ ლაპარაკს.

ერთხელაც არონმა ვეღარ მოითმინა და მოგვახალა: ახლა უკვე ეჭვი მეპარება, რომ ქართველები ხართ... რა არის, რა სულ ცხვირ-პირი ჩამოგტირითო?!

– ვნერვიულობთ, არონ, სამსახურს რომ ვერ ვშოულობთ... – ვუპასუხე.

– ასე ჯდომით და ნერვიულობით რას იპოვით?! ეცადეთ, საქმეში ქალი ჩართოთ და ყველაფერი გამოვივათ... – დავგმობდვარა არონმა.

– ეს... როგორ? – მოვეშხაღე „რეცეპტის“ მოსასმენად.

– როგორ და – წამოდით ჩვენთან ერთად დამის კლუბში, გაიცანით გოგონები და მიხედეთ საქმეს...

– გესმის, ვახო, რას გვეუბნება არონი? ხომ არ მოვსინჯოთ ეს გზა? – ერთიანად გაბრწყინებული მივვარდი მეგობარს, რომელმაც მაშინვე ჩაახშო ჩემი აღტაცება.

– მაგ ებრაელი ჭკვიანი რომ იყოს, შენთან ერთად კი არ იცხოვრებდა ამ სოროში, – იქნებოდა ახლა სადმე კომფორტულ ბარში ან კაზინოში და გაატარებდა დროს... – ისე ავღებულად მიპასუხა ვახომ, თითქოს თვითონ ჩემ გვერდით კი არა, მანკეტენის ფეშენებელური სას-

ტუმროს აპარტამენტების ბინადარი გახლდათ. მე მაინც არ ვიტყვდი ისტობარს და ჯიუტად ვაგრძელებდი:

– არ არის ცუდი აზრი, წამო, წავევით ბარში და მოვსინჯოთ...

– თავი დამანებე, სადაც გინდა, იქ წადი, მე არ მოვდივარ. სამაიმუნოდ არ ჩამოვსულვარ ამერიკაში! – ეს სიტყვები ისეთი კატეგორიული ტონით წარმოთქვა, რომ მივხვდი, – ვახოს ადგილიდან ვეღარ დავძრავდი. შონს ვუთხარი, რომ მხოლოდ მე წავევებოდი და საშხადისს შევუდგე.

... მანკეტენელი „ჩიტუნისას“ (ვინც ჩემი წინა წერილები წაიკითხა, ემახსოვრება) სავიზიტო ბარათიც გამახსენდა, ვიფიქრე – ხომ არ დავურეკო-მეთქი, მაგრამ მასთან შეხვედრა სამომავლოდ გადავდე და შონთან და არონთან ერთად ამაყად გავვედი ოთახიდან... ახალი მეთოდით სამუშაოს საძიებლად.

P.S. რაც შეეხება შონისა და არონის შემოთავაზებულ ახალ, მაცდუნებელ მეთოდს და ჩემს არცთუ ისე უინტერესო თავგადასავალს ამერიკაში, ამის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომრებში წაიკითხავთ...



პესიმისტი ყველა შესაძლებლობას იყენებს, რათა სიძნელე დაგვანახვოს, ოპტიმისტი კი, ნებისმიერი სიძნელის გადალახვის შესაძლებლობაში გვარწმუნებს



**მ
რ
ა
ზ
ე
ბ**

უინსტონ ჩერჩილი

ბენიკაღური

«ფაბიენ, ბოხოვ, სისულელას ნუ ჩაიღებ!..»



დოსია:
 დაბადების თარიღი: 1971 წლის 28 ივნისი
 დაბადების ადგილი: ქალაქი ლავანტი (არევის დეპარტამენტი)
 სიმაღლე: 183 სმ
 წონა: 83 კგ
 კლუბები, სადაც თამაშობდა: „ლავანტი“ (1985-88); „ტულუზა“ (1988-92); მარსელის „ოლიმპიკი“ (1992-95); „მონაკო“ (1995-2000). 2000 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი“.
 ძირითადი მიღწევები: საფრანგეთის ჩემპიონი 1997, 1999 და 2000 წლებში. მსოფლიო ჩემპიონი 1998 წელს. ევროპის ჩემპიონი 2000 წელს. ინგლისის ჩემპიონი 2001 წელს. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 1993 წელს („ოლიმპიკი“).



ალექსი რახვიაშვილი

ფაბიენ ბარტეზი იმ სპორტსმენთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც საზოგადოებაში ყოველთვის არაერთგვაროვანი აზრია: „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დარაჯს, ნაწილი აღმერთებს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ფაბიენი ჩვეულებრივი, საშუალო დონის მეკარეა და იმ „ნულზე“ გადაარსულ თავშიც „ბევრი არაფერი უყრია“. ფეხბურთის არაერთი გულშემატკივრის აზრით, ბარტეზი უბრალოდ, კარგი ადამიანია, აი, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს კი, დიდად არ აინტერესებთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის საფეხბურთო მონაცემები და მიიჩნევენ, რომ ბარტეზი ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური სპორტსმენია. ამბობენ, რომ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მეკარე, თავად, სრულიად გულგრილად არის განწყობილი თავისი „ვარსკვლავური სტატუსის“ მიმართ. ის მუდამ გაურბის თავგანისმცემლებთან ურთიერთობას და ინტერვიუს მიცემის დროსაც ცდილობს, მხოლოდ ფეხბურთის შესახებ ისაუბროს.

საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ზუსტად იქ, სადაც ფაბიენ ბარტეზის მშობლიური ქალაქი ლავანტი მდებარეობს, სპორტის ნომერ პირველ სახეობად რაბი ითვლება. ფაბიენსაც ბავშვობიდანვე მოსწონდა რაბი, რაც არც იყო გასაკვირი: ბაბუამისი ვენსანი, მეორე მსოფლიო ომამდე

და ომის შემდგომაც ტულუზის ერთ-ერთ კლუბში რაბის თამაშობდა, ხოლო ფაბიენის მამა, აღენ ბარტეზი პროფესიონალი მორაბე იყო და 70-იან წლებში „ნარბონისა“ და „ლავანტის“ რიგებში გამოდიოდა. სწორედ მამის გავლენით „ამლაყინწათა“ მომავალი მეკარე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რაბის მისდევდა, თუმცა, ფაბიენზე ოჯახური ტრადიცია მანც შეწყდა, რადგან საბოლოოდ, მან ფეხბურთი აირჩია. ფაბიენ ბარტეზი ძალიან თბილად იგონებს თავის პირველ მწვრთნელს, ემე გულუს, რომლის მეურვეობით, ესპანეთის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ ლავანტში დაიწყო თამაში. სწორედ ემე გულუმ უჩრია ბარტეზს ფუჭი ოცნებისთვის თავი დაენებებინა და იმთავითვე კარში ჩამდგარიყო: ცნობილია, რომ ფაბიენს ახალგაზრდობაში დიდი სურვილი ჰქონდა, თავდამსხმელი გამხდარიყო. ემე გულუმ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ბარტეზი სისწრაფით არ გამოირჩეოდა, თუმცა, მას მეკარისათვის აუცილებელი თვისება — კარგი რეაქცია ჰქონდა. სწორედ ამიტომ მიუჩინა ემე გულუმ ფაბიენს ადგილი კარში. „გულუ ჩემთვის ნამდვილი მოძღვარია. ის რომ არა, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. პატარა ბიჭებს ყველას გვემინოდა მისი და ბევრმა სწორედ შიმის გამო მიატოვა ფეხბურთი და რაბის მოჰკიდა ხელი. აი, მე კი, დავრჩი“, — ამბობს მანჩესტერელთა კარის დარაჯი, რომელმაც „ტულუზის“ საბავშვო-საფეხბურთო სკო-

ლაში დაიწყო ვარჯიში.
 ფაბიენ ბარტეზი 22 წლისაც არ იყო, როდესაც მარსელის „ოლიმპიკის“ შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო, 1995 წელს კი, იმავე გუნდის შემადგენლობაში, საფრანგეთის მეორე ლიგის ჩემპიონი გახდა. ერთი წლის შემდეგ, ფაბიენი საფრანგეთის პირველ ლიგაშიც გახდა ჩემპიონი. იმ დროიდან მოყოლებული, ისეთი საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობა შეძლო, რომელიც ტყავის ბურთის არაერთი დიდოსტატისთვის განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. „ვეცილობ, ჩემში მოვსპო თვითკამყოფილება, რომელიც შეიძლება დიდი გამარჯვების შემდეგ გამოჩნდეს. ახლა ყველაზე ძნელი პერიოდი მეწყება: მწვერვალზე გაჩერება ხომ უფრო რთულია, ვიდრე მასზე ასვლა“, — ამბობს ბარტეზი, რომელმაც ყველაზე დიდ სპორტულ წარმატებებს მას შემდეგ მიაღწია, რაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დაიწყო თამაში. „როდესაც საფრანგეთის ნაკრებში მოვხვდი, 21 წლის ვიყავი, — იხსენებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, — თავიდან ჩემთვის ეროვნულ გუნდში თამაში არც ისე ადვილი იყო, თუმცა, შედარებით გამოცდილი მოთამაშეები და ჩემი მეგობრები მარსელის „ოლიმპიკიდან“ — პაპენი, კანტონა, დი მეკო და, რა თქმა უნდა, ლორან ბლანი — დამეხმარნენ სამეფროვანთა შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებაში“.
 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის



დიდად პოპულარულ ადამიანთა რიგს არც კი მიაკუთვნებს. „ყოველთვის ვახერხებდი ჩემი პირადი ცხოვრების დაცვას უცხო თვალისაგან და მსოფლიო ჩემპიონის წოდებასაც ამ მხრივ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეუცვლია, – ამბობს ბარტეზი. – საერთოდ, სიმშვიდე მიყვარს და არ ველოდი არც საყოველთაო ყურადღებას, არც უთვალავ მიწვევას ტელევიზიიდან და სარეკლამო სააგენტოებიდან, რომელიც ჩვენი გამარჯვების შემდეგ მომყარეს. ჩვენ, ნაკრების მოთამაშეები, ორი თვე გამომწყვდილები ვიყავით და როდესაც გარეთ გამოვედით, ყველაფერი ერთბაშად დაგვატყდა თავს. ვარჯიშებზე შეკრებილი ხალხი საკუთარ გრძობებს გულწრფელად ამჟღავნებს, თუმცა, ისიც მართალია, რომ როდესაც მათი შეძახილი მესმის – „ფაბიენ, ფაბიენ!“ – საკუთარ თავს ვკითხვები ხოლმე: „კი, მაგრამ სად არის ეს ბიჭი?“ რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონისა და სხვა დიდი საფეხბურთო ტიტულების მოპოვებამ ჩემი ცხოვრება გარკვეულწილად შეცვალა, მაგრამ პიროვნულად სრულიად არ შეცვლილვარ.“

სხვადასხვა სპორტული და ბულვარული გამოცემა ხშირად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ, ბარტეზი შხაპის მიღებას 5 წუთში ასწრებს და გულშემატკივრებისაგან საიდუმლოდ, სათადარიგო გასასვლელიდან თავის მანქანასთან მისვლას ცდილობს, რომელიც წინასწარ აქვს დაყენებული საჭირო მიმართულებით. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატამდეც ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ვარჯიშის შემდეგ მეკარე შეგნებულად გაუბრუნდა ჟურნალისტებს. ბარტეზი მიიჩნევს, რომ მან თავბრუდამხვევი სპორტული წარმატებების შემდეგაც კი, საღი აზროვნება შეინარჩუნა. ამავე დროს, „მანჩესტერის“ კარის დარაჯს არც მოძღვრებთან, მსახიობებთან და საზოგადოებაში პოპუ-

ლარულ სხვა ადამიანებთან ერთად გაუთავებელი „ტუსოკები“ იტაცებს და სარეკლამო კლიპში გადაღებას ან ტელეგადაცემაში მონაწილეობასაც ხშირად გაუბრუნებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს საქმე ძალიან თავშესაქცევი და სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს, მომქანცველიც. „არ მსურს ჩემგან ვარსკვლავი შექმნა. ასეთ „თამაშებს“ ხელოვნურობის ელფერი დაპყრავს. ვკოფლები, როდესაც ვიგებ, რომ ჩემზე ისეთ წერილებს აქვეყნებენ, რომელშიც განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანად ვარ წარმოდგენილი. მე კი არ შევცვლილვარ – ჩემდამი ხალხის დამოკიდებულება შეიცვალა. როდესაც ყოვე-

ლი ვარჯიშის შემდეგ, ასობით გულშემატკივარი გიცდის, იქნება შთაბეჭდილება, თითქოს საკუთარი პროფესიონალური ვალდებულებებისაგან შორს მყოფი საქმით ხარ დაკავებული. იმისთვის, რომ მხოლოდ სპორტულ მიზნებზე გავამახვილო ყურადღება, სიმშვიდე მჭირდება“, – ამბობს ფაბიენი, რომელსაც საფეხბურთო კლუბ „მონაკოში“ თამაშის დროს, ხან პარიზის რომელიმე პრესტიჟული მაღაზიის ან სხვა საზოგადოებრივი თავშესაფრის ობიექტის პრეზენტაციაზე ეპატიჟებოდნენ, ხან კი, მისგან იმის უფლებას ითხოვდნენ, რომ მეკარის გიგანტური პორტრეტი ქალაქის ამა თუ იმ პრესტიჟულ შენობაზე გამოესახათ. ერთხელ, საფრანგეთში ცნობილი სატელევიზიო გასართობი პროგრამის პოპულარული წამყვანისთვის, მიშელ დრიუკერისთვის ფაბიენის მამინდელ მწერტინელს „მონაკოში“, ჟან ტიგანას მკაცრად უთქვამს: მე გუნდში მეკარე მყავს და არა მარღონ ბრანდო, – თუმცა, შოუმენს მსოფლიო ჩემპიონისთვის არც ამის შემდეგ დაუნებებია თავი და ჯიუტად ცდილობდა მის მიწვევას თავის გადაცემაში. „რა თქმა უნდა, სასიამოვნო გრძობა გეუფლება, როდესაც ხალხისთვის სათაყვანებელი პიროვნება ხარ, მაგრამ საკუთარ თავთან ჰარმონიაში ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია. მე მაქვს სამუშაო, მაგრამ იცით, სულის სიღრმეში ყოველთვის ვგრძნობ, რომ კი არ ვმუშაობ, არამედ ვერთობი. სწორედ ეს მადლევს იმის საფუძველს, რომ ნორმალურ ადამიანად დავგრძე. ამასთან, ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ის ვნებათაღელვა, რომელიც ჩემ გარშემო სუფევს“, – ამბობს ბარტეზი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ გარეკანზე დაბეჭდილი მისი ფოტოსურათის წყალობით, ცნობილი ფრანგული ჟურ-

ნალის – PARIS MATCH-ის ნომერი 1,1 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა; ფრანგთა მეკარე ამ მაჩვენებლით მხოლოდ ფრანსუა მიტერანსა და პრინცესა დაიანას ჩამორჩა...

რა თქმა უნდა, ფაბიენის ყველაზე დიდი გულშემატკივრები, მისი ოჯახის წევრები არიან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მამამისი, ალენ ბარტეზი გამოირჩევა. „ბრაზილიელებთან მატჩის დამთავრებისას, საფინალო სასტუმრის მომენტში, სწორედ მათზე ვფიქრობდი. ისინი ტრიბუნაზე შევნიშნე და მივხვდი, რომ ბედნიერები იყვნენ. თავად მატჩის მსვლელობის დროსაც ვცდილობდი, რომ ოჯახის წევრები ხალხის მასაში ამოძეცნო. ამჟამადაც, მამჩემი ყოველი მატჩის შემდეგ მიერეკავს. ზოგჯერ მეუბნება ხოლმე: „დღეს არ ვარგოდი“... თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მისგან მხოლოდ კომპლიმენტები მესმოდა“, – ამბობს ფაბიენი, რომელიც არა მარტო საფეხბურთო მოედანზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გამოირჩევა სიმშვიდით. თუმცა, ფაბიენი ხშირად, არაორდინარული ქცევითაც ამხარულებს ხოლმე ტრიბუნებს. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატზე დანიის ნაკრებთან შეხვედრისას, ფრანგთა მეკარემ თამაშის შეჩერებისას დრო იხელთა და თანაგუნდელებზე მზრუნველობა იმით გამოიჩინა, რომ მინერალური წყლით გააგრილა ისინი. რამდენიმე წლის წინ კი, საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს სადარაჯოსგან მოუწყვეტლივ, ფორმა გამოიცვალა. ცხადია, ფოტორეპორტიორებს რამდენიმე წამი სავსებით ეყოთ იმისთვის, რათა ფირზე აღებეჭდათ ქვედა საცვლის ამარა მდგარი „უკომპლექსო მეკარე“.

სიცოცხლით საესე ბარტეზს არც ზემოთი ეჭვიანობა ტანჯავს ხოლმე. მისი ძველი ნაცნობები ჟურნალისტებს უყვებოდნენ, რომ მომავალ ჩემპიონს სიყმაწვილეში თავისი სიმაღლე არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ამის გამო იგი სასოწარკვეთას როდი მისცემია: თუ გოგონას კოცნა უნდოდა და ვერ სწვებოდა, ამ დროს უბრალოდ, სკამზე დგებოდა ხოლმე. როდესაც გამელოტება დაეწყო, ეს



ლინდასთან ერთად

მლაფრის თითას პრეზიდენტის პისდის ციღეში სრეშენ მტალს



ბოლო დროს, ზეფ ბლატერი დიდ ზეწოლას განიცდის ფიფას წვერი სხვადსხვა ქვეყნის საფეხბურთო ორგანიზაცი-ათა ხელმძღვანელებისაგან. მას ბრალს სდებენ იმაში, რომ ფიფას ჩინოფნიკებს ქრთამი მისცა, რათა საპრეზიდენტო არჩეფნებში მათგან მხარდაჭერა მიელო. გარდა ამისა, გაჩნდა ცნობები, რომ ბლატერი არჩეული იქნა ფიფას ექსპრეზიდენტის, ჟოაო აველანუის დახმარებით, რომელმაც მას აფრიკის ქვეყნებდან ექვსი ხმა მიაღებინა. ამ სკანდალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, სომალის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი, ფარა ადოა, რომელმაც გაზეთ Daily Mail-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ექვსი აფრიკული ქვეყნის წარმომადგენელზე განხორციელდა ზეწოლა, რის შედეგადაც მათ ბლატერის უმთავრეს კონკურენტს, უეფას ამჟამინდელ პრეზიდენტს, ლენარტ ოუჰანსონს ხმა აღარ მისცეს. 1998 წელს, აველანუისა და ბლატერის თხოვნით, მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი, რომელიც რუანდაში გაიმართა. სწორედ ამ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება ბლატერის მხარდასაჭერად. აღომ ასევე დასძინა, რომ ამის საფასურად, აფრიკული ფეხბურთის მთავარმა ლიდერებმა საფრანგეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მიიღეს. ესენი არიან: აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი, ომარ აბუ ხარაზი, ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი ობინგო და რუანდის საფეხბურთო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. ამ „მოგზაურობისთვის“ ფიფამ დაახლოებით 200.000 დოლარი დახარჯა. აღომ განაცხადა, რომ ბლატერმა მას 100.000 დოლარი შესთავაზა იმისთვის, რომ არჩეფნებში მისი ხმა მიელო. ცხადია, თავად ბლატერი ყოველგვარ ბრალდებას უარყოფს.

პრობლემაც გაბედულად გადაჭრა — თავი გადაიპარსა და იერი შეიცვალა, თუ-მცა, თავის „ვარცხნილობას“ სულ სხვანაირად ხსნის: „ბავშვობიდან არ მიყვარდა თავის დაბანა — საპონი თვალებს მილიზიანებს...“ ასეა თუ ისე, ამჟამად ფაბიენ ბარტეზის ბევრი გულშემატკივარი თავგადააპარსული დადის, რაშიც თავად „მაღლაყინწათა“ მეკარე ლავლანტში ჩასვლისას რწმუნდება ხოლმე. ფეხბურთის გარდა, ფაბიენ ბარტეზის სპორტის საყვარელი სახეობა მოტორბო-ლაა. მისი სათაყვანებელი მოძღერლები კი, ფილ კოლინზი და შარლ აზნაჟური არიან. ფაბიენს ძალიან მოსწონს აგრეთვე მულტ-ფილმის — „მეფე ლომის“ საუნდტრეკი. „მანჩესტერ ოუნაიტდის“ მეკარეს, ერთი ძალზედ უჩვეულო და სარისკო გატაცე-ბაც აქვს: მას ზვიგენზე ნადირობა უყვარს. „ძალიან მიყვარს ზვიგენზე ნადირობა, — აღნიშნავს იგი, — მაქვს ორი თეთრი ზვი-გენის უზარმაზარი ყბა. ისინი მონაკოში, ჩემს სახლში ინახება. ამის გარდა, დიდ სიამოვნებას მანიჭებს ცურვა დელფინებ-თან ერთად“.

ბოლო დროს, „მანჩესტერ ოუნაიტდის“ გულშემატკივრები და ფეხბურთის სპე-ციალისტები ფაბიენ ბარტეზს მკაცრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ არა-სტაბილური თამაშისა და იმ გამოუსწორე-ბელი შეცდომების გამო, რომელიც მას კარიდან გამოსვლისას მოსდის ხოლმე, რითაც ზშირად, გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს გუნდს. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში მანჩესტერელთა კარის დარაჯმა, ფეხბურთის გულშემატკივრებსა და ჟურ-ნალისტებს მძიმე შეცდომებით უფრო დაამახსოვრა თავი, ვიდრე საიმედო თამა-შით. საკმარისია, გავისწნოთ თუნდაც „მანჩ-ესტერის“ მატჩები „ბლექბერნთან“, „დე-პორტივოსთან“, „ლივერპულთან“ და „არ-სენლთან“. „ერთი რამ ეჭვგარეშეა — ბარ-ტეზი კლოუნია“, — აღნიშნავს „მანჩესტერ-ის“ ერთ-ერთი ქომაგი, კლუბის ინტერნეტ-ულ საიტზე მოთავსებულ ბარათში: „ბარ-ტეზი სუსტი მეკარეა — ეს ყველასათვის ნათელია. მე კი, ვფიქრობ, რომ ის ცოტა გონებაჩლუნგიცაა, სწორედ ამის გამო, აღ-ვილად იტანს წარუმატებლობებს“, — ამ-ბობს მეორე გულშემატკივარი... თავად ფაბიენი კი, არ მალავს, რომ ძალზედ გან-იცდის, როდესაც მისი შეცდომის გამო, წამებთან მდგომარეობაში აყენებს გუნდსა-ც და მწვრთნელსა-ც და ყოველი მარცხის შემდეგ ცდილობს კონცენტრაციას, რათა თავისი შეცდომები კარგი თამაშით გააბა-თილოს. „ყოველ წამს მახსოვს, რომ შეი-ძლება უაზრო გოლი გაგუშვა, — ამბობს ფაბიენი, — ამიტომაც გამუდმებით ვეუბნები ხოლმე საკუთარ თავს: „ფაბიენ, გთხოვ, სისულელეს ნუ ჩაიდენ!“

ლუის თეზნანდესმა საკუთაბ თავს დისკვალიფიკაცია მისცა



„პარი სენ-ჟერმენის“ მწვრთნელმა, ლუის ფერნანდესმა გადაწყვიტა, რომ მატჩის დროს, სათადარიგოთა სკამიდან აღარ უხელმძღვანელოს თავის გუნდს. მან კარიერის დასასრულამდე საკუთარი თავის დისკვალი-ფიკაცია განიზრახა. გადაწყვეტილების შესახებ მწვრთნელმა განცხა-ლება მას შემდეგ გააკეთა, რაც საფრანგეთის ლიგის თასზე „ბორდოს“ წინააღმდეგ ჩატარებული ნახევარფინალური მატჩის დროს, მოეწინააღმდეგე ჩატარებული ნახევარფინალური მატჩის დროს, მოეწინააღმდეგე მიიღო წითელი ბარათი, რაც მისი ხასიათის უკიდურეს სიფიცხეზე მეტყველებს. უკვე დანიშნულია საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის დისციპლინარული კომიტეტის სხდომა, რომელიც ფერნანდესის დისკვალიფიკაციის ვადას დაადგენს. „გადაწყ-ვეტი, რომ სათადარიგოთა სკამზე აღარ ვიჯდე ოფიციალური მატჩების მსვლელობისას. ვიდრე „პარი სენ-ჟერმენის“ მწვრთნელი ვარ, სწორედ ასე მოვიქცევი და რა დადგენილება-ც არ უნდა მიიღოს ლიგამ, ატელაციას არ შევიტან“, — განაცხადა ფერნანდესმა.

ათლეტმა ძალუმმა მეუბი უნდა ჭამდნ!

პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სერიოზუ-ლი ათლეტური ვარჯიშის დროს ქალებში მენსტრუალური ციკლის დარღვევას უჭ-მელობა იწვევს. მკვლევარებმა ცდები ისეთ მაიმუნებზე ჩაატარეს, რომელთა მენსტრუ-ალური ციკლიც ადამიანისას შეესაბამება. აღმოჩნდა, რომ გაძლიერებული კვების დროს, მაიმუნებში აღარ აღინიშნებოდა ამინორეა (ციკლის არქონა). „მენსტრუაციის შეწყვეტა სპორტმენებსა და იმ ადამიანებშია აღმოჩენილი, რომლებიც უბრალოდ, ცოტას ჭამენ, — ამბობს უნივერსიტეტის პროფესორი ფიზიოლოგიის განხრით, ნენსი უილიამსი, — მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმი ჯერ არ არის განსაზღვრული, უკვე ცხადია: კვებასა და მენსტრუალურ ციკლს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მკვლევარები აიძულებდნენ მაიმუნებს, დღეში 6 მილი (10-მდე კმ) გაერბინათ. ისინი მათ მენსტრუალურ ციკლს ჯერ მშვიდ რეჟიმში ყოფნის დროს აკვირდებოდნენ, შემდეგ კი, დატვირთვის გაზრდის პროცესში, რის შემდეგაც მაიმუნებს ციკლის შეფერ-ხება აღინიშნებოდათ. როდესაც მეცნიერები მაიმუნებს საკვებს უფრო დიდი რაოდენობით აჭმევდნენ, მენსტრუალური ციკლის აღდგენაც შეინიშნებოდა.



სამღვდელოება და კრების მონაწილენი, რომლებმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადეს. 1917 წლის 12 მარტი

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დრამატული ეპიზოდები

ქახა მაისურაძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №10

1916 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს „ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ ბრძოლამ თვითმწყემსობისათვის ახალი ფორმები შეიძინა. 1916 წლის 15 დეკემბერს ქართლ-კახეთის საეპარქიო კრებამ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს (1892-1917) ასეთი თხოვნა გაუგზავნა: „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას, თქვენი უმოწყალები ბრძანებით, დაუბრუნდეს ავტოკეფალია“. მაგრამ ამოდ. ნიკოლოზ მეორე აღნიშნული საკითხის განხილვას არც აპირებდა. ამასობაში კი, რუსეთში რევოლუციურმა მოვლენებმა აპოგეას მიაღწია. ქართველმა სამღვდელოებამ და კერძოდ, „ავტოკეფალისტთა საზოგადოებამ“, კარგად გამოიყენა ცარიზმის დამხობა და 1917 წლის 12 მარტს, მღვდელმთავრებმა სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ამიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თავის ავ-

ტოკეფალურ ცხოვრებას, რომლის სვებედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრების დადგენილებისა, ასე წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითმპყრობელობა“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიური მართვა-გამგეობისთვის შეიქმნა დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ლეონიდეს თავმჯდომარეობით. ლეონიდემ დეპეშით მიულოცა სინოდის-პროკურორს (დროებითი მთავრობის მიერ შემოღებული თანამდებობა.) ცარიზმის დამხობა და იმედი გამოთქვა, რომ „ახალი მთავრობა თავისუფალი რუსეთისა, გაანთავისუფლებს ივერიის ეკლესიას ასე წლის უკანონო ტყვეობისაგან და მისცემს მას შესაძლებლობას, ხელახლა ავტოკეფალური ცხოვრებით იცხოვროს, რუსეთის ეკლესიასთან ძმურ კავშირში“.

19 მარტს, ხალხით სავსე სიონის ტაძარში, ქართულად წირა კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდემ. მანვე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსო! ყურათ ვილოთ განთავისუფლებული ეკლესიის დედობრივი ძახილი. ფიცე და ალთქმა დავლოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შეეწვირებით

საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე ხანში თავისუფალ ეკლესიას გვერდში ამოუყენებთ თავისუფალ საქართველოს“. გადასახლებაში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი ვიტებსკიდან იწერებოდა: „დიდხანს ტანჯვის ცრემლებს ვღვრიდით, ახლა სიხარულის ცრემლებს ვაფრქვევთ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას“.

რუსეთის დროებითი მთავრობა იბულებული გახდა, ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და შეაფასა იგი, როგორც „ქართული ეკლესიის თვითგამორკვევის აქტი“, მაგრამ სინოდის რჩევით, გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის კანონიკური უფლებები ვრცელდებოდა მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსთა და სხვა ეროვნებათა ეკლესიები კი, სინოდის გამგებლობაში დარჩებიანო. ამ ანტიქართულ მანევრს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ პროტესტით უპასუხა და მოითხოვა, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია ტერიტორიულ ერთეულად ყოფილიყო აღიარებული, მაგრამ ცენტრმა ეს წინადადება არ მიიღო. 1917 წლის

25 ივლისს დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა რუსეთის სახელმწიფოში ქართული ეკლესიის არსებობა – საქმიანობის ძირითადი წესები, რომლის მიხედვითაც, ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის უფლება-კომპეტენცია მხოლოდ ქართველებზე ვრცელდებოდა.

რუსი მართლმადიდებლებისათვის შეიქმნა თბილისის სამიტროპოლიტო ოლქი. მის ეპისკოპოსად ნაეგზარქოსალი პლატონი დანიშნეს. იგი ძველ რეზიდენციაში რჩებოდა და არაფრის დათმობას არ აპირებდა, ამიტომ ქართველმა მღვდელმთავრებმა, საერო პირთა დახმარებით, 1917 წლის 15 აგვისტოს ძალით დაიკავეს ეგზარქოსის ყოფილი შენობა და ყველა დაწესებულება. აი, რას იგონებდა ამასთან დაკავშირებით ამ ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, პოლკოვნიკი დავით (დათა) ვაჩნაძე:

„ზაფხულის ცხელ დღეს, ვიჯექი ჩემს სამუშაო ოთახში და ვწერდი. უეცრად კარი გაიღო და ჩემთან შემოვიდა სოფ. დიდი ლილოს მღვდელი ა. კახაბერი და აღელვებული ხმით შემომძახა: დათო, ეს სადაური სამართალია?! მცხეთაში დიდის ამბით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოვაცხადეთ, მისი მოთავე, ყოვლად სამღვდლო ლეონიდე კი, თბილისში დღემდე სულს ძლივს ითქვამს პაწაწინა ოთახში სიონის ტაძრის გვერდით? ამავე დროს კი, რუსი ეგზარქოსი პლატონი იქვე ახლოს გამოჰიმულა საქართველოს ეკლესიის კუთვნილ დიდ სასახლეში!.. პლატონი ბაქოშია წასული. მისი ბინა ცარიელია, ამიტომ გამოვეშურე თქვენთან. იქნებ ითავოთ ეს საჭირო საქმე და სანამ პლატონი აქ არ არის, გადაიყვანოთ ჩვენი მღვდელმთავარი ჩვენს საკუთარ კარგ ბინაზე, პლატონი რომ ამას შეიტყობს, იქნებ აღარც კი დაბრუნდეს თბილისში – მითხრა კახაბერმა.

თავში უკვე მთელი გეგმა დამესახა. მეორე დღეს უკვე სიონთან გავჩნდი. საჭირო იყო საჩქაროდ პრაქტიკული ზომების მიღება. ამ მიზნით მე დაკუთარე ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფებს – ეროვნულ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და მათ-



გან 60-მდე ყმაწვილი შევაგროვე. დავითანხმე აგრეთვე ცხენოსანი პოლკის ოფიცერი, პორუჩიკი კოლა ამილახვარი, რომელიც დამპირდა 20 ქართველი ჯარისკაცის მოყვანას. დაგუნიშნე ყველას დრო და ადგილი თავის მოყრისა. ახალგაზრდებს – სიონის გალავანში, ნ. ამილახვარს ჯარისკაცებითურთ ეგზარქოსის სახლის წინ გაშენებულ პატარა ბაღში. რაზმი შევაიარაღე რევოლვერებით, ამ ზომის მიღება უთუოდ საჭირო იყო, რადგან თბილისის რუსობის მოთავე ნაძალადევის ხალხი, რომელშიც ფრონტიდან მოსული ბევრი რუსი ჯარისკაცი ერია, დღედაღამ დასტრიალებდა თავის ეგზარქოს პლატონს და მუდამ მზად იყო მისი დაცვისათვის.

მეორე საღამოს ყველა თავმოყრილი დამხვდა დანიშნულ ადგილებზე. მივეცი „სამოქმედო ამოცანები“. მხედრებს ქუჩის მხრიდან სასახლისათვის ალყა უნდა შემოერტყათ, 40 ახალგაზრდას კი – მტკვრის ნაპირიდან. დანარჩენი ჩემს განკარგულებაში დავიტოვე. მივეცი ნიშანი და ყველანი სწრაფად დავიძარით „პოზიციებისაკენ“. ათიოდე წუთში დაკამთავრეთ სასახლის „გარემოცვის“ ოპერაცია. ჩემი ყმაწვილების თანხლებით შევედი, სადაც ცხოვრობდა რუსი ეგზარქოსი.

ეხლა შევუდექით ბინის მომზადებას ყოვლადსამღვდლო ლეონიდეს მიღებისათვის. ჩამოვხსენით კედლებიდან რუსი ეგზარქოსების პორტრეტები და შევკარით რამდენიმე კონად საქართველოს მუზეუმში გადასაგზავნათ. გასავალში დამახვედრეს ბარგაკრული ორი რუსი ბერი და ორი მონაზონი, რომელიც ქვედა სართულზე მჯდარიყვნენ და არხეინად შეექცეოდნენ ნაკლებად სამარხო საჭმელებს და ღვინოს. პლატონის მოსამსახურეც აპირებდა წასვლას, მაგრამ ვუბრძანე: „არსად წახვიდეთ, დარჩით აქ პატრონის ოთახის ხელუხლებლობის პასუხისმგებლად!“

შემდეგ გავემართე სიონისაკენ, ყოვლადსამღვდლო

დავით (დათა) ვაჩნაძე



ლეონიდე (მარცხნივ) და კირიონი

ლეონიდეს გადმოსაყვანად. სიონის ტაძარს რომ მივუახლოვდი, შემომგება მისი უწმინდესობა. ვემთხვიე ხელზე. ისიც თავს მომხვია.

– ჩვენო ძვირფასო უფალო ლეონიდე, მორწმუნე ქართველების სახელით მოგესალმებით. გვაკურთხეთ და მობრძანდით თქვენს კუთვნილ ძველ ბინაზე! – აღელვებით მივმართე მას.

– გმაღლობო, დიდად გმაღლობო! კურთხეულ იყვენ – მომესმა ჩურჩული ლეონიდესი და მისი მოცახცახე ხელი ჩემს მკლავს ჩაეჭდო. ასე მკლავგაყრილი, სიონის მოსამსახურე ხალხის თანხლებით, საქართველოს ეკლესიის მთავარი ნელ-ნელა მივიყვანეთ მის ძველ სასახლემდე, ალყაფის კარების წინ, მხედრული საღმის მიცემით, ლეონიდეს დახვდნენ ორმწკრივით დაწყობილი ქართველი მხედრები პორუჩიკნიკ. ამილახვარის მეთაურობით.

– მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა – პირჯვრის წერით წამოიძახა ლეონიდემ და სასახლეში შევიდა. დიდ სადარბაზო ოთახში მან ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება. ლეონიდემ პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა – აღსრულდა!.. უფალო, შეგვიწყალე და დაგვიფარე!..“

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ქართველი სამღვდლოების პირველი საეკლესიო კრება გაიხსნა 1917 წლის 9 სექტემბერს სიონის ტაძარში. ცხარე



რეპრეზენტაციული დაჯილდოების პრობლემა

კამათი წარმოიშვა დეკანოზ (შემდეგ აკადემიკოსი) კორნელი კეკელიძის გამოსვლის გამო, რომელიც აღნიშნავდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქისა და ეპისკოპოსისათვის ბერობა აუცილებელი არ იყო. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ არ გაიზიარა კ. კეკელიძის ეს მოსაზრება. სამაგიეროდ, კრებამ საჭიროდ მიიჩნია, რომ სასულიერო პირთათვის შეკრეჭისა და ზოგიერთი სხვა უფლება მიეცათ.

17 სექტემბერს კრებამ თავისი მუშაობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებით დაავიწყებინა. მიტროპოლიტ ლეონიდესა და ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურები გამოიკვეთა. თავდაპირველად, კირიონი არჩევნებში მონაწილეობას არც აპირებდა, — ვიცი, ლეონიდი და მისი მომხრეები წყაღს არ დამიწმენდნენო, მაგრამ საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, მან არჩევნებში მონაწილეობა მაინც მიიღო. ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა მხარს უჭერდა მის კანდიდატურას. გარდა ამისა, სპეციალური დეპუტაცია სოფრომ მგალობლიშვილისა და პარმენ გოთუას თავკაცობით, ეწვია მიტროპოლიტ ლეონიდეს და ურჩია, მოეხსნა თავისი კანდიდატურა ეპისკოპოს კირიონის სასარგებლოდ, მაგრამ ლეონიდემ უარი განაცხადა: „მარწმუნებენ, მე გავიმარჯვებ“, — უპასუხა მან. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში 430 დელეგატი მონაწილეობდა. 11 ხმით მეტი მიიღო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, სახელწოდებით კირიონ II.

საეკლესიო კრებიდან სულ მალე — 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ მეორის აღსაყდრების ცერემონია. წირვის დამთარვების შემდეგ, როცა კათოლიკოსი კირიონი თანმხლებ პირებთან ერთად ტაძრიდან უნდა გამოსულიყო, მიართვეს წერილი, რომლის ავტორი იტყობინებოდა: როგორც კი პატრიარქი ეზოში გამოვიდოდა, მას დაქირავებული მკვლელები ესროდა. მი-

უხედავად ასეთი ინფორმაციისა, კირიონი ნელი ნაბიჯით გასასვლელისაკენ გაეშურა. ამ დროს მასთან გაჩნდა ათამდე შეიარაღებული პირი ყარამან კიკნაველიძის მეთაურობით. ლოცვა-კურთხევა მიიღო პატრიარქისაგან და შესძახა: მომცით ხელი, თქვენო უწმინდესობავ! აბა, ვინმემ გაბედოს თქვენზე იარაღის აღმართვალ!.. კირიონ II, დაცვის თანხლებით, ტაძრიდან გამოვიდა...

მეორე ინციდენტი მოხდა 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს, როცა კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს საკათალიკოსო საქმეთა მმართველად არ დაამტკიცა ეგზარქოსების ჯამში დავით დავითაშვილი. ეს უკანასკნელი რევოლუციური ხელში, ორჯერ შეუვარდა მოსაკლავად კირიონ მეორეს სამუშაო კაბინეტში და რომ არა მორჩილის გერმოგენის ვაჟკაცობა, უბედურება გარდაუვალი იქნებოდა.

ყველაფრით ჩანდა, რომ საქართველოს პირველი კათოლიკოსის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მზადდებოდა. ეს უმოკლეს პერიოდში მომხდარმა თავზარდამცემმა ტრაგედიამაც დაადასტურა: 1918 წლის 27 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი, კირიონ II მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში ტყვიით განგმირული იპოვეს. ტანჯული ქვეყნის ტანჯული მამამთავრის მკვლელობის საიდუმლო დღემდე გაუხსნელი დარჩა...



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი

სილამაზე დღემოკლეა, როგორც ნამი დილისა.

გუსტავ შვაბი

ვინც ვერას ხედავს — უსინათლოა, ყავარჯენს კოჭლი ატარებს კვალად; უკან ხოხავენ კიბორჩხალები, მაგრამ დრო-ჟამი წინ მიდის მარად.

ადელბერტ ფონ შამისონი

რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.

შოთა რუსთაველი

შეყოვნება მშვიდობიან ცხოვრებაში ხშირად სასარგებლოა, მაგრამ დამღუპველიცაა განსაცდელის ჟამს.

ალფონს მარი ლუი დე ლამარტინი

სიკვდილის მიახლოება სულით ძლიერთ ნაკლებად აშინებს, რადგან მუდამ რჩებიან იმად, რაც არიან.

ფრენსის ბეკონი

შრომა ადამიანში შემოქმედებით ძალებს აღვიძებს.

ფეოდორ დოსტოევსკი

გონება, რომელსაც არავითარი გარკვეული მიზანი არ გააჩნია, იკარგება. ყველგან ყოფნა არსად ყოფნას ნიშნავს.

მიშელ მონტენი

ხასიათში, მანერებში, სტილში — ყველაფერში უმშვენიერესია უბრალოება.

პენრი უოდსუორთ ლონგფელო

„ჩარლის ანგელოზები“ 2000 წლის საუკეთესო ამერიკულ ჟინოფილმად აღიარეს. საოცრად ლამაზი გოგონების როლები დრიუ ბერიმორმა, ჯამერონ დიასმა და ლიუსი ლიუმ შეასრულეს. ჯამერონმა და ლიუსიმ აღიარეს, რომ გადაღებებისთვის მზადება მათ ცხოვრებაში უმძიმეს გამოცდად იქცა. მათ ყოველდღიურად, 8-8 საათი საბრძოლო ხელოვნებას ჩინელი ოსტატი ასწავლიდა, რომლის დევიზიც ასეთი იყო: „თქვენი ტყვივით უნდა შეიყვაროთ!“ ყოველი წვრთნა გოგონებისთვის ცრემლებითა და უამრავი დაბეჭილობით მთავრებოდა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს – დრიუ ბერიმორს ცხოვრებაში იმდენი ტყვივით მიუღია, რომ ჯამერონისა და ლიუსის ტანჯვა მასში მხოლოდ ღიმილს იწვევდა... დრიუ სულ 26 წლისაა, მაგრამ ასაკის მიუხედავად, მან უკვე მოასწრო აღზევება და ისეთი დაცემაც, რომ მეტსახელი – „ზნედაცემული ანგელოზი“, მისთვის მეორე სახელად იქცა.



„ზნედაცემული ანგელოზის“ ღარბიანად ქაღახტონად გარდასახვის საოცარი ამბავი

გოგონას მომავალი წინასწარვე იყო განსაზღვრული. ბერიმორის გვართ ჰოლივუდში დაბადებულ ადამიანს იმთავითვე პასუხისმგებლობის ტვირთი აწევს: ბაბუამისი ჯონი, ამერიკაში ძალიან პოპულარული მსახიობი და გამოჩენილი მწერალი იყო, ჯონის და-ძმა კი, „ოსკარის“ მფლობელები იყვნენ. დრიუს მამაც მსახიობი გახლდათ, ოღონდ სახელი უფრო მეტად იმით გაითქვა, რომ სვამდა, ნარკოტიკებს ეტანებოდა, გოგონას და ცოლს სცემდა, ქუჩაში გამვლელებს თავს ესხმოდა და მთვრალი დააქროლებდა მანქანას. დრიუს დედას იმდენად აღეშვებდა შვილის მომავალი, რომ ფეხზე დადგომამდე დააწყებინა მუშაობა: დრიუ ბერიმორის კარიერა 9 თვის ასაკში დაიწყო – ის ძაღლების საკვების რეკლამაში გადაიღეს, 2 წლისა პირველად გამოჩნდა დიდ ეკრანზე ფილმში „მოულოდნელი სიყვარული“, 4 წლისამ, კიდევ ერთ ფილმში ითამაშა, ხოლო როცა 7 წელი შეუსრულდა, მისმა ნათლიამ – სტივენ სპილბერგმა, ისეთი ცხოვრებისეული საგზურით დააჯილდოვა, რომელზეც მსახიობთა უმეტესობა პენსიაში გასვლამდე ოცნებობს: მისი „უცხოპლანეტელი“ ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი ფილმი აღმოჩნდა და მასში მონაწილე პატარა ანგელოზი დრიუ, უძალდ საოცრად პოპულარული გახდა. მაგრამ



ამ დროს, პატარა დრიუს უკვე რამდენიმე როლი ჰქონდა შესრულებული

ამ საგზურში, სახელისა და დიდების გარდა, წარმატების აღსანიშნავ წვეულებებზე, პრეზენტაციებსა და უამრავ მეგობრულ სუფრასზე სტუმრობაც შედიოდა... „9 წლის

ასაკში პირველად დავლიე სპირტიანი სასმელი, 10 წლისამ მარიხუანა გავსინჯე, ხოლო 12 წლისამ – კოკაინი“, – წერს ბერიმორი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „გზააბნეული პატარა გოგონა“, რომელიც 1989 წელს გამოიცა. პატარა დრიუ საკმაოდ სწრაფად და ასე ვთქვათ, მრუდე გეზით ვითარდებოდა. „თავს ყოველთვის რეალურზე უფრო ასაკოვნად ვგრძნობდი, – იხსენებს იგი, – დარწმუნებული ვიყავი, რომ დაბადებისთანავე, უკვე 10 წლისა ვიყავი. შეიძლება იმიტომაც, რომ ოჯახის რჩენა ძირითადად მე მიწევდა“. ... არავის მოსვლია აზრად, რომ დრიუ წესიერი გოგონას როლზე მიეწვია. „უცხოპლანეტელის“ გადაღებიდან ორი წლის შემდეგ, მან სტივენ კინგის თრილერში – „შემოხედვით აალებ“ მიიღო მონაწილეობა. ყველაფრის მიუხედავად, დრიუ კარგ მსახიობად ითვლებოდა და მას კვლავ იწვევდნენ ფილმებში, მაგრამ როლების არჩევანი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა: რეჟისორებს აშინებდათ ისტერიკულ და გამოუცნობ გოგონასთან მუშაობა. 14 წლის ასაკისთვის დრიუ ლოთად, ნარკომანად და სექსუალურად თავაშვებულ ქალად ჩამოყალიბდა. მის სამსახიობო კარიერას კრახი ელოდა. ვარსკვლავური ოჯახის ცხოვრების ამ-

სახველ, დრიუს დედის მეტეარებში, ბევრ პიკანტურ ამბავს შორის ერთ ასეთსაც წააწყდებით: სანამ ოჯახის თავკაცი სასმლისა და ნარკოტიკების საშოვნელად დაძრწოდა, ჰოლივუდის ცნობილი ფლეიბოი უორენ ბიტი ცდილობდა, დედა-შვილი სასიყვარულო სამკუთხედში მონაწილეობაზე დაეყოლიებინა...

ასეთმა ცხოვრებამ დრიუ დეპრესიაში ჩააგდო და ერთხელ გოგონამ თვითმკვლელობაც კი სცადა. ბოლოს და ბოლოს, დედამისმა შენიშნა, რომ მისი გოგონას თავს რაღაც ხდებოდა და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, ნარკოლოგიურ კლინიკაში მოახერხა მისი მოთავსება. ერთხელ დრიუმ იქიდან გაქცევაც სცადა, მაგრამ სულ მალე, დედის მიერ დაქირავებულმა კერძო დეტექტივებმა ის იპოვეს და კლინიკაში დააბრუნეს. გარკვეული დროის შემდეგ, ბერიმორი გამოჯანმრთელებული დაუბრუნდა ცხოვრებას. მას ნარკოტიკები და სასმელი აღარ იზიდავდა, თუმცა, შეხედულებები სამყაროზე არ შესცვლია. ისევ თავბრუდამხვევი ტემპით ცხოვრობდა და უამრავი რამ მოასწრო 17 წლამდე: ორი თვე, ბარის მფლობელის ცოლი იყო; ფილმში – „შხამიანი სურო“, შემლილი მოზარდი გოგონას როლი შეასრულა; დევიდ ლეტერმანის პოპულარული ტელეშოუს პირდაპირ ეთერში, მკერდშიშეღებულმა იცეკვა და ჟურნალ „ფლეიბოისთვის“ გადაღებული სურათებითაც „უკვდავყო“ თავისი სხეული... ყველაფერ ამას ნათლია სპილბერგმა ვეღარ გაუძლო და დაბადების დღეზე საბანი გამოუგზავნა, რომელსაც თან ერთსიტყვიანი ბარათი დაურთო:

„დაიფარე!“ ბარათსა და საჩუქარს ჟურნალ „ფლეიბოის“ ის ნომერი ერთვოდა, რომელშიც შიშველი დრიუ სპილბერგის კინოსტუდიის საუკეთესო მხატვრების მიერ იყო „შემოსილი“.

თავისი „არაბავშვური ბავშვობის“ გამო, დრიუმ ბევრჯერ გამოხატა „მაღლიერება“ შობილების მიმართ.

„ახლა დანამდვილებით ვიცი, როგორ არ უნდა აღზარდო შეილები“, – უთქვამს მას. კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ, მას კიდევ შეიდი წელი დასჭირდა რეალობასთან შესაგუებლად. „23 წლისამ შინაგანი სიმშვიდე მოვიპოვე. ადრე ვფიქრობდი, რომ „ნორმალური“, „ძალიან მოსაწყენს“ ნიშნავდა. ახლა მივხვდი, რომ ყველაფერი საპირისპიროდაა: ნორმალურობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო რამ ყოფილა! ადრე მიმაჩნდა, ყველაზე საინტერესო ამქვეყნად სექსი იყო, ახლა კი აღმოვაჩინე, რომ ჭკუა, წესიერება და იუმორის გრძობა, გაცილებით სექსუალური და საოცარი რამ არის. იმიჯის შეცვლა უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული საკითხი გახდა ჩემთვის. მივხვდი, რომ პირადი ცხოვრება, რომელსაც მივსდევდი, დამლუპველი იყო ჩემი კარიერისთვის“.

ადრე შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ბერიმორი მოკრძალებული და მომხიბვლელი გოგონების როლებში მოგვევლინებოდა. მან მართლა შეიცვალა ცხოვრებისეული იმიჯი და ახლა მხოლოდ დადებით როლებს ასრულებს და დრამატულ კოლიზიებს ფილმებშიც კი გაურბის. ამჟამად დრიუს „ვიწრო სპეციალობად“ კომედია ითვლება. 1998-99 წლებში მან რამდენიმე მხიარულ ფილმ-

ში ითამაშა, ხოლო 2000 წელს ფილმმა – „ჩარლის ანგელოზები“, რომელშიც დრიუ პროდიუსერადაც მოგვევლინა, გოგონა ჰოლივუდის წამყვან მსახიობთა რიგში მოახვედრა.


თავისი არცთუ ისე უღრუბლო წარსულიდან დრიუმ მხოლოდ ორი რამ შეინარჩუნა: არასოდეს უყურებს თავისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებს და მუდამ ბუნებრივად იქცევა. „ვიცი, რომ ზოგიერთი მსახიობი ნარკოტიკებისთვის გიჟდება, მაგრამ ამას მონღოლებით მალავს. მე კი არასოდეს მიცდია, „გადაღლილი“ ან „გაცივებული“ ადამიანის როლი მეთამაშა. თუ არ ითვალთმაქცებ, მუდამ თავისუფალი იქნები. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის არ უნდა შეგეშინდეს. ცხოვრებაში არასდროს მქონია საიდუმლო. ჩემ შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. მიყვარს საკუთარი თავის გაქილიკება – ეს ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. ბოლო ორი წელია მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ ვიცინი“.

როგორც იქნა, დრიუმ თავისი პირადი ცხოვრებაც მოიწესრიგა. ფილმ „ჩარლის ანგელოზების“ გადაღებაზე მან კანადელი კომიკოსი ტომ გრინი გაიცნო, რომელმაც ლეგენდარულ მონიკა ლევისისკისთან მჭიდრო მეგობრობით გაითქვა სახელი. ნიშნობის გამოცხადების შემდეგ, წველოს წინ სერიოზული გამოცდა ელოდა: გრინს სათესლე ჯირკვლის კიბო აღმოაჩნდა და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. შეყვარებულებმა ღირსეული თავშეკავებით გადაიტანეს ეს დარტყმა.

„ძალიან მინდა, – ამბობს გრინი, – დარჩენილი ცხოვრება მასთან ერთად გავატარო, იმიტომ რომ ის ბევრს იცინის და ჩემი იდიოტური ოხუნჯობაც კარგად ესმის. ჩვენ თითქოს ერთი და იგივე ადამიანი ვართ, ოღონდ, დრიუ – ჩემი ქალური ვერსიაა“. ბერიმორიც მხარს უბამს შეყვარებულს: „ყველაზე მეტად, ტომი იმიტომ მიყვარს, რომ მასთან შემიდლია ზუსტად ისეთი ვიყო, როგორიც სინამდვილეში ვარ. მას ჩემი გამხიარულების საოცარი უნარი აქვს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია!“ ტომის ერთმა ოინმა თავდაპირველად ყველა გარშემომყოფი დააბნია ბოლოს კი, თავიც მოაბეზრა. შარშან გრინმა ხუთჯერ მაინც გამოაცხადა თავისი და დრიუს ქორწინების სხვადასხვა თარიღი და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რეალური ჯვრისწერის თარიღის გამჟღავნებისას, დრიუს გარდა, აღარავინ იცინოდა. სამაგიეროდ, ყველა სტუმარმა, დანარჩენი ორი „ანგელოზის“ – კამერონ დიასისა და ლიუსი ლიუს ჩათვლით, გულიანად

ორი „ანგელოზი“: ლიუსი ლიუ და დრიუ ბერიმორი, პრინც ჩარლზთან ერთად





იმერა და იმხარულა, შემდეგ კი, წყვილი საქორწინო მოგზაურობაში გააცილა.

არავინ ელოდა, ქორწილს დრიუს დედა – ჯეიდიც თუ დაესწრებოდა. მანამდე, მთელი ათი წელი დედა-შვილს გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა. დრიუს ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ დედიკო ბავშვობიდანვე „ვაჭრობდა“ მისით, შემდეგ კი, მანკიერი ცდუნებებისგან მისი დაცვა ვერ შეძლო.

მათ ურთიერთობაში გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როცა დრიუმ ერთ ფილმში მშობიარეს როლი შეასრულა. სცენამ, როცა მისი გმირი კრიტიკულ წუთებში „დედა, დედა!“-ს გაჰყვიროდა, დრიუზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და დედისადმი დამოკიდებულება შეაცვლივინა. დედა-შვილის დაახლოებაში დრიუს ქმარმაც დიდი როლი შეასრულა: გრინების ოჯახმა დრიუ და დედამისი შობის აღსანიშნავ დღესასწაულზე მიიპატიჟა. „დედას გული აუჩუყდა, – იხსენებს დრიუ. – ჩვენს ოჯახში არასოდეს ხვდებოდნენ დღესასწაულებს წყნარ, ოჯახურ გარემოში“. შერიგების შემდეგ, დრიუ სულ სხვაგვარად უცქერის მის მიმართ დედის მიერ გამოვლენილ „სისასტიკეს“, რომელიც ნარკოლოგიურ კლინიკაში მის მოთავსებაში გამოიხატა: „დედას ვერ გადაეწყვიტა, რა მოეხერხებინა ჩემთვის, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და კლინიკაში გამოიკვტა. მე არ მჯეროდა, რომ ჩემნაირი ჰიპო-ჩიტიის გალიაში გამოწყვედვდა შეიძლება, მაგრამ დედამ ეს მოახერხა. ვინსენებ კლინიკაში გატარებულ წელიწად-ნახევარს და ფიქრობ, რომ ეს საუკეთესო იყო, რაც იმ პერიოდში მჭირდებოდა: არ შემეძლო თავისუფლად გამესერნა სადაც მომესურვებოდა, საჭეს მივვლოდი და მანქანა გამეჭროლებინა ან თუნდაც, ჩემს ნებაზე უბრალოდ ხის ძირში დავმჯდარიყავი... მაგრამ როცა


კლინიკიდან გამოვედი, 16 წლის ვიყავი და დედის გადამჭრელი ნაბიჯის წყალობით, ზუსტად ვიცოდი, რომ მსურდა, სხვაგვარად მეცხოვრა, ვიდრე 14 წლის ასაკში ვცხოვრობდი. დედაჩემი მამჩემისგან – ლოთისა და ნარკომანისგან მიტოვებული ქალი იყო. მესმის, რაოდენ რთული იყო ჩემი აღზრდა, – მით უმეტეს, ჰოლივუდის პირობებში...“

მას შემდეგ, რაც წველმა თავისი ქორწილის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟით იმხარულა, ტომმა სახუმაროდ ასალი თემა იპოვა: ეს დრიუს ორსულობა იყო, რომელიც ხან რეალური იყო, ხანაც ცრუ. ბოლოს და ბოლოს, პოტენციური მამა, ჟურნალისტებმა „კუთხეში მიიშვევდიეს“ და მანაც განაცხადა, რომ როცა მართლა ეყოლებათ შვილი, ... არავის ეტყვიან: „უფრო მეტიც – ყველას ვაგვირდებით და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოვჩნდებით, რათა ბავშვი მშვიდად გაჩნდეს და ცოტა წამოიზარლოს კიდევ...“

ცხოვრებისკენ შემობრუნებული დრიუს დანახვა ბევრს აოცებს და ღიმილს ჰკვრის: ბერიმორი თმას ყვაილებითა და პეპლებით ირთავს, მკაცრ ვეგეტარიანულ დიეტას იცავს – არ მიირთმევს კვერცხს და ზღვის პროდუქტებსაც კი, არ ატარებს ბეწვეულს და უამრავ ფულს რიცხავს 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაზარალებული ცხოველების დახმარების ფონდში. ცხოველების მიმართ ასეთ მზრუნველობას კონკრეტული მიზეზი აქვს: არცთუ ისე ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრების დროს, ტომსა და დრიუს ხანძრის გადატანაც კი მოუხდათ: ცეცხლი მათ სახლში მაშინ გაჩნდა, როცა დრიუსა და ტომს მშვიდად ეძინათ და რომ არა მათი ძაღლის – ფლოსის ენერგიული მოქმედება, მსოფლიო კინემატოგრაფს დიდი დარტყმაც შეიძლება მიეღო... მაღლიერების ნიშნად, დრიუმ თავის ოთხფეხა მეგობარს ბევერლი ჰილზზე სახლი აჩუქა. ამასთანავე, ფლოსი „წლის გმირი ძაღლის“ წოდებაზე (ამერიკაში ასეთი ჯილ-

დოც არსებობს) წარადგინეს. ოჯახის ერთმა მეგობარმა ამის გამო იეჭვიანა კიდევ: „დრიუ და ტომი ამ ძაღლზე გიჟებიან და მისთვის ყველაფერს აკეთებენ – მან ხომ ყვეფით იხსნა ისინი ცეცხლისგან...“ 3 მლნ ლოლარის ღირებულების 320 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი პირწმინდად განადგურდა მხოლოდ იმიტომ, რომ სახლში სახანძრო სიგნალიზაცია არ იყო დაყენებული, მაგრამ დრიუ ამას ფილოსოფიურად მიუღვა: „მე გავი-აზრე, რომ ეს შესანიშნავი შანსი იყო ყველაფრის თავიდან დასაწყებად. დადგა ღრო, გაეთავისუფლებულიყავი იმ ნივთებისგან, რომელიც დამიგროვდა და წარსულის დავიწყების საშუალებას არ მაძლევდა, – სულ მახსენებდა იმას, რომ ვერა და ვერ გავიზარდე... ჩემთვის აუცილებელი იყო, რომ ეს ნივთები გამეჭრალიყო...“.

ერთადერთი, რაც ცეცხლს გადაურჩა, ბერიმორების წინაპართა ფოტოალბომი იყო, სხვა სურათებთან ერთად, მასში მსახიობის საყვარელი ბაბუის ფოტოც არის, რომელსაც თავის მფარველ ანგელოზად მიიჩნევს და ხშირად ესიზმრება. მსახიობს მიაჩნია, რომ ეს მინიშნება იყო იმისა, რომ ბაბუა კმაყოფილია მისით... დრიუ ბერიმორის კარიერა ზენიტშია. მას ჰყავს საყვარელი ქმარი, ერთგული და გულადი ძაღლი და ალბათ, ღვთის წყალობით, მალე შეილიც ეყოლება. ამ ყველაფრის გამო, დრიუ მზადაა, სამაგალითო, დარბაისელი ქალი გახდეს.



დრიუ და მისი უახლოესი დაქალი ლივ გაილერი

დასაწყისი იხ. „გზა“ №9, 10

მოელი ეხო მწვანეში იყო ჩაფლული – ალყაფის კარიდან დაწყებული, სახლის კიბემდე. მაღალი წინვოვანი ბუჩქების დერეფანი სწრაფად გავიარეთ, ხუთსაფეხურიან, განიერ ქვის კიბეზე ავედით. მეზღამ სახლში შესასვლელი კარი შემოიღო და მომმართა:

– მიბრძანდით.

ბინაში შევაბიჯე. მოსაცდელი ოთახი, რომელშიც მოვხვდი, სხვადასხვა ცოცხალი ყვავილით მოერთოთ. კედლებზე ტილოები ეკიდა, რომელზეც ცადაწვდილი მწვერვალი ეხატა. მივხვდი, რომ ეს ერთი და იგივე მთა იყო, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან დანახული. ოთახის ჭერი ცისფრად შეედებათ, იატაკზე კი – მწვანე ნოხი დაეგოთ.

სასტუმრო ოთახის ორფრთიანი კარი გაიღო და იქიდან სახეგაბადრული, ზომაზე მეტად ჩასუქებული ქალი გამოვიდა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ლიზიკო, – დიდი ხნის ნაცნობივით მომესალმა, მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა, – ვანდა, – გამეცნო ქალი.

– ძალიან სასიამოვნოა, – გაუღიმიე.

– მე ოჯახის ეკონომი და ბატონი სენნიას მარჯვენა ხელი ვახლავართ, – გადმომილაპარაკა ვანდამ და სასტუმრო ოთახში შემიპატიჟა, – დაბრძანდით, – სავარძელზე მიმითითა, – მხატვარი ახლავე ჩამოვა და ოთახიდან გავიდა.

საფეხურების ჭრიალის ხმამ კიბისკენ მიმხედა. პირველ საფეხურზე მოხუცი მხატვარი იდგა. მისმა ჩაცმულობამ ისევ განმაცვიფრა. მარცხენა ფეხზე ნარინჯისფერი ჩუსტი ეცვა, მარჯვენაზე კი – იისფერი. გრძელი აბრეშუმის ხალათი, რომლითაც იყო შემოსილი, ასევე სხვადასხვა ფერისგან შედგებოდა: ნახევარი – ცისფერი, ნახევარი – ლურჯი, მარჯვენა სახელო – ყვითელი, მარცხენა კი – მწვანე ჰქონდა. ხალათის შიგნით წითელი მაისური ეცვა. მისი ჩაცმულობით განცვიფრებულმა პირი დავაღე, წამოვდექი და მხატვრისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ერთი-ორი წამით, რომელიც ხანდახან ისე გაიწვლება, თითქოს აღარასოდეს დამთავრდება, ერთმანეთს სახეში მივაშტერდით. სენნიას გრძელი, ჭადარა თმა უკან გადაეკარცნა და კეფაზე რეზინით შეეკრა. თოვლივით თეთრი, მოკლე შეკრეჭილი წვერი ასაკს აკლებდა, თვალებს ქვემოთ, ნახევარმთვარისებრი, ურიცხვი ნაოჭი ცხოვრებისეულ დიდ განვლილ გზაზე მეტყველებდა. მშვიდი მზერით შემომცქეროდა, შემდეგ გამიღიმა და კმაყოფილმა ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა:

– გამარჯობა, ლიზიკო, – ხელი ჩამომართვა და სახის ყოველი ნაკვთი გაფაც-

იკებთ ამითვალეირ-ჩამითვალეირა.

– გამარჯობათ, – დაბნეულმა ძლივს ამოვლერდე.

მოხუცმა, ისე, რომ ჩემთვის ხელი არც გაუშვია, მაგიდისკენ წამიყვანა, სკამი გამომიწვია:

– დაჯექი, – მომართა და თვითონაც გვერდით სკამზე ჩამოვჯდა, – ლიზიკო, ჩემი სახელი, უფრო სწორად, ჩემი ფსევდონიმი იცი.

– დიახ.

– თორმეტი წლის მანძილზე, ჩემს განცხადებას ორი ათას შვიდასზე მეტი ქალი გამოეხმაურა, – მშვიდი, აუღელვებელი ხმით მესაუბრებოდა, – რამდენიმე მათგანი გასაუბრებაც მოვიწვიე, მაგრამ საბოლოოდ, ყველას უარი ვუთხარი. უკანასკნელი, ვინც დამიკავშირდა, შენ იყავი და ახლა აქ ხარ, ჩემ წინ ზიხარ, – სენნიას კმაყოფილებას მისი გაბრწყინებული თვალები აშკარად გამოხატავდა. – მე დიდი ხანია გიცნობ. შენ ვერ დაბადებული, პო, დაბადებულაც არ იყავი, მაგრამ მე შენ გიცნობდი, ვიცოდი, ლიზიკო, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ ერთმანეთს შეგხვდებოდით, გავიცნობდით და მე შენი პორტრეტის ხატვას შეუუდგებოდით.

ცოტა არ იყოს, დავიბენი, რაც სახეზეც გამომეხატა.

– ნუ ნერვიულობ, – დამამშვიდა, – სანამ ხატვას დავიწყებ, მე შენ სულიერად უნდა გაგიცნო. ჩემთვის შენი სულიერება უმნიშვნელოვანესია, ამიტომ ჩვენ უნდა ვიმეგობროთ. მერე რა, რომ მე სამოცდათორმეტი წლის ვარ, შენ კი – ოცის, მეგობრობისთვის განა რაიმე მნიშვნელობა აქვს ასაკს?

– არავითარი, – წავილულულე მე.

– შენთვის ეს ყველაფერი, – მხატვარმა ხელი ოთახს მოავლო, შემდეგ ხალათზეც ჩამოისვა, – უცხოა და თვალს გჭრის, მაგრამ იმედს ვიტოვებ, როდესაც ყველაფერს მოგიყვები, გამიგებ. ვინაიდან მეგობრობისთვის ერთმანეთს ფულს არ უხდინან, მე დაკარგულ თავისუფალ ღროში იმდენს გადაგიხდი, რამდენსაც შენ



ბენიკ კეკელიძე

ყსახიულონი

(საქურნალო პარიანტი)

დამისახელებ...

– როგორ გეკარებათ?! – გააწყვეტინე საუბარი. – მე აქ ფულის გულისთვის არ მოვსულვარ. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, ისეთი დიდი მხატვარი, როგორც თქვენ ბრძანდებით, ჩემს პორტრეტს რომ შექმნის.

სენნიამ ჩაახველა:

– მეორე სართულზე შენი ოთახი გექნება – როცა ინებებ, შეგიძლია დარჩე კიდევ. ალბათ ბევრი კითხვა დაგიგროვდა, მკითხე, არ მოგერიდოს, – სმენად იქცა მხატვარი.

– მე შევძლებ, რომ მეგობრობა გაგიწვიოთ? – ვივრძენი, როგორ შემეფაკლა დაწვები.

– ჩემს ცხოვრებისეულ გამოცდილებას თუ ენდობი და თუ გჯერა, რომ შენ დიდი ხანია გიცნობ, მაშინ შეძლებ, – ხელი ხელზე მომიტათუნა მხატვარმა, – პირველი დღისთვის საკმარისია. მოდი, ახლა ვისადილოთ, ლეკციებიდან მოდიხარ.

– არა, გამდლობთ, – წინააღმდეგობის გაწევა ვცადე და სკამიდან წამოვდექი.

– მოიცა, – მოხუცმა ხელით მანიშნა, დაჯექიო, – ვანდა!

– გისმენთ, – ოთახში ვანდა შემოვიდა.

- სუფრა გაგვიწყვე, ვისადილებო.
- ახლავე, ბატონო, - გავიდა ქალი.
- ბედნიერი ვარ, - ჩაილაპარაკა სეხ-ნიამ.

თვალეში შევხედე. მოხუცის გამოხედვა უსაზღვრო სიხარულს გამოხატავდა, თვალეები უბრწყინავდა და ისე მათვალეირებდა, როგორც მწყურვალე წყაროს უწყურებს ხოლმე.

- რაში გამოინახტება თქვენი ბედნიერება? - ცნობისმოყვარობამ მორიდებულიობის გრძობა დაძლია და ვიკითხე.

- რაში, ლიზიკო, და ჩემი თავი ვიპოვე. ჰო, ვიპოვე და ამაში დღეს უფრო დავრწმუნდი. ადამიანთა უმრავლესობა უფალთან ისე მიდის, რომ ამას ვერ ახერხებს. ალბათ, საკუთარ თავს არც ეძებენ, მათთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი; მეცოდებიან. მე როდესაც დმერთთან ვიყავი, ამას მაშინ მივხვდი, - ბოლო წინადადება ჩაფიქრებულმა, ჩურჩულით წარმოთქვა.

- სად იყავით? - საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი.

- უფალთან, ლიზიკო, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს მოგიყვები, - მხატვარმა ისევ მომიტათუნა ხელზე ხელი.

ამასობაში ვანდამ სუფრაზე ჭურჭელი დაწყო, შემდეგ გორგოლაჭებიან, ორთარიან მაგიდაზე დალაგებული კერძები სამზარეულოდან გამოაგორა. მათლაფებში ბოსტნეულის ცხელ წვნიანს ოხშივარი ას-დიოდა, გვერდით, გრძელ ლანგარზე, შემწვარი ზუთხის დიდი ნაჭრები დაეწყო, ქვედა თაროზე კი, პური, ორნარიი საწებელი და ფორთოხლის წვენი. ყველაფერი სუფრაზე გადმოგვიწყო.

- გამაღობო, - თავი დაუქნიე ვანდას.

- შევერგოთ, - გამიღიმა და ცარიელი გორგოლაჭებიანი მაგიდა სამზარეულოსკენ გაავარა.

- ვანდა! - დაუძახა მოხუცმა.
- დიას? - შემობრუნდა ქალი.
- ვანდა, სამსონი გააფრთხილე, მანქანა მოამზადოს და სადილის შემდეგ, ლიზიკო შინ წაიყვანოს.

- გასაგებია, ბატონო, - ოთახიდან გავიდა ვანდა.

- არ არის საჭირო, ავტობუსით წავალ, - მორიდებულად წაიჭურჩულე.

- ლიზიკო, მანქანა სხვა რაში მჭირდება? - გამიღიმა მხატვარმა, შემდეგ წვნიანზე მიმითითა, - მიირთვი, თორემ ვაკვივდება.

სადილის შემდეგ, ვანდამ სუფრა ალაგა და უნაღვეო ყავა შემოიტანა. მოხუცმა ჯებიდან ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით დატენა, მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. სიამოვნებისგან თვალეები მილულა და ფინჯნიდან ცხელი ყავა მოსვა:

- კარგია, - ჩაილაპარაკა და ისევ მომაჩერდა, შემდეგ არომატული თამბაქოს

კვამლი ჩაისუნთქა და მომმართა - ლიზიკო, რომელი სუნამო გიყვარს?

- არ ვიცი, - მხრები ავიჩეჩე, - გამორჩეული სუნამო არა მაქვს, მე მგონი, ყველა მომწონს, - ჩამეღიმა. ვერძნობდი, რომ სადღაც ზღაპრულ, არამქვეყნიურ სამყაროში მოვხვდი. მოხუცთან ურთიერთობა უზომოდ მსიამოვნებდა, თან საოცრად დაბნეული ვიყავი.

- ეს მერე გადავწყვიტოთ, - თვალს ვერ მამორებდა მოხუცი.

ყავა დავლიე, წამოვდექი:

- ყველაფრისთვის დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ, - დავემშვიდობე და წასასვლელად მოვემზადე.

- მადლობა შენ, შენი არსებობისათვის, და უფალს, ჩვენი შეხვედრისათვის. სამსონს უთხარი, ხვალ უნივერსიტეტში რომელ საათზე მოგაკითხოს, - მხატვარი წამოვდგა და კარებამდე მიმაცილა.

ეზოში გავედი. სანამ წიწვოვანი ბუჩქების დერეფანს გავივლიდი, ძალაუნებურად გავიფიქრე:

„სასწაულია, ჩემმა გამოჩენამ სენიას ასეთი რა ბედნიერება მოჰგვარა?“ - ალყაფის კარი გამოვადე და ქუჩაში ფეხი გავდგი. ტროტუართან, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი, თეთრი, დაბერილფრთებიანი „ბე-ემ-ვე“ იდგა. მანქანა ისე იყო მოვლილი, რომ ახალი გვეჩვენებოდა. ძრავა საათივით წიწვიკებდა. საჭესთან მებადე იჯდა. წინა კარი გამოვადე და სავარძელზე მოვკალათდი:

- გაწუხებთ, ავტობუსით წავიდი, - მივმართე სამსონს.

- რას ბრძანებთ?! - დამრა მანქანა. - სად მივდივართ?

მისამართი ვუთხარი. რამდენიმე წუთში, სახლთან მივედი.

- ხვალ რომელ საათზე მოგაკითხოთ? - მკითხა მძღოლმა.

- უნივერსიტეტში, სამის ნახევრისთვის, კარგად ბრძანდებოდეთ, - გადავედი მანქანიდან და სადარბაზოსკენ ნაჩქარევად წავედი.

შინ როდესაც შევედი, დედას დავუძახე, გვერდით მოვისვი და სენიას შესახებ ყველაფერი მისხალ-მისხალ მოუყვები. მშობელი დიდი ინტერესით მისმენდა.

- ისე, სენია ცნობილი მხატვარია, ხატვა ორმოცდაათი წლის ასაკში დაუწვია, ძალიან საინტერესო პიროვნებაა და მასთან ურთიერთობაც, ალბათ საინტერესო იქნება, - გადმომილაპარაკა დედამ.

ჩემს ოთახში შევედი, საწოლზე წამოვწექი. ფიქრი სენიას ირგვლივ მიტრიალებდა. მე დაბადებული არ ვიყავი, რომ მიცნობდა, იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებოდით, საიდან იცოდა?.. შემდეგ, მისი სიტყვები დმერთთან ყოფნის შესახებ... საინტერესოა, ძალიან

საინტერესოა... საათს შევხედე - შეიდი იყო დაწყებული.

- საბა, - ჩაილაპარაკე და წამოვდექი. მაგიდასთან დავჯექი, სიგარეტი ამოვიღე, მოუკიდე და ტელეფონი მოვიწიე. საბას ნომერი ავკრიბე, თან ცაცხვს ვუყურებდი.

- გისმენთ, - საბას ხმა მომესმა.

- გამარჯობა, საბა, - ძლივს ამოვიღულულედი.

- ლიზა, ლიზიკო, როგორ ხარ? - ჩემს სიყვარულს ხმა უთრთოდა, აშკარად ნერვიულობდა, - სახლში ხარ?

- კი.

- გამოვივლი და შემხვდი.

- კარგი, - დავმშვიდდი, სახეზე დიმილი მომეჩინა, ფოთლებს თვალი ჩავუკარი.

- ოც წუთში შენს სახლთან ვიქნები, - დაკიდა ყურმილი.

თხუთმეტ წუთში სადარბაზოში გავედი. ის იყო კიბეზე უნდა ჩავსულიყავი, რომ ჩემი მეზობელი - ენერგოვაშპირი ლია შევნიშნე. ერთი ამოვიოხრე და სახლში შევბრუნდი, ვითომ რაღაც დამჩნა. როდესაც მისი ნაბიჯების ხმა აღარ ისმოდა, გამოვედი და საფეხურები ჩავიბინე. საბა მანქანაში იჯდა და მელოდა; როდესაც დამინახა, სწრაფად გადმოვიდა. მის შემხედვარეს თვალეებზე ბინდი გადამეკრა, ადგილზე გავქევადი. მან ჩემთან მიიბრბინა და ორივე ხელი მომხვია:

- მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, - მიჩურჩულა და მაკოცა.

- მეც, - ეს ერთი ბეწო სიტყვა ძლივს წარმოვთქვი და ვაკოცე.

ჩემს სხეულში ბედნიერება ჩაიღვარა. მონატრების დასასრულს თვალცრემლიანი შევხვდი. საბამ ხელი გადამხვია და მანქანისკენ წამიყვანა, კარი გამიღო და ჩამსვა. თვითონ მოუარა და გვერდით მომიჯდა. ჩემი სახე ხელისგულეებში მოიქცია:

- ლიზიკო, მომიტყევე, - ჩამჩურჩულა და ტუჩებში მაკოცა.

ტანში სასიამოვნო ჟრუატელმა დამიარა. იღბლის ასეთ შემობრუნებას ვერ ვიჯერებდი, თავი სიხმარში მეგონა.

ტუჩები გავითავისუფლე:

- შეცდომა ყველას მოგვდის, ჩემო სიცოცხლე. შენმა არყოფნამ დამანახვა ვინ ხარ, რა ხარ და როგორი ხარ, რამდენად ძვირფასი ხარ. ჩემთვის არსებობ შენ და დანარჩენი სამყარო.

ჩვენი ტუჩები ისევ შეერთდა.

- წამოდი, ჩვენს სკამზე დავსხდეთ, - შემომთავაზა საბამ.

- სიამოვნებით, - გავუდიმე და სახეზე მივეფერე.

მანქანა დამრა, სკვერთან გააჩერა და გადავედი. ხელი მომხვია. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდით იმ ათვლის წერტილს, საიდანაც ყველაფერი დაიწყო.

სკამზე არავინ იჯდა. გახარებულები დავსხედით. ერთმანეთს მივაშტერდით, თითქოს პირველად ვხედავდით, სივარეტი ისე ამოვიღე და მოვუკიდე, რომ საბასთვის თვალი არ მომიშორებია.

– მე სივარეტს აღარ ვეწევი, – ფიქრიდან საბამ გამომიყვანა.

არაფერი ვუბასუსხე, გავუღიმე.

– მთამსვლელობა დავიწყე.

– რაა? – გავიკვირე.

– კავკასიონზე სამი დიდი მწვერვალი დავიპყარი.

– მაგარია, – გატაცება მოვუწონე საბას, – რა დიდი გრძნობაა, როცა ადინარ, უამრავ დაბრკოლებას ლახავ, გიჭირს და ადინარ. გტკივა და ადინარ, გცივა და ადინარ – ჩვენი ცხოვრებასავით არის.

– მართალია, ჩემო სიცოცხლე, – საბამ მაკოცა, – მხოლოდ იქ არის ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობები. ერთ თოკში ჩაბმულებს, ერთი სინდისი, ერთი ნაშუი და ერთი კაცობა ერთმანეთთან აიგივებს. მთა არაკაცს ვერ იკარებს, ვერ იტანს. ყოველი ასვლისას საკუთარ თავს ვუმტკიცებდი, თუ რამდენად მიყვარხარ, რამდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის. რამდენიმე დღეში უშმაზე მივდივარ, ამ ასვლას შენ ვიდრე. როცა დაგბრუნდები, ჯვარი დავიწერო...

– რაა?

– ჰო, შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და მთელი ცხოვრება ერთმანეთს უნდა მივუძღვანო. ვიცხოვროთ იმისთვის, რომ ერთურთით გავიხსაროთ.

– სიწმინდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული, – ამ სკამზე ნათქვამი, მოხუცი ქალბატონის სიტყვები გავიმეორე, რომელიც, ალბათ, ჩემბურთი თანხმობა იყო. პაუზა ჩამოვარდა.

– საბა მიყვარხარ, – სიჩუმე დავარღვიე და მის ლამაზ ტუჩებს დავეკონე. თამში თითები შევეცურე, ვეფერებოდი ჩემს მონატრებულ სიყვარულს. მერე ისევ სივარეტს მოვუკიდე.

– ბევრს ეწევი, – მისაყვედურა.

– ჭკუაზე რომ ვარ, არ გიკვირს?

– დამშვიდდი, აწი სულ ერთად ვიქნებით.

სივარეტი ურნაში ჩავაგდე:

– სენხიამ ჩემი პორტრეტის დახატვა გადაწყვიტა.

– რას ამბობ?! – გაიკვირვა მან.

– დღეს პირველად ვიყავი მასთან. ისეთი საინტერესო პიროვნებაა, რომ ვერ აღვიწერ.

– ვიცი. რასაც ის ქმნის, მხოლოდ რჩეულით ძალუბი იმის გაკეთება. ასეთი ადამიანი საუკუნეში თითო-ორიოლა თუ დაიბადება.

ჩემი პირველი შთაბეჭდილება საბას გავუზიარე, თავიდან ბოლომდე ყველაფერი მოვუყევი.

– კარგია, დიდებულია, – ჩაილაპარაკა



კმაყოფილება, – მე არ გამაცნობ? მასთან არ წამიყვან?

– აუცილებლად, მაგრამ ჯერ ცოტა დაუჯანბლოვდე და მერე.

– კარგი, – დამთანხმდა საბა, – წამო, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ.

მანქანასთან მივედი და კაფესკენ გავწიეთ. საბამ შამპანური და ფილა შოკოლადი აიღო, შუშუნა სითხე ფუჟერებში ჩამოასხა:

– ჩვენი ურთიერთობის ხელმეორედ დაბადებას გაუმარჯოს! – შამპანური მოსვა და ფუჟერი დადგა.

– ჩვენი ურთიერთობა, ისევე, როგორც ყველაფერი, მხოლოდ ერთხელ დაიბადა, უბრალოდ, დროებითი განშორებით მონატრებასთან გამოცდა ჩავაბრეთ და ახლა კვლავ ერთად ვართ, – დავლიე შუშუნა სითხე, სივარეტს მოვუკიდე, მაგრამ საბამ ისე შემომხვდა, რომ მომენტალურად ჩავაჭრე. ჩემს ცხოვრებაში ის ღერი ბოლო იყო.

ისე დაგვალამდა, რომ ვერ გავიგეთ, დროის შეგრძნების უნარი დაკარგული გვქონდა. ძალიან გვიანი იყო, როდესაც შინ მიმიყვანა. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, სენხიასგან რომ დაგბრუნდებოდი, მისთვის უნდა დამერეკა.

შინ დაბრუნებულს, სამზარეულოში ანთებულმა სინათლემ მიმხვედრა, რომ დედა მელიოდებოდა.

– დედიკო, მოვედი.

– ლიზა, მოდი აქ, – დამიძახა მშობელმა.

შევედი, მაგიდას მივუჯექი და გული

გადავუსხენი. ჩემი მდგომარეობით ძალიან ბედნიერი იყო დედა. მომეფერა, მაკოცა და ძილი ნებისა მისურვა.

ლექციების შემდეგ, უნივერსიტეტის წინ თეთრი ანტიკარული „ბე-ემ-ვე“ შელოდა. ლამის სირბილით მივედი, წინა სავარძელზე მოკალათი და მძღოლს გავუღიმე:

– გამარჯობათ, სამსონ.

– ლიზიკო, გავიმარჯვოს, – მომესალმა მამაკაცი.

მანქანა ქალაქის საზღვარს გაცვდა და გარეუბანში, სენხიას სახლის ჭიშკართან გაჩერდა. გადავედი. სამსონი წამომეწია და ეზოში შესასვლელი კარი შემიღო, შემდეგ სახლამდეც მიმაცილა. დერეფანში ვანდა დამხვდა, მომესალმა და სასტუმრო ოთახში შემიძღვა. სენხია სავარძელში იჯდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა. მოხუცი იმავე, ჭრელ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი.

– მოხვედი, ლიზიკო? გამარჯობა, – კმაყოფილებისაგან თვალები ახლა უფრო უბრწყინავდა.

– გამარჯობათ, ბატონო სენხია, – გავუღიმე.

– აა, აა, აა, – თითი გააქნია მოხუცმა, – მეგობრობაში სიტყვა „ბატონო“ ცოტა უხერხულია.

– არა, უბრალოდ ასაკიდან გამომდინარე, – ვუბასუსხე გაკვირვებულმა.

– ასაკიდან გამომდინარე, ჩემო კარგო, თქვენებით მიმართვაც საკმარისია. არა უშავს, ნელ-ნელა ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგება. ვანდა! – გასძახა ეკონომს.

– დიას, ბატონო, – ქალი გაღიმებული შემოვიდა.

– ლიზიკო აიყვანე, თავისი ოთახი აჩვენე.

– წამობრძანდით, – მომიბრუნდა ვანდა და მძიმე ნაბიჯებით, როგორც ჭარბწონიანებს სჩვევიათ, ისე აუყვა კიბეს.

ჩემს ოთახში შევედი. საკმაოდ დიდი და გემოვნებით მოწყობილი აღმოჩნდა. კედლები თეთრად შეეღებათ, ჭერი აქაც ცისფერი იყო, ოღონდ მხატვარს ზედ ვარსკვლავები დამატებინა, ხოლო იატაკზე მწვანე ნოხი დაეგოთ. საწოლი ფანჯარასთან იყო მიდგმული, გვერდით კი, ნიშაში ჩამონტაჟებული კარადის კარი მოჩანდა. საწოლის მოპირდაპირედ საწერი მაგიდა იდგა, მაგიდის თავზე ორი წიგნის თარო კედელზე მიემარებინათ. მაგიდის გვერდით არსებული კარი გამოვადე და საუცხოოდ მოწყობილ სააბაზანო ოთახში შევიხედე. განცვიფრებული შევყურებდი ყველაფერს.

— ლიზიკო, ერთი წუთით, — კარადისკენ მიმახედა ვანდამ და კარი გამიღო. შიგნით ნათურა ანთო და უძვირფასესი, ნაირ-ნაირი ფერის თეთრეული გაანათა, — როდესაც დაგჭირდება, ზეწარი, ბალისმისპირი, საბნისპირი, პირსახოცები, ხალათები — ყველაფერი აქ არის.

მოულოდნელობისგან დაბნეული ვიდექი და ხმას ვერ ვიღებდი.

— ახლა ქვემოთ ჩავიდეო, — კარადის კარი მიხურა და ორივენი მხატვართან დაბრუნდით. სეხნია სავარძელში იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და გაზეთს კითხულობდა. მე ენაგადაყლაპული გვერდით დავუდექი.

— ოთახი მოგეწონა? — შემომხედა მოხუცმა.

— მოწონებით კი მომეწონა, მაგრამ მე აქ ოთახი არ მჭირდება, — ცოტა არ იყოს, ნაწყენი ტონით მივმართე.

— არა, ლიზიკო, ხატვას როცა შევუდგებით, მაშინ შეიძლება მოგიწიოს დარჩენა. არაფერია ამაში გასაკვირი, — დამამშვიდა მოხუცმა. სავარძლის გვერდიდან ლამაზი ცელოფანის პარკი აიღო და გამომიწოდა, — აქ „გოტიუს“ სუნამოა, ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად...

— რატომ წუხდებოდით? — არ დავამთავრებინე სიტყვა.

— შეწუხება რა მოსატანია? შენთან შეხვედრა ჩემი დიდი ხნის ნატვრის ასრულებაა და ამას სადილის შემდეგ ავიხსნი. ვანდა, სუფრა გაგვიწყვე, ვისადილებო.

— კარგიო, ბატონო სეხნია, — ქალი სამზარეულოში გავიდა.

სეხნიამ ხელი გამომიწოდა, რათა წამოღვამო მიმეხვედრებოდი. ორივენი მაგიდას მივუსხედით. ვანდამ სუფრა გაგვიშალა. ისე ვისადილეო, რომ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ფიქრებით საკუთარ მდგომარეობას დავტრიალებდი. სამინლად მაინტერესებდა, ჩემთან შეხვედრამ მოხუცს ასეთი რა ნატვრა შეუსრულა. სადილის შემდეგ, ყავის სმის დროს, მხატვარმა ჩიბუხს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა, ერთი ჩაახველა და მომმართა:

— ლიზიკო, ძალიან გთხოვ, ყოველგვარი ცუდი აზრი მოიშორე...

— იცით, მე აქ სულ სხვა საქმისთვის მოვედი და ვერაფრით ამიხსნია, თუ რას ვაკეთებ, რა ფუნქციას ვასრულებ, — მოვსვი ყავა და მხატვარს მივაშტერდი, რომლის სახე თამბაქოს კვამლში გახვეულიყო და მომჩერებოდა.

— დაწყნარდი, სანერვიულო არაფერია, — მოხუცმა ღრმად ამოისუნთქა, ჩაფიქრდა, საუბრის დასაწყებად სიტყვას ეძებდა, შემდეგ, ლამის ჩურჩულით მომმართა, — წელს მეოცე საუკნის ბოლო წელიწადია. მე დავიბადე ოცდარვა წელს, შენ — ოთხმოცში. ეს სახლი ჩემი მშობლებისაა. მე დავიბადე

ოთახში, რომელიც ახლა შენია. საკმაოდ კარგი და უზრუნველი ბავშვობა მქონდა. თექვსმეტი წლის ასაკში ჩემი ტოლი გოგონა შემიყვარდა. ასეთი დიდებული გრძობა გუშინდლამდე აღარ განმიცდია...

— რატომ გუშინდლამდე? — გავაწყვეტინე საუბარი.

— დამაცადე, გეტყვი, — ნერწყვი გადავლაპა სეხნიამ და განაგრძო: მოხდა ისე, რომ ჩემი შეყვარებულის მეგობარმა გოგონამ თავზე ამირია და თექვსმეტი წლისამ პირველი სიყვარული მივატოვე. საშინლად ვატკინე გული, ყველაფერი წმინდა გავაცამტვერე, გრძნობები დავუშსვრიე. მართალი გითხრა, ეს გვიან შევივრძენი, იმ მომენტში ამას ვერ ვაანალიზებდი...

— თექვსმეტი წლის ასაკში? — გაკვირვებისგან თვალები გამიფართოვდა.

— დიას, — თავის დაქნევით დამიდასტურა.

— თექვსმეტი წელი, — ჩავილაპარაკე და ძალაუნებურად პარალელი გავავლე საკუთარ და სეხნიას თექვსმეტ წლებს შორის, — ვისმინო, — პირდაღებული შევქეროდი.

— შემდეგ, — ისევ გააბოლა მხატვარმა ჩიბუხი, — მისმა მეგობარმა, თითქოს თავისი ბინძური საქმე მოითავა და მიმატოვა. სწორედ მაშინ დაეხატე პირველად, მაშინ შევქმენი ჩემი სიყვარულის პორტრეტი. დრო გადიოდა. ქალების მიმართ გრძნობამ მიიძინა და თავიდან ფეხებამდე სწავლაში გადავეშვი. კარადის თავზე შემოდებული ჩემი ნახატი საერთოდ გადამავეიწყდა.

— უკაცრავად, თქვენ ხატვა მაშინ დაიწყეთ?

— არა, ეგ იყო და ეგ. ფანქარი ან ფუნჯი ხელში საერთოდ აღარ ამიღია.

ავტორის ნახატი



ოცდაათი წლის ასაკში დავოჯახდი, ქალვაყი შემიძინა. დიდი საქმეები წამოვიწყე, ყველაფერში მიმართლებდა. ცალკე სახლი შევიძინე და ცოლ-შვილით საცხოვრებლად იქ გადავედი. მეგონა, ყველაზე ბედნიერი ვიყავი. თვალებში შემომციცინებდნენ მეუღლეც და შვილებიც. ქალიშვილი გავათხოვე, დავაბინავე. სიძე მესამე შვილად მივიღე. მოკლედ. თავს კაცად ვთვლიდი. ხომ გაგიგონია, დრონი მეფობენ და არა მეფენიო, ჰოდა, ილბლიანობა უიღბლოდ შეცვალა. მაშინ დავინახე, ვინ ვინ არის — მეგობრებსა და ნათესავებს მივავეიწყდი. სიძე ისეთი კაცი აღმოჩნდა, რომელსაც გონება სხვის გამოყენებაზე ჰქონდა მომართული. ოჯახური მოჩვენებით ბედნიერება კი, გაჭირვებამ „შეახრამუნა“. საკუთარ ცოლ-შვილში თავი ზედმეტად ვივრძენი. ორმოცდაათი წლის ვიყავი, როდესაც მშობლების სახლში დაბრუნდი, ძალიან მიჭირდა. ერთხელ, როდესაც ჩემს ოთახს ვალაგებდი, კარადის თავზე შემთხვევით, ის ნახატი ვიპოვე, რომელზეც უკვე მოვიყვებით. მტვერი გადავწმინდე, დიდხანს ვუყურებდი და იცი, რა ვივრძენი? — რომ ყველაზე ბედნიერი სწორედ მაშინ ვიყავი. იმ წუთიდან დაწყებული, ჩემში, ისე როგორც დიდმა ურჩხულმა, ხატვის წყურვილმა გაიღვიძა. სახელგანთქმული მხატვარი გავხდი...

— შეიძლება, რომ თქვენი პირველი ნახატი მანახვით?

— რასაკვირველია, — წამოღვა სეხნია, — წამოდი ჩემს კაბინეტში.

მხატვარს უკან გავეყვი. კიბე ავიარეო და ღერეფანში, ხელმარჯვნივ პირველივე ოთახის კართან შევჩერდი. მოხუცმა კარი შემიღო და მიმიპატიჟა. კედელზე დაკიდებულ სურათს შევხედე. გაკვირვებისგან თვალები გამიფართოვდა, ტუჩები მომპერიცა: საკუთარ პორტრეტს შევყურებდი. მივუბრუნდი და შემცბარი ხმით ვკითხე:

— ეს მე ვარ?

— არა, მაგრამ კი, — გამიღიმა სეხნიამ. ახლოს მივედი და შესრულების თარიღს დავაკვირდი: ათას ცხრაას ორმოცდაათში წელი — ეწერა სურათს კუთხეში. შემოვბრუნდი, რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ მოხუცმა დამასწრო:

— ლიზიკო, ადამიანის ცხოვრება ჯაჭვს ჰგავს: ყოველი რგოლი, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული, გარკვეული დასრულებული ეტაპის ამსახველია, ხოლო თვით ჯაჭვი, სპირალივით არის დახვეული. მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. იგი არ წყდება, თითოეული რგოლი ერთმანეთზე გადახლართული და ერთმანეთს აკავშირებს. ამიტომ არის, რომ რაღაცის დამთავრებისას, სხვა რამ იწყება. ჩვენ დროსა და სივრცეში ემორდებით. აკი ამიტომაც, ფსევდონიმად სეხნია დავირქვი...

გაგრძელება იქნება

Toyota-ს ფაქტობრივი აჩრევანი



ევროპაში იმ Toyota Corolla-ს გაყიდვა იწყება, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე გამართულ ფრანკფურტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი და სპეციალურად ევროპისთვის შეიქმნა. მოდელის ავტორები საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მდებარე „ტოიოტას“ ცენტრის დიზაინერები არიან. მისი ვარიანტების პალიტრა, იაპონური კორპორაციის მესვეურთა ჩანაფიქრით, საკმაოდ ფართოა: მომხმარებელს შესთავაზებენ სამ და ხუთკარიან ჰერბესს, სედანს, უნივერსალსა და კომპაქტურ ვენს. წინამორბედი მოდელისგან განსხვავებით, ახალი „კოროლა“ სიგრძეში 6 სმ-ით, სიგანეში კი – 2 სმ-ით გაიზარდა. ავტომობილისთვის შე-

მუშავებულია 4 სხვადასხვა ძრავა – ბენზინის 2 და დიზელის 2, – რომლის სიმძლავრე 97-დან (საბაზო) 110 ცხ.ძ-მდე მერყეობს. საწვავის ხარჯი, ყოველ 100 კმ-ზე 6,8 ლ-ს შეადგენს.

უკვე 35 წელიწადია, სწორედ „კოროლა“ წარმოადგენს იაპონური ავტოგიგანტის ლოკომოტივს: ამ ხნის მანძილზე, კომპანიამ ამ მოდელის 29 მლნ მანქანა გამოუშვა, რაც აბსოლუტური მსოფლიო რეკორდია. შედარებისთვის ვიტყვი, რომ „ფოლკსვაგენის“ სახელგანთქმული „ხოჭო“ მას 9 მლნ-ით ჩამორჩება.

კომპანიის სიახლეებს შორისაა ცნობილი RAV4-ის ახალი ვარიანტი, რომელიც დიზელის ძრავით არის

აღჭურვილი. მოდელის სრული დასახელება RAV4D-4 ორლიტრიანი ძრავა 116 ცხ.ძ-ის სიმძლავრეს ავითარებს, 100 კმ/სთ-ის სიჩქარეს კი, 12,1 წმ-ში აღწევს; მისი მაქსიმალური სიჩქარეა 170 კმ/სთ. როგორც დიზელის თანამედროვე ძრავებს შეეფერება, ამ „ტოიოტას“ აგრეგატიც დიდი ეკონომიურობით გამოირჩევა: საწვავის საშუალო ხარჯი, 100 კმ-ზე 7 ლ-ს შეადგენს. ავტომობილს ხუთსიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი აქვს. სამკარიანი ვარიანტის ფასი გერმანიაში 22.00 დოლარამდე იქნება, ხუთკარიანი კი, დაახლოებით ერთი ათასით ძვირი ეღირება.

სუპერხენივებისადეხი HYUNDAI

ამ ცოტა ხნის წინ კორეულმა ფირმა „ჰიუნდაიმ“ წარმოადგინა მომავლის ავტომობილის საკუთარი ვარიანტი – კონცეპტ-კარი CLIX-ი, რომლის დიზაინი ენერჯული, დიდი სისწრაფის გამომხატველი ხაზებით გამოირჩევა. მანქანა მრავალფუნქციურია: ამინდისდა მიხედვით, დახურული კუპეც შეიძლება იყოს და კაბრიოლეტიც. მარა „ჰიუნდაის“ ევროპულ დიზაინ-ცენტრში, გერმანიის ქალაქ ეშბორნშია შემუშავებული. გამჭვირვალე სახურავი ოთხი ელემენტისგან შედგება და საჭიროების შემთხვევაში იკეცება, რასაც ექვსი ელექტროძრავა უზრუნველყოფს; იმავე ძრავების მეშვეობით იკეცება უკანა სავარძელი, რაც მანქანას ტევად პიკაპად გადააქცევს. სატვირთო დანაყოფში თავისუფლად ეტევა ორი სამთო ველოსიპედი ან გოლფის სათამაშო რამდენიმე კომპლექტი.

CLIX-ის სპორტულ ხასიათს ადას-

ტურებს 19-დუიმიანი დისკები და 303 ცხ.ძ-იანი ოთხცილინდრიანი ძრავა, რომლის სამუშაო მოცულობა 2,2 ლ-ს შეადგენს. ავტომობილი სრულამძრავიანია, გადაცემათა კოლოფი – ექვსსაფეხურიანი. ფირმის მარკეტოლოგთა აზრით, ამ მანქანის პოტენციური მყიდველები არიან „30 წელს გადაცილებული ის ადამიანე-

ბი, რომლებიც აქტიურ შრომით საქმიანობას ეწევიან, საღამოობით რესტორანსა და ფიტნეს-ცენტრში დადიან, უქმეებში კი აქტიურად ისვენებენ.“ თუმცა ჯერ ზუსტად არ განუსაზღვრავთ CLIX-ის სერიული წარმოების დაწყების ვადა, ექსპერტთა ვარაუდით, მისი პრემიერა მალე შედგება.



ვიდეო დისკებზე გადაღის

მულტიმედის განვითარებამ ფაილების გაცვლა-გამოცვლის ხერხების გადასინჯვა მოითხოვა. გარკვეული ხნის მანძილზე, ამ ამოცანას ადვილად ართმევდნენ თავს ჩვეულებრივი დისკეტების მეშვეობით, მაგრამ აუდიო და ვიდეოფაილების შესანახად ისინი საკმარისი არ იყო და კომპაქტდისკები შეიმუშავეს. თანამედროვე კომპიუტერები, დისკების წასაკითხი CD-ROM-ის გარდა, მისი ჩამწერი CD-RW-ითაც კომპლექტდება, მაგრამ დღეს ესეც აღარ არის საკმარისი. ციფრული ვიდეოგადაღებისა და DVD-ფლეიერების პოპულარობის ზრდის კვალობაზე, ამ ფორმატში ვიდეომასალის ჩაწერის საჭიროებაც გაჩნდა. ამ მოთხოვნილებას პირველად, კომპანია Apple-მა უპასუხა, რომელმაც მარშან DVD-R ჩამწერი მოწყობილობით




აღჭურვილი კომპიუტერი გამოუშვა და ამით ყველა მსურველს (თუ მას 3.000 დოლარი აქვს) საშინაო სტუდიის შექმნის საშუალება მისცა. Apple-ის შემ-

დეგ, თავიანთი ანალოგიური სიახლეები მომხმარებელს Hewlett-Packard-მა, Sony-მ და Packard Bell NEC-მაც შესთავაზეს. ■

ჰაეხიდან გადმოსული ასოები

კლავიატურის არარსებობა დიდ დისკომფორტს უქმნის ჯიბის კომპიუტერის მფლობელებს, მაგრამ მალე მათ ამ გასაჭირსაც მოეღება ბოლო: ცოტა ხნის წინ, ტექნოლოგიურ მიღწევათა გამოფენაზე ვირტუალური კლავიატურის რამდენიმე მოქმედი ნიმუში წარმოადგინეს. განსაკუთრებული ყურადღება კომპანიების – Sense-board-ისა და Samsung-ის სიახლეებმა მიიპყრო. პირველმა მათგანმა შეიმუშავა მოწყობილობა, რომელიც თითების კუნთების შეკუმშვას „დილაკის დაჭერად“ გარდაქმნის. „სამსუნგმა“ განსხვავებული პრინციპი გამოიყენა: მისი „ხელთათმანი“ თითების მკვეთრ მოძრაობებს „ადვენებს თვალყურს“ და მიღებული მონაცემების შესაბამისად განსაზღვრავს, რა მომენტში „ეხება“ თითები კლავიშებს. კომპიუტერი უსადენოდ უკავშირდება „ხელთათმანს“, რაც ძალზედ მოსახერხებელია. „ხელთათმანი“, რომელიც თავდაპირველად კორეაში გაიყიდება, დაახლოებით 50 დოლარი ეღირება. ■



ტანსამოსხვით ჩასაცმელი ჯომპიუტერი

ამ ცოტა ხნის წინ ლას-ვეგასში ჩატარებულ გამოფენაზე ამერიკულმა კომპანიამ – Xybernaut-მა გამოაცხადა, რომ მზადაა მიიღოს შეკვეთები ჩასაცმელ კომპიუტერზე Xybernaut poma. ეს, ფაქტობრივად, პირველი ამგვარი პორტატული კომპიუტერია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბევრი დასავლეთელი მომხმარებლისთვის. მისი ფასი აშშ-ში 1.499 დოლარი იქნება. კომპლექტში შედის: მინიატურული სისტემური ბლოკი და მსუბუქი დისფლეი (640X480 პიქსელის გაფართოებით), რომელიც მოხმარებელს სათვალესავით შეუძლია წამოიცივას. კომპიუტერი 32-ბიტიანი 128-მეგაპერციანი RISC-პროცესორის – SuperH-ის ბაზაზე, კომპანია Hitachi-ს მიერ არის შექმნილი და ამავე ფირმასთან ერთად ჩაეშვება წარმოებაში. სისტემური ბლო-

კი აღჭურვილია USB -პორტით, რომელიც მისთვის უამრავი მოწყობილობის მიერთების საშუალებას იძლევა და 32 მეგაბაიტის ოპერატიულ და მუდმივ მეხსიერებას ანიჭებს. მის მართვის ორგანოს ოპტიკური „თაგუნა“ წარმოადგენს, რომელიც ნებისმიერ ზედაპირზე შეიძლება „აგორავს“. ეს ყველაფერი Windows CE-ს სისტემით იმუშავებს.


როგორც კომპანიის მესვეურები აღნიშნავენ, კომპიუტერ Poma-ს სხვადასხვა სფეროში გამოიყენებენ, განსაკუთრებით, ისეთ სამსახურებში, სადაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ოპერატიულობა წარმოადგენს. ბოლოს დავძენთ, რომ ის სულ 300 გ-ს იწონის და დამტენი ბატარეებით არის აღჭურვილი და მალე ინტერნეტთან შეერთების საშუალებითაც აღიჭურვება. ■



ქა შიპილ საოლი თინეიჯერებს რააკაოზიებს



№1



№2



№4

ნათია თენიეშვილი

– ეს მოდელი (ფოტო №1) განკუთვნილია ქალებისთვის, უპირატესობას ისეთ ტანსაცმელს რომ ანიჭებენ, რომელიც ხაზს უსვამს მათ სექსუალობას. მოდელში გამოყენებულია ფრანგული მაქმანები. არის ახალი კონსტრუქციის ხაზი: ზედა ლაბადა აკრილია ირიბად და გაწყობილია შავი ლენტებით; ქამარი დამაგრებულია ლაბადაზე და აერთიანებს მთლიან სილუეტს ანუ სახელოს მაქმანი „მონათესავე“ კავშირშია ქამართან და საყელოსთან. კორსეტი შექმნილია უამრავი ქსოვილისაგან და ზემოდან გადაფარებული აქვს შავი ტიული, რომელიც ჩარჩოში სვამს და ახშობს სიჭრელეს. ქვედაწელი შესრულებულია ხელით ნახატი აბრეშუმით და გაწყობილია ხელით ნაქარგი ბისერებით. სამივე ნაწილი ცალ-ცალკეა შექმნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ცალ-ცალკე ჩაცმა ნებისმიერ დროს შეიძლება.

თუ ლაბადას გავიხდით (ფოტო №2), აბსოლუტურად სხვა, უფრო სექსუალურ მოდელს მივიღებთ, რომელიც რეკომენდებულია ე.წ.

ელიტარულ „ტუსოკებზე“ ჩავიცვათ.

მესამე (ფოტო №3), კლასიკური მოდელია, ავანგარდული ელემენტებით, რომელიც 8 სხვადასხვა ქს-



№3

ოვილის სინთეზს წარმოადგენს. კორსეტი გადაწყვეტილია ავანგარდულად, მას პიჯაკის ელემენტები აქვს. აქაც გამოყენებულია მაქმანები და ბევრი დიდი. გამოყენებულია ბამბის, აბრეშუმისა და თხელი შალის ქსოვილების ნარევი.

მომდევნო მოდელი (ფოტო №4) განკუთვნილია თინეიჯერებისთვის და სადისკოტეკო ვარიანტს წარმოადგენს. ქვედაწელი ჯინსისა და შიფონის სინთეზია, ზედატანი კი, ფერადელემენტებიანი ტრიკოტაჟის ქსოვილისგან არის შეკერილი. მოდელი კლასიკური სილუეტით გამოირჩევა, ხოლო მასალა არაკლასიკური. მოდელს დამატებული აქვს აქსესუარი – კაშნე, რომელიც ნატურალური ლამის ბეწვისგან არის შეკერილი და გაწყობილია ტყავის თასმებით, რომლითაც იკვრება. იგი ძალიან ეფექტურია და სხვადასხვა მოდელს აბსოლუტურად განსხვავებულ იერს ანიჭებს. ბევრი გოგონა ხშირად მეუბნება ხოლმე: „არ მინდა, ქალივით გამოპრანჭული ვიყო“. ამავე დროს, მათ უნდათ, რომ გამოპრანჭულები იყვნენ. ვფიქრობ, ამ ტიპის სამოსი მათ სავსებით დააკმაყოფილებთ. ■

ნათქვამია, რომ სწორად შერჩეულ სადამოს სამოსს შეუძლია, მკვეთრად შეატრიალოს ქალის ბედი. ამ გამონათქვამის სიზუსტეს მრავალი ფაქტი ადასტურებს.



სადამოს ბაზოსხელი საოსი

სადამოს სამოსის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი ის არის, თუ სად აპირებთ სადამოს გატარებას – ოფიციალურ მიღებაზე, მეგობრების წრეში გამართულ წვეულებაზე, დისკოთეკაზე თუ ინტიმურ გარემოში საყვარელ ადამიანთან ერთად.

მთავარი ის არის, რომ გამოსასვლელად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაიკვთო ყოველდღიური სამოსი და გახსოვდეთ, რომ საზეიმო მორთულობა აუცილებლად, საგულდაგულოდ შერჩეული, დახვეწილი და გამორჩეული უნდა იყოს.

ემანუელ უნგაროს მიერ შემოთავაზებული მოდელი ექსტრაგავანტულობით გამოირჩევა (ფოტო №1). მაქსიმალური სიგრძის ქვედაბოლო საკმაოდ მოკლე ზედატანთანაა შეხამებული და ძალიან ორიგინალური საყელოც ამშვენებს. მსგავსი ფერისა და ფასონის სამოსით, რა თქმა უნდა, ოფიციალურ მიღებაზე ვერ წახვალთ, მაგრამ სადამოს წვეულებაზე თამამად შეგიძლიათ მოიწონოთ თავი.

მიუხედავად იმისა, რომ წლებგანდელი სეზონის ფერთა თავისუფლება გამოსასვლელ კაბებზე ვრცელდება, წამყვანი დიზაინერები კლასიკურ შავ ფერს მაინც ვერ ელევიან და სადამოს სამოსის შექმნის დროს, გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებენ მას.

ტანსრულმა და არცთუ ისე უნაკლო



აღნაგობის მქონე ქალებმა სჯობს, მუქი ფერისა და კლასიკური სტილის კაბები მოირგონ. ასე მაგალითად, Valentino-ს მიერ

შემოთავაზებული შავი გამოსასვლელი კაბა (ფოტო №2) გრძელაა, მაგრამ საკმაოდ გულამოდებუელია. გემოვნებით შერჩეული ყელსაბამისა და ლამაზი ვარცხნილობის წყალობით, ყურადღებას ტრადიციული ფერის სამოსითაც მიიპყრობთ.

უფრო მეტ სითამამეს იჩენს უცპი-ს მოდის სახლი და სადამოს სამოსში ავანგარდული დეტალები შეაქვს (ფოტო №3). მისი მუქი კაბის ბოლო იატაკზეა დაფენილი, თავად მკაცრი სტილის კაბა კი, ჩანაჭრებით არის დამშვენებული.

თუ სადამოს სამოსი ზომავზე მეტად ამიშვლებს მხრებსა და ყელს, მას ძალიან მოუხდება ნატურალური ბეწვის კაშნე, რომელიც სურვილისამებრ, შეიძლება, ყელზე მოიხვიოთ ან მხარზე გადაიგდოთ.

მათ, ვინც კარგი აღნაგობით გამოირჩევა და ასაკიც უწყობს ხელს, სადამოს სამოსის შერჩევისას შეუძლია, მეტი თავისუფლება გამოიჩინოს. მაგალითად, Balmain-ის მოდის სახლის მიერ წარმოდგენილი სადამოს კაბა (ფოტო №4) ღია ფერისაა და საკმაოდ ღრმად შესხნილიც.

მიუხედავად იმისა, რომ სადამოს მორთულობას ძალიან შეუწინააღმდეგები, ეცადეთ არ გადატვირთოთ და განსაკუთრებით ერიდეთ ძვირფას კაბასთან იაფფასიანი ბიჟუტერიის შეხამებას. ■



მონამბლა მანანა ლოლობერიძე

ყურის დაავადებები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამანაშვილი

ყურის ტკივილმა სიყრუე შეიძლება გამოიწვიოს

ყურების ყველაზე ხშირი დაავადებაა ოტიტი (ყურის ანთება). იგი ორი სახეობისაა – მწვავე და ქრონიკული.

ყური სამი ნაწილისაგან შედგება: გარე ყური, შუა ყური და შიდა ყური. შუა ყური ცხვირხასას უკავშირდება მილით (ე.წ. ევსტაქის მილი). როდესაც ადამიანი გაცივებულია, აქვს სურდო ან ალერგია, ევსტაქის მილი ბლოკირებულია, რის გამოც შუა ყურში გროვდება სითხე და ვითარდება შუა ყურის ჩირქოვანი ანთება. ოტიტის საფუძველს შუა ყურის ლორწოვანის ანთება წარმოადგენს. იგი უხშირესად მწვავე რესპირატორული დაავადების, ჰაიმორიტის, ანგინის გართულების სახით ვვხვდებით. გარდა ამისა, ყურის ინფექციის მიზეზი შეიძლება გახდეს:

● ცხვირისა და ცხვირ-ხახის დაავადებები (აღენიოდეტი, ცხვირის ძგიდის გამრუდება, სურდო, ალერგია), როდესაც გაძნელებულია ცხვირით სუნთქვა, არ ხდება შუა ყურიდან სითხის გამოღინება, რაც ინფექციის განვითარებისთვის კარგ ნიადაგს ქმნის;

● გადაცივება;

● საყოფაცხოვრებო ტრავმა – საჭიროა ყურის გამოწმენდა აკურატულად, რათა არ დაზიანდეს დაფის აპკი და ამ გზით არ შევი-

ტანოთ ინფექცია.

არსებობს შუა ყურის ანთების დამადასტურებელი შემდეგი სიმპტომები:

1. სმენის დაქვეითება. ეს იმიტომ ხდება, რომ შუა ყურში დაგუბებული სითხე ხელს უშლის ბგერის გაერცელებას.

2. ტკივილი. ყურის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს დაფის აპკის ანთება, ევსტაქის მილის ბლოკირება გაცივების, ალერგიის, ბაქტერიების ამოჭრისას, ყელის ანთების დროს.

ტკივილი ძლიერდება წოლის დროს. ამასთან, ჩნდება სისუსტე, მადის დაქვეითება, მატულობს ტემპერატურა.

3. გამონადენი. იგი შეინიშნება აქვს იმ შემთხვევაში, თუ დაფის აპკი დაზიანებულია. იმის მიხედვით, თუ რა ხარისხითაა გამოხატული ანთებითი პროცესი, სასმენი მილიდან შეიძლება გამოიყოფოდეს ლორწო, ჩირქი ან ფუფხი. გამონადენს შესაძლოა ჰქონდეს ცუდი სუნი. ჩირქი ყოველთვის ვერ გამოდის გარეთ, მაშინ ოტიტი რთულდება მასტოიდიტით (ღვრილისებრი მორჩის ანთებით). ასეთ დროს ექიმი-ოტოლარინგოლოგი აკეთებს დაფის აპკის გახვრეტას – პარაცენტეზს, ადგილობრივი ანესთეზიით; ამის შედეგად ჩირქი გარეთ იწვევს გამოღინებას და აღარ მიიწვევს თავის ქალის შიგნითა ღრუებისაკენ.



მაშინაც კი, როცა ოტიტის ნიშნები გამქრალია, სითხე შესაძლოა ისევ იყოს შუა ყურში.


ბავშვთა ასაკში, თუ ოტიტი 3 წლამდე განვითარდა, თითქმის არასდროს გაივლის ხოლმე უკვალოდ. არასწორმა მკურნალობამ შესაძლოა, სიყრუე და სხვა გართულებები გამოიწვიოს. ამიტომ პატარა რეგულარულად უნდა აჩვენოთ ექიმს.

გარე ყურის მწვავე ანთება

გარე სასმენი მილის კანის ანთებასთან ახლავს ძლიერი ტკივილი. გარე ოტიტი არ იწვევს სმენის მკვეთრ დაქვეითებას. უნდა ვიცოდეთ, რომ კანის ისეთი დაავადებები, როგორცაა ეგზემა, სოკოვანი დაავადება, გარე ყურის ქრონიკული ანთების მიზეზი შეიძლება გახდეს. გარე ყურის ანთების დროს ტკივილი 1-2 დღე გრძელდება, ხოლო აღდგენითი პერიოდი 30 დღეს მოიცავს.

მკურნალობის მეთოდი გულისხმობს სითბურ პროცედურებს (შშრალ სითბოს), სპირტის ჩაწვეტებას, კომპრესებს, მაგრამ საჭიროა დიდი სიფრთხილე; ამ საშუალებების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ არ აღინიშნება ჩირქდენა. ჩირქის გაჩენისას არ არის რეკომენდებული სპირტის ჩაწვეტება და სითბური პროცედურები.

ყურის დაავადების პირველი სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა, მიმართოთ ექიმს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ სმენაც დაქვეითებულია, რათა არ დავეუშვათ შემდგომი გართულებები. ნუ გამოიყენებთ თვითნებურად გაცივების საწინააღმდეგო და ანტიბიოტიკების (ანტი-ალერგიული) პრეპარატებს, რადგან ყურის ინფექციის დროს ისინი უეფექტოა.



ბუნება-მკურნალი

მანდარინი

ლეგენდების მიხედვით, მანდარინის სამშობლოდ ჩინეთი და იაპონიაა მიჩნეული. ევროპაში იგი XIX საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან შემოიტანეს. კავკასიის შავიზღვისპირეთში მანდარინი ერთი საუკუნეა ხარობს.

ამ ციტრუსის 100 გ რბილობი 40-50 მგ C ვიტამინს შეიცავს, რომელსაც ნაყოფი ღიდზანს ინარჩუნებს. მასში უხვადაა D ვიტამინიც, რომელიც დადებითად მოქმედებს შემაერთებელ ქსოვილზე, ზრდის მასში კოლაგენის სინთეზს, რის შედეგადაც კანი მოქნილი და მკვრივი ხდება, უმჯობესდება ღრძილების მდგომარეობა: მანდარინი არ მარტო ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს, არამედ გვიცავს პარადონტოზისაგან (ღრძილების ანთება). მასში მრავლად არის მინერალური ნივთიერებები, ჭარბობს კალიუმი – K და კალციუმის (CA) ნაერთები, რომელიც აუმჯობესებს ძვლების, კბილებისა და კუნთოვანი ქსოვილების ფუნქციურ შესაძლებლობებს.

მანდარინი განსაკუთრებით სასარგებლოა ორგანიზმში სითხის შეკავების, ძვალ-სახსართა სისტემის ფუნქციური დარღვევების დროს. მის წვენი შედის ფიტონციდები, რომელიც კურნავს კუჭის აშლილობას.

ამ გემრიელი ციტრუსის ნაყოფი და ქერქი მდიდარია ბეტა-კაროტინით, რომელიც ადამიანის ორგანიზმში გარდაიქმნება A ვიტამინად. ეს ვიტამინი კი ხელს უწყობს უჯრედოვანი იმუნიტეტის აძლიერებას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს.

მანდარინის წვენის ფიტონციდური აქტიურობა ვლინდება ზოგიერთ პათოგენურ სოკოვან დაავადებაზე ზემოქმედებითაც, ამიტომ იგი ეფექტურია კანის სოკოვანი დაზიანებების (მაგალითად, ტრიქოფითის) დროს. აღსანიშნავია მანდარინის ნაყოფის ქერქის ეფექტურობაც, რომლის ნახარშსა და ნაყენს იყენებენ ფილტვების მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას. მანდარინის ქერქი არის აგრეთვე მადის აღმძვრელი საშუალება.



ცვლადი აფრიით მარილთან ერთად. მზად უნდა გვქონდეს 1 კგ სატოლმე კომბოსტოს ფოთლები, რომელსაც წყალში ვაღულებთ 5-7 წუთის განმავლობაში. შემდეგ ამ ფოთლებში შევავსებთ გამზადებული ფარში და გაცხელებულ ტაფაზე შევწვით.

სუფრაზე მიტანისას მოვასხათ ათქვეფილი არაყანი, მოვაყაროთ დაჭრილი კამა და მწვანე ხახვი.

ფენოვანი გორცის ბისკვიგი

ჯერ მოვამზადოთ გული: ერთ-ნახევარი ჩ/ჭ პურის ფქვილი და 750 გ მარგარინი ერთად მოვზილოთ და გავყოთ 4 ტოლ ნაწილად. ერთ-ნახევარი ჩაის ჭიქა ცივი წყლითა და 1 ს/კ ძმრით, 2 კვერცხის გულითა და 100 გ მარგარინით მოვზილოთ რბილი ცომი. შემდეგ ცომი გავაბრტყელოთ და ზედ ოთხად გავყოფილი გულის ერთი ნაწილი მოვათავსოთ. მერე რულეტით დავახვით და კვლავ გავაბრტყელოთ, ოღონდ ამჯერად, არა სიგანეზე, არამედ სიგრძის მიმართულებით. ორჯერ გაბრტყელების შემდეგ, ეს ცომი ჩავლოთ ცელოფანის პარკში და 30 წუთით შევდგათ საყინულეში. როცა გამოვიღებთ, კვლავ გავაბრტყელოთ, ჩავლოთ გულის მესამე ნაწილი, ისევ გავაბრტყელოთ, ჩავლოთ გულის მეოთხე ნაწილი და კვლავ გავაბრტყელოთ. გასწოვდეთ, რომ ყოველი გაბრტყელებისას ცომი საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა გაბრტყელდეს. ე.ი. ჯერ სიგრძეზე, მერე სიგანეზე, მერე ისევ სიგრძეზე, მერე ისევ სიგანეზე (სულ ოთხჯერ). მაშინ ფირფიტები ძალიან ფხვიერი გამოვა. მეორეჯერაც 30 წუთით შევდლოთ მაცივარში. მაცივიდან გამოღების შემდეგ, ცომი დავჭრათ 3 ტოლ და 2 მომცრო – სულ 5 ნაწილად და ცალ-ცალკე, მრგვალი ფირფიტების სახით გამოვაცხოთ. ფირფიტები გავაგრილოთ, შემდეგ შევაერთოთ მოხარშული კრემის საშუალებით. ზემოთ, მომცრო ფირფიტები მოვათავსოთ. ბოლოს, ზემოდან, სურვილისამებრ, გავაფორმოთ.

კარგოფილი ხორცის საგენით

600 გ ღორის ხორცი გავატაროთ ხორც-საკვებ მანქანაში და მოვშუშოთ 100 გ ხახვთან ერთად. როცა მზად იქნება, გადმოვიღოთ, გაფრიოთ მაგრად მოხარშული და წვრილად დაკეპილი ორი კვერცხი, მწვანილი, წიწაკა (ან შავი პილპილი) და მარილი.


კილო-ნახევარი კარტოფილი კანიანად მოვხარშოთ, გავფცქნათ, გავატაროთ ხორც-საკვებ მანქანაში, შევურიოთ ათქვეფილი 2 კვერცხი, დავანაწილოთ, დაახლოებით, ხელისგულისოდენა გუნდებად, შემდეგ ზედ დავადლოთ ზემოთ აღწერილი ფარშის თითო კოვზი და დავამრგვალოთ. ამოვავლოთ დაფქვილი ორცხობილაში და შევწვათ ცხიმან ტაფაზე. როცა მზად იქნება, მოვასხათ ცხარე საწებელი. მოვაყაროთ ოხრაზეში და ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი.

კომბოსტოს სალათი

ერთი კგ კომბოსტო წვრილად დაჭრილ 100 გ ხახვთან ერთად 150 გ ცხიმში მოვშუშოთ. როდესაც კარგად მოიშუშება, დავასხათ 200 გ არაყანი, მოვაყაროთ მარილი; სუფრაზე მიტანისას აფრიოთ ორი მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, მოვაყაროთ ქინძი და კამა.

კომბოსტოს ხვეულა ბოსტნეულის საგენით

1 კგ სტაფილო 100 გ ხახვთან ერთად 100 გ ზეთში მოვშუშოთ, გავაგრილოთ, შევურიოთ 100 გ ქინძი, 50 გ კამა, 50 გ ოხრაზეში, 4 მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, წვრილად დაჭრილი 2 ბულგარული წიწაკა, 1 მწარე წიწაკა. ეს



პასუხი

კითხვა: რა იწვევს ცისტიტს (შარდის ბუშტის ანთებას)? გადამდები ზომ არ არის ეს დაავადება? ეს ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ ჩვენს ოჯახში ამ წელიწადში ცისტიტის უკვე მესამე შემთხვევაა.

პასუხი: ცისტიტის გამოიწვევი რამდენიმე ძირითადი მიზეზი შეიძლება გამოვეყნოთ. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ორგანიზმის გადაცივებაა. განსაკუთრებული

სითბო ფეხებზეა საჭირო ცივ ამინდებში.

ცისტიტის განვითარებას ხელს უწყობს ინტენსიური სქესობრივი ცხოვრება, პირადი ჰიგიენის წესების დარღვევა, ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები. ამ დაავადების მიმდინარეობისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პერიოდა კლიმაქსი, რადგან ამ დროს ქალს ეცვლება ჰორმონული ფონი, მცირდება ორგანიზმის დაცვითი ფუნქციები და ხშირად ვითარდება ანთებითი დაავადებები. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, თვითონ დაავადება გადამდები არ არის, მაგრამ მისი გამოიწვევი აგენტები შეიძლება გადავიდეს ერთი ორგანიზმიდან მეორეზე სქესობრივი გზით. პათოლოგიური პროცესი კი, ყველა ორგანიზმში დამოუკიდებლად ვითარდება.

კითხვა: მხარზე გამიჩნდა პატარა ზომის სიმკრე. ექიმმა მითხრა, რომ ეს ლიპომაა და მკურნალობა არ სჭირდება. მე მაინც ვშიშობ... გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ დაავადებაზე.

პასუხი: ლიპომა კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ცხიმოვანი ქსოვილიდან წარმოიქმნება. იგი სხეულის სხვადასხვა ადგილას შეიძლება გაჩნდეს. ამ წარმონაქმნს აქვს რბილი, ელასტიკური კონსისტენცია და გლუვი სფერული ზედაპირი. ჩვეულებრივ, ლიპომა არ იწვევს ავადმყოფის ჩივილებს და არ წარმოადგენს საშიშროებას. უმრავლეს შემთხვევაში, მცირე ზომის ლიპომა არ საჭიროებს მკურნალობას, მაგრამ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ დიაგნოზი მხოლოდ და მხოლოდ ექიმმა უნდა დასვას და არა თავად პაციენტმა.

კითხვა: ბოლო ხანებში ფრჩხილები ძლიერ გამიყვითლდა. ზომ არ არის ეს რაიმე დაავადების ნიშანი?

პასუხი: ავადმყოფის ფრჩხილების მდგომარეობას კარგი კლინიკისტი ყოველთვის აქცევს ყურადღებას. საინტერესოა არა მხოლოდ მათი ფერი, არამედ ფორმა და სტრუქტურაც, რადგან ხშირ შემთხვევაში, ფრჩხილების ესა თუ ის სახეცვლილება, ამა თუ იმ კონკრეტულ დაავადებაზე მეტყველებს.

ჯანმრთელი ადამიანის ფრჩხილები ღია ვარდისფერია. ხალხური მედიცინის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ თუ ავადმყოფის ფრჩხილზე ზეწოლის შემდეგ მას მალე უბრუნდებოდა ვარდისფერი, ეს ნიშნავდა, რომ დაავადება განკურნებადი იყო, ხოლო საწინააღმდეგო შემთხ-



ვევაში, მკურნალები ასკნინდნენ, რომ დაავადება საშიშ სტადიაშია გადასული. ფრჩხილების ყვითელი შეფერილობა ლეიქოსის დაავადებებზე მეტყველებს, მომწვანო-მოყვითალო – ჩირქივან პროცესებზე, წითელი – გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე, მილურჯო – გულის თანდაყოლილ მანკებზე, თეთრი ლაქები ფრჩხილებზე – ნერვული სისტემის მოშლილობაზე, მოშავო-მორუხო ლაქები – რადიაციული დასხივების ან ვერცხლისწყლით ინტოქსიკაციის შედეგია. დიდი ამობურცული ფრჩხილები ხშირად ახასიათებს ფილტვების ტუბერკულოზს, ბრტყელი, ჩაღუნული ფრჩხილები კი – ასთმას და ბრონქიტს. მაღალი, მილისებრი ფრჩხილები – კიბოს. მსხვრევადი, გასწვრივდარებიანი ფრჩხილები ართრიტების (სახსრების ანთების) შესაძლო განვითარების ნიშანია, ხოლო ჰორიზონტალური ამრევება – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისა.

ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ შეცვლილი ფორმისა და ფერის ფრჩხილები ორგანიზმში მიმდინარე გარკვეული პათოლოგიური პროცესის შედეგია, მაგრამ ზუსტი დიაგნოზის დასამსხოლოდ თანამედროვე კლინიკური გამოკვლევების შემდეგ შეიძლება, ამიტომ მკითხველს ვურჩევთ, მიმართოს ექიმს.

კითხვა: დამისვეს მიტრალურ-აორტული მანკის დიაგნოზი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აუცილებლად დამჭირდება ოპერაცია?

პასუხი: ეს დიაგნოზი მოწმობს, რომ თქვენ ერთდროულად ორი სარქველის: აორტული და მიტრალური სარქველების დაზიანება გაქვთ. მკურნალობის ტაქტიკა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაა გამოხატული ეს მანკი და როგორ ვლინდება კლინიკურად. აუცილებლად გესაჭიროებათ ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა, რათა დადგინდეს მანკის განვითარების ხარისხი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ითქვას გადაჭრით: საჭიროა, კონსერვატიული მკურნალობა თუ კარდიოქირურგის ჩარევა.

კითხვა: წინათ კიბო მოხუცებულთა დაავადებად იყო მიჩნეული, მაგრამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ახალგაზრდებშიც. რასთანაა ეს დაკავშირებული?

პასუხი: კიბო იყო და რჩება უპირატესად მოხუცებულთა დაავადებად. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, კიბოთი დასნებოვნების რისკი 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში ასჯერ უფრო მეტია, ვიდრე 30 წლამდე ახალგაზრდებში. ამასთან, არსებობს სიმსივნის სხვადასხვა ფორმის განსხვავებული ასაკობრივი დამოკიდებულება. მაგალითად, ლეიკოზები, შუახნისა და ზოგჯერ ახალგაზრდა ადამიანებშიც ხშირად გვხვდება. „გახალგაზრდავება“ მართლაც დეტყო კიბოს ცალკეულ ფორმებს და ეს კანცეროგენული ფაქტორების ზემოქმედების ცვლილებებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ფილტვის კიბო „გახალგაზრდავდა“ იმიტომ, რომ მისი გამოიწვევი ძირითადი მიზეზი, სიგარეტის მოწვევა: ოცდაათიწლიანი წლის წინ, სიგარეტს ეწეოდნენ 25 წლის ასაკიდან, დღეს კი ამ დამლუპველ ჩვევას მწვევლთა უმრავლესობა სკოლის მერხიდან იძენს.

კითხვა: ჩემს მეუღლეს პოდაგრის დიაგნოზი დაუსვეს. რამდენი ხანი დასჭირდება მის განკურნებას?

პასუხი: პოდაგრა ქრონიკული დაავადებაა. მისი საფუძველი ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა. ასე რომ, მკურნალობის მოუხედავად, იგი მთლიანად არ განიკურნება. თავდაპირველად, საჭიროა მწვავე პოდაგრული ართრიტის (სახსრების ანთების) მკურნალობის ჩატარება, ხოლო შემდეგ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ალოპურინოლის მიღება მოგიწევთ, ისევე, როგორც შაქრიანი დიაბეტით დაავადებულს ინსულინის მიღება ესაჭიროება. დაუშვებელია მკურნალობის შეწყვეტა შეტყვის ჩაწმარებისათვისავე.

უნივერსალური ჯარისკაცები

Universal-ი მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციაა, რომელსაც იმეგრანტ კარლ ლემლეს მიერ 1912 წელს დაარსებული საუცხოო კინოსტუდია აქვს. პირველი პავლიონი 1915 წელს, მეფრინველების ფერმის ტერიტორიაზე გაიხსნა, პირველ რევოლუციურ მარკეტინგულ ნაბიჯად კი, გადასაღებ მოედანზე მოწყობილი ექსკურსია იქცა: სულ 25 ცენტად ობიგატელს საშუალება მიეცა, ახლოდან ეხილა კინოვარსკვლავები. თუმცა, „იუნივერსალის“ ძირითად სპეციალიზაციად მონსტრების შექმნა იქცა: სტუდიაში ყოველწლიურად, ერთი-ორი კინოკომპანი მანც იქმნებოდა: „დრაკულა“ (1931), „ფრანკენშტეინი“ (1931), „კაცი-მგელი“ (1941)... თუმცა, შემდგომში, ამ კომპანიამ თავისი ჭეშმარიტი უნივერსალობა უდავოდ გამოავლინა (ცხადია, საუბარია კომერციულად მომგებიან კინოპიტებსზე). გულუბრყვილო მიუზიკლებთან ერთად („მშვენიერი ჩერიტი“ შილი მაკლეინის მონაწილეობით, 1969), იქ შეიქმნა „აფერა“ (1973) პოლ ნიუმენისა და რობერტ რედფორდის მონაწილეობით და რეჟისორ მაიკლ ჩიმიონოს „ირმებზე მონადირე“ (1978). „იუნივერსალის“ მთავარ გმირად კი, მოგვევლინა კაცი, რომელსაც 1969 წელს საკაბელო ტელევიზიის თემაზე გადასაღები ფილმისთვის გამოუყვეს მცირე თანხა. ეს გახლდათ სტივენ სპილბერგი, რომელმაც შემდგომში, ამ სტუდიის ორი მთავარი ფილმი-ბლოკბასტერი გადაიღო: „უცხოპლანეტელი“ (1982) და „იურიული პერიოდის პარკი“ (1993). იმავე, 1993 წელს სპილბერგის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფილმი – „შინდლერის სიაც“ გამოვიდა. ამ ორი სურათისა და კიდევ ერთი – „დაკარგული სამყაროს“ გადა-

ექვსი სტუდია, რომელიც პოლივუდის აჟინდს ქმნის

ლების შემდეგ, სპილბერგმა „იუნივერსალი“ დატოვა და დღეს უკვე აყვავებული ახალი სტუდია – DreamWork-ი დააფუძნა.

მისი წასვლა დიდად არ დასტყობია უზარმაზარი შესაძლებლობების სავარაზრდო: იქ შექმნილი სურათები „დარტემული პროფესორი“, „ამერიკული ღვეზელი“, „მუშია“ და სხვები კვლავაც რეკორდსმენებს შორის ფიგურირებს. წლეულს „იუნივერსალის“ აქტივს შეემატა რონ ჰოუარდის „შესანიშნავი გონი“, რომელსაც ინტელექტუალურ ბლოკბასტერს უწოდებენ და, „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოების შემდეგ, „ოსკარის“ ერთერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ; ბრედ პიტისა და რობერტ რედფორდის მონაწილეობით შექმნილი „ჯვამუშური თამაშებიც“ გამორჩეულ მოვლენათა რიგში დგას. უახლოეს პერიოდში შეიქმნა რამდენიმე სიქველი: „მორიელის მეფე“ („მუშია“), „წითელი დრაკონი“ („კრავთა მღუმარება“) და „ბორნის იდენტიფიკაცია“ მეტ დეიმონისა და ფრანკა პოტენტეს მონაწილეობით.



ვარსკვლავთა ხეივანი პოლივუდის ბულვარზე ლოს-ანჯელესში

„ფოქსი“ და

ოცდამეერთე საუკუნე

სუდია 20-th Century Fox-ის არანაკლებ სახელოვანი ისტორია აქვს, ვიდრე პოლივუდის სხვა გრანდებს. 1913 წელს უილიამ ფოქსმა დააარსა თავისი სახელის მატარებელი კომპანია – FOX. სრულყოფილი სტუდია 1928 წელს, ვესტერნების ვარსკვლავის, ტომ მიქსის რანჩოს ტერიტორიაზე გაიხსნა, 7 წლის

კადრი ფილმიდან „ბუჭღების მბრძანებელი“



შემდეგ კი, ფოქსი, თავისი და კომპანიის – Twentieth Century Pictures-ის მესაკუთრის, დერილ ზანუკის კაპიტალის გაერთიანებაზე წავიდა და ასე დაიბადა კიდევ ერთი ლეგენდა – 20-th Century Fox-ი, რომლის აყვავება XX საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდსა და ეკრანებზე „კლეოპატრას“ (ელიზაბეტ ტეილორის მონაწილეობით, 1963) გამოსვლაზე მოდის. იგივე პერიოდში გამოვიდა „მუსიკის ჰანგები“ (1965), „ჰელო, დოლი!“ (1968), „პატონი“ (1970), „ფრანგი მეკავშირე“ (1971) და „პოსეიდონის მოგზაურობა“ (1972) – ფილმები, რომელმაც ცხადყო, რომ „მე-20 საუკუნე ფოქსი“ პოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კინოწარმოება იყო. მისმა შემდგომმა შედეგებმაც დაადასტურა ეს ჭეშმარიტება: „ქვის რომანი“ (1984), „კერკეტი კაკა-

ლი“ (1988) და „მარტო სახლში“ (1990). კომპანია თავისი ტრიუმფისკენ მიიწევდა – ეს ჯეიმს კამერონის „ტიტანიკი“ იყო. სამწუხაროდ, ამ ფილმის სიქველს მაყურებელი ვერ მოესწრება, თუმცა „... ფოქსი“ სწორედ გამორჩეული ფილმების გაგრძელებით არის ცნობილი: იქ შეიქმნა 14 „შერლოკ ჰოლმსი“, უამრავი „ომენი“, „დოქტორი დულიტილი“. წლეულს ეკრანებზე გამოვა საოცარი მულტფილმი „ყინულის პერიოდი“ და ცნობილი კინოეპოსის გაგრძელება: „ვარსკვლავური ომები, ნაწილი მეორე: კლონების იერიში“. კომპანიის ბოლო ჰიტები – „მულენ რუჟი“, „ჯოჯოხეთიდან“ და „მაიმუნების პლანეტა“ – ცხადყოფს: 20-th Century FOX-ი ერთ-ერთი უპირველესია იმ კინოკომპანიებს შორის, რომელიც საუცხოოდ სწვდება მაყურებელთა ცვალებად გემოვნებას.

მარადიული ბავშვობა

ანიმაცია ჰოლივუდში იმ დროს ჩაება დიდ კინოსთან კონკურენციაში, როცა თავისი გახმაურებული პროექტები – „პინოქიო“ (1939), „ფანტაზიები“ (1940) და „დამბო“ (1941) უოლტ დისნეიმ განახორციელა. იმ დროიდან მოყოლებული, მულტიპლიკაციური ბლოკბასტერებისგან მიღებული მოგება განუზრელად იზრდება, აწ გარდაცვლილი დისნეი კი, კვლავაც რეგულარულად ხვდება გინესის რეკორდების წიგნში, როგორც 29 „ოსკარის“ მფლობელი. დისნეის სიკვდილის შემდეგ, კომპანია „უოლტ დისნეი“ იმდენად გაიზარდა, რომ ჩვეულებრივი მხატვრული ფილმების წარმოებასაც მიჰყო ხელი. სადღეისოდ, მასში ორი ძლიერი ფილიალიც – Touchstone Pictures-ი და Hollywood

Pictures-იც შედის, რომელშიც გადაღებულია ცნობილი ფილმები: „პერლ-ჰარბორი“, „სახელმწიფოს მტერი“, „ინგლისელი პაციენტი“ და სხვა არასაბავშვო სურათი. რაც შეეხება საბავშვოს – „ალადინის“, „მეფე ლომისა“ და „ნოტრდამელი კუზიანის“ გაქირავებისგან შემოსული თანხები საშუალო დონის ერთ კინოსტუდიას ეყოფა წლიურ ბიუჯეტად. კომპანია კვლავაც პროგრესის გზითა და შემოსავლის ზრდით ვითარდება – როგორც ჩანს, „უოლტ დისნეის“ ბედნიერი ბავშვობა მარადიული იქნება.

უმცროსი ძმები

ამ წერილში მიმოხილული 6 სტუდია ჰოლივუდში ამინდის შემქმნელია, მაგრამ მინც ვერ მოიცავს ყველაფერს. მაგალითად, კომპანიამ – New Line Cinema მხოლოდ საკუთარი 2 პროექტით – „ბეკდების მხრანებელი: ბეკდის საძო“ და „პიკის საათი-2“ – 500 მლნ დოლარის მოგება ნახა. არსებობს კიდევ სტუდია Lions Gate, რომელიც ფულს ეწ. არტ-ჰუსსა და ევროპულ კინოში დებს („ოტელი მილიონი დოლარი“, „ოქროს თავი“). კიდევ – Artisan Entertainment-ი, რომელიც ინტელექტუალ კინემატოგრაფისტთა (ჯიმ ჯარმუშის, რობერტ ოლტმენის, უიან ვონგის) პროექტების პროდიუსერად გვევლინება. USA Films-ი ცნობილი პერსონების საშუალობიუჯვეტიან ფილმებს აფინანსებს (ჯოელ კოენის „ადამიანი, რომელიც არ არსებობდა“, სტივენ სოდერბერგის „ტრეფიკი“). სტივენ სპილბერგის, ჯერი კატცენბერგისა და დევიდ გეფენის აწ აყვავებული კომპანია Dream Works-ი 1994 წლის ოქტომბერში მოველინა ქვეყანას. ამ სამმა კაცმა – კინოს ისტორიაში ყველაზე

იბლიანმა რეჟისორმა, სტუდია Walt Disney-ის შეფმა და ერთ-ერთი უმსხვილესი ხმის ჩამწერი კომპანიის მეპატრონემ – უკვე 2 მლრდ დოლარამდე გამოიმუშავეს. მართალია, Dream Works-ის პირველი სურათი – „მშვიდობისმყოფელი“ (ნიკოლ კიდმანისა და ჯორჯ კლუნის მონაწილეობით) ჰიტად ვერ იქცა, სამაგიეროდ, „თაგვებზე ნადირობამ“, „ამისტადმა“ და „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. სემ მენდესის ფილმი „მშვენიერება ამერიკულად“ „ოსკარების“ ცერემონიაზე „მეფობდა“, შემდეგ მისი ადგილი რილი სკოტის „გლადიატორმა“ დაიკავა, სტუდიის ანიმაციური პროექტები კი, „დისნეის“ პროდუქციასაც უწევს კონკურენციას.

უმსხვილესი დამოუკიდებელი კომპანია Miramax Pictures-ი 1979 წელს რობერტ და ჰარი ვაინშტეინებმა შექმნეს. პირველი 5 წლის მანძილზე ძმები მზა ფილმებს უჩვენებდნენ. კომპანია საკმაოდ უღიმამოდ მოქმედებდა, მცირე ბიუჯეტის სურათების წარმოებამ კი, მეტად დაამძიმა მისი მდგომარეობა, მაგრამ 1993 წელს, ძმებმა Walt Disney-ის მათ ხელში არსებული აქციები გაყიდეს და ერთდროულად რამდენიმე აქტუალური პროექტი ჩაუშვეს წარმოებაში. წარმატებამაც არ დააყოვნა: „კრიმინალურმა საკითხავმა“ ნაღმის აფეთქების ეფექტი გამოიწვია. ქვენტინ ტარანტინოს „მაგ-ბნელმა კომედიამ“, რომელიც 8 მლნ დოლარი დაჯდა, 200 მლნ მოიტანა.

მცირე ბიუჯეტის ფილმებისთვის საგანგებო ქვედანაყოფი – Dimension Films-ი შეიქმნა, რომელსაც ასობით მლნ დოლარი მხოლოდ უეს კრევეინის „ყვირილის“ სერიებმა მოუტანა. Miramax-თან თანამშრომლობის შედეგად, საუკეთესო კომერციულ შედეგებს მიაღწიეს ძმებმა კოენებმა („ფარგო“), ლას ჰალსტრემმა („მოკოლადი“), საუცხოო ფინანსური მდგომარეობა – შემოქმედებითი დამოუკიდებლობის გარანტია, ნიჭიერ რეჟისორთა სტარტისთვის საჭირო „საფრენი“ მოედანია. გარდა ამისა, კომპანია აშშ-ში ევროპული კინოს პოპულარიზაციასაც ეწევა.

კომპანია Sony-მ, რომელმაც 1990 წელს Columbia/Tri-Star შეიძინა, კონგლომერატმა Sony Pictures-ი ჩამოაყალიბა. კომპანიის აქტივშია: ჯონათან დემის „ფილადელფია“, პოლ ვერხუვენის „ვარსკვლავთა დესანტი“, მარტინ სკორსეზეს „უმანკობის საუკუნე“ და ჯონ კარპენტერის „ვაშპირები“.

ჯონი დეპი „მე-20 საუკუნე ფოქსის ერთ-ერთ ახალ ჰიტში „ჯოჯოხეთიდან დაღწევა“





ქვეის ადგილობრივი მცხოვრები	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘
	↙	↘																
ლინზათა სისტემა ფოტოპარატში	↙	↘																
ძველი ბრძენებისათვის - ფაზის, ჩვეთვის?	↙	↘																
მკვეთრობის მატარებელი ერთეული	↙	↘																

არე პრესიული ადგილობრივი მცხოვრები	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘
ქალის თავსაბაი	↙	↘																
ფედერალური მიწა გერმანიაში	↙	↘																
ბენძილი ასო საკათედრო ტაძარი	↙	↘																
უკეთი ურჯულო (თურქულად)	↙	↘																
საბი რელოვის ცენტრი (ქალაქი)	↙	↘																
რუსული ვერტმფრენების მარკა	↙	↘																
უდიდესი ნეტარება ბუდიზმში	↙	↘																
ახალი ზელანდიის ძირძველი მოსახლე	↙	↘																
მასობრივი ენოფილიში „ქალი და მამაკაცი“	↙	↘																
გერმანული მწერალი ძეგლი	↙	↘																
მუსიკალური ბერძენი გრაფიკული ნიშანი	↙	↘																
ბურთის თავაშიდან გასვლა	↙	↘																
დამცინავი ანუ ... სიცილი	↙	↘																
სპირტიანი სასმელი	↙	↘																
იტალიელი მხარ. ფრანკესკა როჯერის ფსევდონიმი	↙	↘																
ბოჰემური ცნობილი უკრებელი	↙	↘																

ალასკის მცხოვრები	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘	↙	↘
გერმანული ფილოსოფიის სკოლა	↙	↘																
ლომ, ვეფხვი, ბაი, ტანი	↙	↘																
ხელოვნების მიღიარებული მხარე	↙	↘																
ყურანის ფილა	↙	↘																
100 კა	↙	↘																
მარად-მწვანე წიწვიანი ხე	↙	↘																
რუსეთის ერეტილი	↙	↘																
შეადგინა რაფაელ კლანი	↙	↘																

Advertisement for Spaten beer with a logo and text in Georgian.


Hand diagram with letters and numbers.

Grids of letters and symbols, including a 4x4 grid with letters and a 6x6 grid with numbers.

21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.
 24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ბ; 4-ბ.

კვირის (18 - 24 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერი - 21/III-20/IV



ამ კვირაში მრავალ ახალ ნაცნობს შეიძენთ, ხოლო უკვე არსებული კავშირებიდან სერიოზულ სარგებელს ნახავთ. განსაკუთრებით პოზიტიური დღეა სამშაბათი, რომელიც, სხვათა შორის, სასიყვარულო ურთიერთობებისთვისაც საკმაოდ წარმატებული იქნება.

კურო - 21/IV-21/V



არც ისე ილბლიანი კვირა მოგვლით. განსაკუთრებულ დამაბულობას კი კვირის დასაწყისში იგრძნობთ. მოსალოდნელია სტრესები, გადაღლა და კონფლიქტები, რომელიც ძირითადად, ურთიერთუნდობლობის საფუძველზე წარმოიშობა. ეცადეთ, შეინარჩუნოთ ოპტიმიზმი და შევება ფილოსოფიასა და ხელოვნებაში ეძიეთ.

მარსი - 22/V-21/VI




ორშაბათს და ოთხშაბათს შეიძლება მატერიალური შენაძენი გქონდეთ. თუ ასე არ მოხდა, გულს ნუ გაიტენთ, ეს კვირა მაინც მშვენივრად ჩაივლის. აქტიური, გონებამახვილი და, საერთოდ, ძალზედ მომხიბვლელი იქნებით. სწორედ ამ მიზეზით უქმე დღეებში სტუმრად მივიპატიჟებენ. უარს ნუ იტყვით დროს ტარებაზე.

ბირთვი - 22/VI-22/VII



ამ კვირაში მეტისმეტად ამბიციური იქნებით. ამაში ცუდი არაფერია, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი ამბიციების მიღმა რეალური საქმე დგას. მოკლედ, თუ არ გადაამლაშებთ და თავს სამყაროს ცენტრად არ წარმოიდგენთ, ყველაფერი მშვენივრად წარიმართება.

ლომი - 23/VII-23/VIII



საკმაოდ უცნაური კვირა გექნებათ. სამშაბათს სიფრთხილე გმართებთ გზებზე – ამ დღეს მომეტებულია ტრაუმებისა და ავარიების რისკი. ოთხშაბათს მოსალოდნელია კონფლიქტი, რომლის დროსაც კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ხუთშაბათს სერიოზული საუბარი გელით სამსახურში. სხვა ყველაფერი ნორმალურად იქნება...

ქალწული - 24/VIII-23/IX



თუკი ამ კვირაში ორ-სამჯერ მაინც ერთსა და იმავე მომხიბვლელ უცნობს შეხვდებით – იცოდეთ, რომ ბედი თავად გიბიძგებთ რომანტიკული თავგადასავლისკენ. ოღონდ გაითვალისწინეთ – პირველი ნაბიჯი აუცილებლად თქვენ უნდა გადადგათ. სხვათა შორის, სამსახურშიც სწორედ თქვენი ინიციატივა მისცემს დასაბამს ახალ საინტერესო პროექტს.

სასწორი - 24/IX-23/X



ყველანაირი სამუშაოს შესრულებაზე დათანხმდით. თუკი არავინ არაფერს შემოგთავაზებთ, თავად გამონახეთ დამატებითი ფინანსების შოვნის საშუალება. თუ მაინც ვერ წააწყდებით სამუშაოს, ამ კვირაში უფულოდ ჯდობა მოგიწევთ.

ღიანკალი - 24/X-22/XI



ნეტავი, ყველა ორშაბათი ასეთი გჭონდეთ: კვირის დასაწყისში პრაქტიკულად ნებისმიერი საქმე გამოგივათ – თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერს ერთბაშად არ შეეცდებით. ხუთშაბათისთვის შეგიძლიათ დაიცხროთ ენერგია – საყიდლებზე წასვდეთ და მეგობრებთან ერთად ბოლო დროს მომხდარი მოვლენები მიმოიხილოთ.

მევიღობისანი - 23/XI-21/XII



ამ კვირაში არც ისე გულღია იქნებით, რაც, შეიძლება ითქვას, უკეთესიც იქნება თქვენთვის. მარტობა წარსულის გაანალიზებასა და ძალების მოკრებაში დაგეხმარებათ. ასე რომ, განმარტოვდით. უკეთესი იქნება, თუ ქალაქკარეთ გაემგზავრებით – იქ ნამდვილად ვეღარ მოგაგნებენ.

თხის რქა - 22/XII-20/I



გემინოდეთ უცხოვრებულებისა და სავაჭრო აგენტების! სწორედ ამ პერსონაჟებს ძალუძთ ეს კვირა ჩაგაშხამონ. პირველებს – იმით, რომ, შესაძლოა, უცებ მათი არსებობა დაიჯეროთ. მეორეებს კი უნარი შესწევთ, რაღაც აბსოლუტურად გამოუხადებარი და მეტისმეტად ძვირად ღირებული ნივთის ყიდვაზე დაგითანხმონ. თუ ორივე ცდუნებას მოერევით, ყველაფერი რიგზე იქნება.

მირწყული - 21/I-19/II



თუ კვირის დასაწყისში კაზინოში შესვლას ვერ მოახერხებთ, ლატარიის ბილეთი მაინც შეიძინეთ: ორშაბათს და სამშაბათს ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ. მომდევნო დღეებში კი კვლავ ფორტუნის იმედზე ნუ იქნებით და სამსახურში ლოკუმენტებზე მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ.

თუხუხუხი - 20/II-20/III



აფორიაქებული, დატვირთული და, ამასთან, ძალზედ სასიამოვნო და მხიარული კვირა გელით. დროდადრო თავს კომედიური ჟანრის ფილმის გმირად იგრძნობთ, მაგრამ ყურებს ნუ ჩამოყრით – კომედიას ხომ ყოველთვის ბედნიერი დასასრული აქვს. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, შესაძლოა, ძალზედ მოულოდნელად, დიდი ხნის ოცნება აგიხდეთ.



გიჟვართ თუ არა განმარტობა?

არსებობენ ადამიანები, რომლებიც განმარტობის დროსაც არ განიცდიან მოწყენილობას: მათ შეუძლიათ, სრულიად მარტო ისე იტყვიან და რაიმე გასართობიც იპოვონ. საპირისპირო კატეგორიის ადამიანები ახლობელ-მეგობრების გარეშე თავს ეულებად და გარიყულებად გრძნობენ. რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით თქვენ? ამის დადგენას ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით შეძლებთ:

1) შეგიძლიათ თუ არა, სამსახურის შემდეგ, მარტომ ისეთი ადგილი ქალაქის ქუჩებში?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

2) მიუღებლად მიგაჩნიათ თუ არა სრულიად განმარტობით შვეშვლების გატარება?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

3) ვთქვათ, მეგობარს ორი საათის შემდეგ უნდა შესვდეთ. შეგიძლიათ თუ არა, რაიმე თავშესაქცევი მოძებნოთ ამ დროის გასაყვანად?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4) გიყვართ თუ არა ცეცხლის ალის ყურება?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

5) რაიმე მნიშვნელოვანი საქ-

მის კეთების დროს, გაღიზიანებთ თუ არა ტელეფონის ზარი?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

6) გიყვართ თუ არა ფენით სიარული?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

7) შეგიძლიათ თუ არა აღნიშნოთ ახალი წელი სრულიად მარტომ, თანაც ისე, რომ კარგი გუნება-განწყობა შეინარჩუნოთ?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

8) გიყვართ თუ არა, თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, ხალხმრავალი, ხმაურიანი წვეულების გამართვა?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

9) შეგიძლიათ თუ არა იგ-

რძნოთ თავი თავისუფლად ოთხი, სრულიად უცნობი ადამიანის გარემოცვაში?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

10) როგორ მოიქცევით, თუ უცხო ქალაქში ყოფნისას, საჭირო ქუჩის მიგნებას ვერ მოახერხებთ?

- ა) მიმართავთ პირველივე გამულელს - 0;
- ბ) უახლოესი მაღაზიის გამყიდველს - 1;
- გ) ეცდებით, დამოუკიდებლად იპოვოთ საჭირო ქუჩა - 2.

11) გიყვართ თუ არა საჩუქრების მიძღვნა?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

12) გიოცნებიათ თუ არა ოდესმე მსახიობის პროფესიაზე?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

დააჯავიეთ ქულები

9-13 ქულა: მარტოობა ძალიან გიყვართ. არასოდეს გწყინდებთ ფიქრი, სხვადასხვა სიტუაციის გაანალიზება და უბრალოდ ოცნება. მაგრამ იქნებ იმაზეც დაფიქრდეთ, რომ ცხოვრების ეს სტილი ცოტა საშიში და სახიფათოა, რადგან შეიძლება მალე ადამიანების გვერდით ყოფნა თქვენთვის ძალზედ მოსაწყენი გახდეს.

4-8 ქულა: ყველაფერში ზომიერებით გამოიჩინებით. ადამიანებთან ურთიერთობა გიყვართ, მაგრამ დროდადრო საკუთარ თავში ჩაღრმავებაზეც არ ამბობთ უარს, რადგან ეს გონების მოწესრიგებისა და დასვენების საუკეთესო საშუალებად მიგაჩნიათ. თუმცა,

საკმარისია, ერთი-ორი საათი განმარტობით გაატაროთ, რომ მაშინვე ადამიანებთან კონტაქტის დამყარებას ცდილობთ. ეს მართლაც საუცხოო ბალანსია და მთლიანობაში თქვენ საკმაოდ მყარი მდგომარეობის გარანტიას გაძლევთ.

0-3 ქულა: ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ხართ და მარტოობას ვერ იტანთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფიქრისთვის საერთოდ არ გცალიათ და თქვენი ქმედება უმეტესწილად, გაუაზრებელია. გაითვალისწინეთ, რომ საკუთარ თავთან დარჩენა, ორიოდვე საათით მაინც, ბევრ შეცდომას აგარიდებთ.

Penthouse მოხუც ქაღს გააშიშვლებს

94 წლის კომედიურმა მსახიობმა ღერსი გონსალვესმა გადაწყვიტა, შიშვლად გადაიღოს ფოტო ჟურნალ ენტჰოუსე-სთვის. როგორც ბრაზილიელმა მეცნიერებმა აღნიშნეს, თავისი მაგალითით მოხუცი შეძლებს დაამტკიცოს, რომ პენსიონერებიც სექსუალურად მიზიდველები შეიძლება იყვნენ.

შიშველი ღერსის ფოტოები ჟურნალის ბრაზილიური გამოცემის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდება. როგორც ჟურნალის რედაქტორმა, ოსკარ მარონმა აღნიშნა, გადაღების საფასურად მსახიობი სარეკორდო თანხას მიიღებს. გვემის მიხედვით, მოდელს სასტუმრო ჩოპაკაბანას-ს ბუღუარებში და რიო-დე-ჟანეიროში, წმინდა მარიამ მაგდალინელის სასაფლაოზე გადაუღებენ, სადაც მოხუცს უკვე შეძენილი აქვს ერთი ადგილი.


ბრაზილიური გაზეთისთვის Estado de SP მიცემულ ინტერვიუში თავად გონსალვესმა განაცხადა, რომ ძალიან მოეწონა სასაფლაოზე ფოტოსურათების გადაღების იდეა: „ეს არა მარტო უჩვეულო, არამედ სასიამოვნოცაა, რადგან ეს ჩემი ცხოვრების დასასრულის ადგილიცაა...“ მსახიობმა ისიც აღნიშნა, რომ ფოტოები უეჭველად ესთეტიკური უნდა გამოვიდეს, რათა ამ ჟურნალის მაგიდაზე დაღების არავის შერცხვს.

ღერსი გონსალვესმა ისიც დასძინა, რომ ამჟამად თავს საუცხოოდ გრძნობს და მისი სხეულიც მშვენიერ ფორმაშია. ამის დასადასტურებლად, ქალმა რიოს წლევეანდელ კარნავალზე თავისი გამოსვლა ახსენა, სადაც თურმე წითელი ლიფითა და მაქმანებიანი წინდებით გამოცხადებულა.

ღერსი გონსალვესმა თეატრალური კარიერა 1924 წელს დაიწყო, მაგრამ სახელი და პოპულარობა მას დრამატულ როლებმა კი არა, ბრაზილიის ერთ-ერთი ტელეარხის შოუმ მოუტანა, სადაც 1960 წელს მსახიობი მაყურებლებს საკმაოდ პიკანტური სკეტჩებით ართობდა.



ტაივანელი მილიონეხი მენაგვედ მუშაობს



63 წლის ტაივანელი დუ ჩუნ-იუანი ყოველ დღით, შვიდის ნახევარზე, მშობლიური ქალაქის – კაოსიუნის ქუჩების დაგვა-დასუფთავებით არის დაკავებული. ჩუნ-იუანი ამბობს, რომ ამას ხალხის თვალში საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად კი არა, მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ მას ქალაქისთვის რაღაც სიკეთის გაკეთება სიამოვნებას ჰკვრის, თანაც დილაობით გაწეული შრომა კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაშიც უწყობს ხელს.

პროფესორი და მულტიმილიონერი დუ ჩუნ-იუანი ტაივანის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია. მას ქვეყნის რამდენიმე უმსხვილესი კომპანია ეკუთვნის. 1987 წლიდან, ჩუნ-იუანს მკვეთრად შეეცვალა შეხედულებები: ჰავაის კუნძულებზე მოგზაურობის დროს, მან ინფარქტი გადაიტანა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი, აქტიურად მოჰკიდა ხელი ქველმოქმედებასა და 100 მლნ დოლარზე მეტი ბუღისტურ ფონდს გადასცა.

იუგოსლავიუ სოფელს თავს მფიხნავი თეფშები დაესხა

ჩერნოგორიის სოფელ გოდოჯევოს ასობით მცხოვრებმა განაცხადა, რომ საკუთარი თვალთ იხილა გიგანტური მფრინავი თეფშები. გლეხების გადმოცემით, მათ გრუნუნის ხმა მოესმათ, გარეთ გამოსულებმა კი დაინახეს, როგორ დაეკიდა სოფლის თავზე მრგვალი, განათებული ოცი მფრინავი ობიექტი.

თეფშებმა ღამის სიბნელე ნათელი შუქით გაანათა. ადგილობრივი გაზეთი Vijesti აღნიშნავს, რომ თეფშებმა „მოულოდნელად შეიცვალა ფორმა და გაუჩინარდა“. სოფლის მცხოვრებლები ვერ ამბობენ, თუ რა სიმაღლეზე იყო ობიექტები გაჩერებული ცაში.

იუგოსლავიის ოფიციალური პირები მომხდარის კომენტარებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ და მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება მოვლენის მხილველთა ჩვენებებს იკვლევს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ლევან მამალაძემ და ზურაბ ჟვანიამ.

ვულოცავთ ბატონ ლევანს და ბატონ ზურაბს და ვუსურვებთ წარმატებებს!

რამდენჯერ უნდა გამოგიხსვალო?!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტომე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (19 მარტის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“
რამდენჯერ უნდა
გამოვივალო?!
კანცერის



„ფანტაზიორებს
გკითხვები“
„გონი, თავი კიდე
გგული ჰგონია“

657/10

-60

სიცილი



ჯანმრთელობა!